



ՄԱՅՈՒ ՄԵՆ



1


•:ՆՏԻՆՈՅԻՆՄՈՆ ԵՏՅԵՅՈՒՏԻՄ:•

1981




ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის,
წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცემ და დავიფარე ჩვენ.





ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო,
შეგვეწიენ და გვაცხოვნე ჩვენ.



სააღმშენებლო ეკლესია

უფილქისა და უნეტარისა, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს
პრეზიდენტის
ილია მეორისა

მოკლადსააღმშენებლო მღვდელთაგანათავსება – ფიქსირებული ფორმა, მოკლადსააღმშენებლო
მოწოდებითა და მოკლადსააღმშენებლო უფილქისა მიხედვით საქართველოს
მართლმადიდებელი, ფიქსირებული და საპირდაპირი ეკლესიისათა, მკვიდრთა საქართველომსა
და მცხოვრებთა მის საზღვრებს გარეშ

„ვიდრე მდებარე ნათელი გაქუს, გრწმენის ნათელი,
რათა ძე ნათლისა იყვნეთ“
(იოანე 12,36)

ქრისტიანული აღსაზრდისათა

ძვირფასო და ღვთივე განბრძნობილნი ყოველ-
დასამღვდელთა მღვდელთაგანათავსება, მოკლადსააღმშენებლო,
ბერ-მონაზონთა, კურთხეული ივერთა კურ-
თხეულნი შვილნი, მკვიდრნი საქართველომსა
და მცხოვრებნი მის საზღვრებს გარეშ!

ქრისტიანული აღსაზრდისათა დღეს ჩვენ
ყველანი ზეცის თანაზიარნი ვხდებით და ადამიან-
ის გული ივსება ზემიწიერი სიხარულით. ამ სი-
ხარულს აქვს ღვთიური საწყისი. ამიტომაცაა,
რომ მას ვერ იტევს ადამიანი და უზიარებს
სხვას.

პირველი სიტყვა, რომლითაც აღსაზრდისათა
მაცხოვარმა მიმართა დამაშვრალ კაცობრიობას,
ყო „გიხაროდენ!“ სწორედ ეს სიხარული წყუ-
რია თანამედროვე ადამიანს. ამიტომაც მე დღეს
აღსაზრდისათა ღვთიური მადლით, ამ სიხარულს გი-
ზიარებთ თქვენ.

გიხაროდეთ!

ქრისტიანული აღსაზრდისათა

რა არის მიზეზი ჩვენი დღევანდელი სიხარ-
ულითა? მიზეზი ისაა, რომ ჩვენ დღეს დავივი-
წყეთ ყოველდღიური საზრუნავი, მიუხედავად
ერთმანეთს ყოველგვარი წყენა, განწყობილნი ჩვე-
ნი შინაგანი ტაძარი იმისათვის, რომ მასში მი-
ვიღოთ აღსაზრდისათა უფალი – წყარო სიყვარუ-
ლისა და სიხარულისა. დღეს განსაკუთრებით,
ქრისტიანული ყოველ ქრისტიანშია და ყოველი ქრის-
ტიანი ქრისტიანშია, რომლის მაკავშირებელი სა-
წყისი სიყვარულია. ღვთიური და თქვენი სიყვარ-
ულით მადლმეხსნული, გულითადად გილო-
ცავთ მარადიული სიყვარულის დღესასწაულს.

იმისათვის, რომ ადამიანი მუდამ გრძნობ-
დეს სულიერ სიყვარულსა და სიხარულს, აუცი-
ლებელია შინაგანი მშვიდობა, მშვიდობა ღმერ-
თთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ
თავთან.

დღეს კაცობრიობა გიგანტურად მიაბიჯებს
განათლების სფეროში. ჩვენ მოწმენი ვართ მეც-
ნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა, მაგრამ დავ-
კარგეთ შინაგანი მშვიდობა, ანუ, ის უსაჭიროესი
პირობა, რომელიც ძარად იყო და იქნება აუცი-
ლებელი ყოველი დროის ადამიანისათვის. ხოლო,
როდესაც დავარგულია შინაგანი მშვიდობა, და-
კარგულია გარეგანიც და მასთან ერთად, სი-
ხარულიც.

წმიდა აღსაზრდისათა დღეს ჩვენ მოგვენიჭა ში-
ნაგანი მშვიდობა. ეს დიდი მადლია, რომელსაც
უნდა გავუფრთხილდეთ.

დღეს მიწყნარდენ ჩვენი ვნებები და გვესმის
მაცხოვრის სიტყვები: „მშვიდობასა დაგიტევეთ
თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ“ (იოანე
14,27). გამთბარი ამ არამიწიერი მშვიდობით,
კვლავ გილოცავთ ზეციური და მიწიერი მშვიდო-
ბის დღესასწაულს, და ვხმობ:

ქრისტიანული აღსაზრდისათა

აღსაზრდისათა წყარო ცხოვრებისა და ჭეშმარი-
ტებისა, წყარო სილამაზისა და სიკეთისა.

ჩვენ ხშირად, სამყაროს აღვიქვამთ არა ისე-
თად, როგორც ის სინამდვილეშია, არამედ,
როგორც წარმოგვისახავს მას ჩვენი გონება. მას
ყველა ხედავს სხვადასხვანაირად, თავისებურად.

ხშირად ჩვენი შინაგანი სამყაროს ცენტრში აყენებენ არარაობის საგნებს, თავის ეგოისტურ მისწრაფებებს და სრულიად არ უთმობენ ადგილს სულს.

ამქვეყნიური ცხოვრება — ძვირფასი ნიჭია, რომელიც ღვთისგან გვაქვს მომადლებული. ჩვენ კი მას ზოგჯერ განვლევთ უაზროდ და უღარდელად. ვივიწყებთ ამქვეყნიური ცხოვრების ხანმოკლეობას, ზოგჯერ წარსულზე ვდარდობთ, ხან კი, მომავალს შევფურებთ დიდი იმედებით, აწმყო, კი, ე. ი. ჩვენი ცხოვრება, გადის ამ უნაყოფო ღარდსა და ოცნებაში.

ადამიანს განსაცდელი გაცილებით შეუძს ბუქდება, თუ მას შეხედავს მარადიულობის თვალთ. თუ სწამს მხოლოდ მიწიერი ცხოვრება, მაშინ ამქვეყნიური — ავადმყოფობა, ტანჯვა, განშორება, სიკვდილი უაზრობად წარმოესახება.

სად არის გამოსავალი ამ ჩიხიდან, რაშია აზრი ცხოვრებისა? ცისა და დედამიწის, ღვთისა და ადამიანის კავშირში, ჩვენს მხურვალე და წრფელ რწმენაში.

ცდებიან ისინი, რომელთაც სჭირდებათ მტკიცებები თავიანთი რწმენისათვის. რწმენა თავისუფალი არჩევანია. და იქ, სადაც არის თუნდაც, დაფარული სურვილი სარწმუნოების მტკიცებისა — არ არის რწმენა. ამ შემთხვევაში ჩვენ რწმენისათვის ადგილს აღარ ვტოვებთ, არამედ, გვაქვს მხოლოდ ცოდნის სურვილი. რწმენისათვის უარყოფითი პოლემიკა საშიში არაა, არც მისი გამოცდაა საშიში გონებითა და ცოდნით. მრავალი ასეთი გამოცდა გადაუტანია მას საუკუნეების მანძილზე და ახლაც გადააქვს. მისთვის საშიშია ისუსტე ჩვენი სულისა, ინდფერენტულობა, უნებისყოფობა. მორწმუნეთა გულგრილობა ბევრად საშიშელია, ვიდრე ის ფაქტი, რომ საერთოდ, არსებობენ ურწმუნონი.

ყველასი და ყველაფრის შემაკავშირებელი არის სიყვარული, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვებით: „სულ-გრძელ არს და ტკბილ; სიყვარულსა არა ჰშურს, სიყვარული არა მალლოინ, არა განლაღნის, არცა სარცხუნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეპრაცხის ბოროტი, არა უხარიან სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყვარული არასადა დავარდების“ (I კორინთელთა 13,4-8).

ეს ჭეშმარიტად სიყვარულის ჰიმნია, რომელიც უნდა იყოს ყოველი ადამიანის მამოძრავებელი საწყისი. სიყვარული აერთიანებს ორ ცალკეულ პიროვნებას და შედეგში იქმნება სამი — ღმერთი, შენ და მე. ადამიანები სიყვარულით ერთიანდებიან ერთმთლიანობაში, ერთ ეკლესიად, ერთ ქრისტეს სხეულად.

განსხვავებული თვისება სიყვარულისა, —

ამბობს ღირსი მამა ნილოს სინელი, — მასშია, რომ იგი აერთიანებს ყველას, თვით სულის შინაგან წყობამდე, რის შედეგად, ყოველი ადამიანი თავის ტანჯვას გადასცემს სხვას და სხვათა განსაცდელს ღებულობს თვითონ. ე. ი. ყველა ყველასათვის პასუხს აგებს და ყველა ყოველთათვის იტანჯება.

როგორც ამბობს წმიდა ეგნატე ღმერთმემოსილი: „სიყვარული არის ღვთისკენ აღმყვანელი გზა“. ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი კი ასე განგვიმარტავს: „ვისაც არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, ის ვერ შესძლებს ირწმუნოს იგი“.

ღვთის სიყვარულს, რომელშიც გაერთიანებულია ყოველისმომცველი სიყვარული მამისა, შეწირული სიყვარული ძისა და განმანათლებელი სიყვარული სულისა წმიდისა, კაცობრიობა უნდა პასუხობდეს შვილური სიყვარულით. წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „უკეთუ ვინმე თქვას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი და ძმაი თვისი სძულდეს, მტყუარ არს...“ (I იოანე 4,20).

შესანიშნავია წმიდა ისიდორე პელუსიოტის სიტყვები: „თუმცა სიყვარული ღვთისადმი დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო ძვირფასია, როდესაც შეერთებულია სიყვარულით მოყვასისადმი. მაგრამ იმისათვის, რომ სხვა შეიყვარო, საჭიროა დაძლიო საკუთარი თავი, ეგოიზმი და სიამაყე.“

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, როდესაც ჩვენ უხვად ვასაჩუქრებთ ერთმანეთს სიხარულითა და სიყვარულით, მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქორწინების საიდუმლოების სიდიადე, რომლისადმი დამოკიდებულება დღესდღეობით შესუსტებულია.

ქორწინება და შვილიერება ღვთით დადგენილი მისტერიაა. ესაა ახალი ცხოვრება. ქორწინების შემდეგ ადამიანი სრულებით იცვლება, უფრო მეტად ვითარდება მისი პიროვნება, ახლებურად ხედავს, ახლებურად შეიცნობს ცხოვრებას, თითქოს-და, ხელახლა დაიბადა მშვენიერ სამყაროში. ქორწინება დაურღვეველია. მაცხოვარი ამბობს: „რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ“ (მარკოზი 10,9). არც დაქორწინებულ მამაკაცს და არც, მითუმეტეს ქალს, მეუღლეობისას ერთმანეთის მიმართ არა აქვთ აბსოლუტური უფლება. თუნდაც, სიყვარულით გამოწვეული ძალდატანება კლავს თვით სიყვარულს; იბადება კითხვა: საჭიროა თუ არა დამორჩილება იმ ძალდატანებისადმი, რომელშიც იფარება ყველაზე უძვირფასესის დაკარგვის საშიშროება? უმეტესი რაოდენობა უბედურ ქორწინებათა სწორედ, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მხარე თვლის თავს იმის მესაკუთრედ, ვინც უყვარს. უდიდესი სიბრძნეა ქორწინებისა:—„მისცე თავისუფლება მას, ვინც გი-



ღმერთი ნათელ არს



განმბანო მე და უფროს თოვლისა განესქეტა-
ნე, მასმინო მე გალობა და სიხარული.

მცხეთობა. 14 ოქტომბერი.



ყვარს. მხოლოდ ქორწინებაშია შესაძლო ადამიანის სრული შეცნობა. დაქორწინებამდე ადამიანი ღრმად ვერ შეიცნობს ცხოვრებას, უყურებს მას შორიდან და მხოლოდ დაქორწინებისას შედის ცხოვრების სიღრმეში მეორე პირის მეშვეობით, რაც ხდის მას უფრო მდიდარს და ბრძენს.

ეს ორთა სისრულე უფრო ღრმავდება ბავშვების დაბადებით. ბავშვში ადამიანი ხედავს თავის სახეს, ჩვევებს, მიდრეკილებებს. როგორც გამოცდილებიდან ვიცით, სრულყოფილი მეუღლენი შობენ სრულყოფილ ყრმას, რომელიც შემდეგ განაგრძობს განვითარებას სრულყოფის კანონით. თუ მეუღლეებს შორის განხეთქილება და წინააღმდეგობაა, მაშინ ბავშვიც ნაყოფია ამ განხეთქილებისა და აღრმავებს მას. ასეთია გენეტიკის კანონი. ამასთან ერთად, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშვში მშობლებთან მსგავსების გარდა, არის რაღაც ინდივიდუალური, განუმეორებელი. მას აქვს საკუთარი გზა სულიერი და ფიზიკური განვითარებისა. ბავშვების აღზრდისას ყველაზე უმთავრესია მშობლების მაგალითი. მათი შინაგანი ცხოვრება, სიმართლე და ჭეშმარიტება.

ცნობილმა ფილოსოფოსმა და დიდმა ღვთისმეტყველმა, მამა პავლე ფლორენსკიმ, რომელიც აღიზარდა თბილისში, სამაგისტრო დისერტაციის დაცვისას თქვა: „ჭეშმარიტება თვით ყალიბდება ჭეშმარიტებად. ეს თვითჩამოყალიბებული ჭეშმარიტება გამოიხატება სიტყვით — ერთარსება. ამგვარად, სამების დოგმატი რელიგიისა და ფილოსოფიის საერთო ფუძედ იქცევა“. ერთარსების ფილოსოფიისათვის შეუძლებელია იყოს განხეთქილება სიტყვასა და საქმეს, ლოცვასა და ღმერთს, რწმენასა და ცხოვრებას, რწმენასა და სიყვარულს შორის. ცხოვრება უნდა იყოს ერთარსი რწმენისა, ადამიანი კი — სიყვარულისა.

დრო წარმოადგენს ჩვენთვის ღვთისაგან მომდებლურ ძვირფას საგანძურს, რომელიც მოგვემადლა არა იმისათვის, რომ ამაოდ განვვლოთ იგი, არამედ, სულიერი და ფიზიკური ძალების შესაძლო დაძაბულობით, გამოვიყენოთ სხვისა და ჩვენს სასარგებლოდ.

ძალების მაქსიმუმის დახარჯვისას ჩვენ კი არ ვუძღვრებით, არამედ, ვამრავლებთ მათ წყაროებს.

მარადისობა ყოველდღიურად კარზე გვიკაკუნებს და გვახსენებს, რომ მალე დადგება დრო მასთან ჩვენი შეხვედრისა. ყოველი განვლილი დღე და საათი მარადისობის გამოძახილია. ნეტარი ავგუსტინე ამის შესახებ შესანიშნავად ამბობს:

„სად არიან დღეს იმ მძლე ტომთა შთამომავალნი, რომელნიც ალაგსებდნენ სამყაროს გასულ საუკუნეთა მანძილზე? სად გადაიკარგნენ

ისინი, ვინც არსებობდა წარსულში? ისინი მიედინებოდნენ მდინარის მსგავსად და გაუჩინარდნენ მარადისობის შესართავში. ყოველი მზის ჩასვლისას ილუპება ნაწილი კაცობრიობისა, ყოველი დამე წარიტაცებს თავის წყვდიადის საბურველში დედამიწის მრავალ მკვიდრთ. მაგრამ ადამიანი მთელი თავისი არსებით უზრუნველად შეზრდილია დედამიწას, თითქოს არასდროს გაეყრებინან ერთმანეთს.

ვაი თქვენდა, ბაბილონი და ტროა! ერთ დროს ძლიერნი და დიდებულნი, თქვენ აღარ ხართ! ბედისწერაში კვითხულობთ ხვედრს იმ სახელმწიფოთა, რომელნიც ამჟამად იქცევენ მსოფლიო ყურადღებას“.

დასასრულ, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო მასზე, რომ დღესდღეობით მთელი მსოფლიო ეძებს სხვადასხვა სარწმუნოების, კულტურისა და იდეოლოგიის მქონე ადამიანთა შორის დაახლოების გზებს. მთელი კაცობრიობა ჩაბმულია სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმიანობაში. არსებობს ურთიერთდამოკიდებულება ადამიანთა და გარემომცველ გარემოს შორის.

დადგა დრო, როცა ომებს აღარ შეუძლიათ გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომელნიც არსებობენ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის. როცა ყურადღებით კვითხულობთ მსოფლიოში წარმოქმნილ კონფლიქტებს და მათ შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირებს, შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ნათლად გამოხატავენ ისინი იმ ადამიანთა ხასიათის თვისებებს, რომელთა წიაღშიც, ან რომელთა ნებითაც ეს ომები აღმოცენდებიან; ეს ვლინდება ნებისმიერი მასშტაბის მოვლენებში — პირადი იქნება ეს, თუ ოჯახური, საზოგადოებრივი თუ საერთაშორისო. ადამიანი თავისი თავისუფალი ნებისყოფით ირჩევს ორიდან ერთს — სიკეთეს, ან ბოროტებას.

დღეს იმდენად არის გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობა, რომ ემუქრება მსოფლიო მშვიდობას. ასეთ ვითარებაში საეკლესიო მოღვაწეებმა და ეკლესიის გარეშე მდგომმა ადამიანებმა, უნდა გააერთიანონ თავიანთი შესაძლებლობები მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

უფალო, ჩვენ გვესმის ხმაჲ შენი: „ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ, ნუ შესცთები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ, და მოგიკრძაღე შენ მარჯვენითა მართლითა ჩემითა“ (ისაია 41,10).

„სიმართლე შენი სიმართლე არს უკუნისამდე, და ჰსჯული შენი ჭეშმარიტ“ (ფს. 118,142). მადლი, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული უფლისა ჩვენი იესო ქრისტესი იყოს თქვენ ყოველთა თანა.

ჭეშმარიტად აღსდგა ძრისტი!

ილია II ვიზიტი შვეიცარიაში

1981 წლის 9—19 თებერვალი

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და შვეიცარიის ევანგელისტური ეკლესიების ფედერაციის მიწვევით, 1981 წლის 9-დან 19 თებერვლამდე შვეიცარიაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი **ილია II**. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს თან ახლდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე), დიაკონი ზურაბ სირაძე და საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი, თარჯიმანი ბორის გაგუა.

ჟენევის აეროპორტში კათოლიკოს-პატრიარქ **ილია II** დახვდნენ კონსტანტინეპოლის ეკლესიის მისიისა და რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელნი ჟენევაში.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სხდომები, რომლებიც მიმდინარეობდა ჟენევაში 9-დან 13 თებერვლამდე, განიხილავდა თანამედროვე საზოგადოების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: „ოჯახი და ეკლესია“, „ეკლესიის როლი ბავშვის აღზრდის საკითხში“ და „უუნაროთა პრობლემა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ 1981 წელი გამოაცხადა უუნაროთა წლად.

11 თებერვალს რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა ჟენევაში, ვიტალი ბოროვოიმ, თავის რეზიდენციაში სადილი გამართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ **ილია II** პატივსაცემად, რომელსაც ესწრებოდნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასკომის წევრები და ლენინგრადის სასულიერო აკადემიის რექტორი — ეპისკოპოსი კირილე.

13 თებერვალს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აღმასკომის დასკვნითი სესიის დამთავრების შემდგომ, საერთაშორისო ქრისტიანული რელიგიის გამოჩენილმა მოღვაწემ ლუკას ფიშერმა საკუთარ ბინაზე მიიპატიჟა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირნი. სტუმართა შორის იყვნენ ლენინგრადის სასულიერო აკადემიის რექტორი კირილე, შვეიცარიის ევანგელისტურ ეკლესიათა ფედერაციის გენერალური მდივანი ჟან-პიერ ჟორნო მეულლითურთ, ნოიპაუზენის ეკლესიის წინამძღვარი პეტრე ფელბერი და სხვა ოფიციალური პირნი.

14 თებერვალს დილით, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია კათოლიკოს-პატრიარქ **ილია II** ხელმძღვანელობით გაემგზავრა სენ მორისის სააბატოში და ეწვია სენ მორისის მონასტერს, სადაც დელეგაცია მიიღო მონასტრის წინამძღვარმა, მონ სინიორ ჰენრი სალინამ. დელეგაციამ დაათვალიერა სენ მორისის მონასტერი და მისი საგანძური.

14 თებერვალს დილით, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია კათოლიკოს-პატრიარქ **ილია II** ხელმძღვანელობით გაემგზავრა სენ მორისის სააბატოში და ეწვია სენ მორისის მონასტერს, სადაც დელეგაცია მიიღო მონასტრის წინამძღვარმა, მონ სინიორ ჰენრი სალინამ. დელეგაციამ დაათვალიერა სენ მორისის მონასტერი და მისი საგანძური.



აღმასკომის სხდომა ჟენევა-სთან ახლოს. ჯონ ნოქსის ცენტრი

სრულიად საპარტევლო კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II სიტყვა, წარმოთქმული შვეიცარიის სან მორისის მონასტერში

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ღირსნო ბერ-მონაზონონო, მოგესალმებით რა საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის სახელით, მსურს, ჩემი სურვილებით კიდევ უფრო შევმატო ნათელი თქვენს სულში უფლის მიერ დანთებულ წმიდა კანდელს.

დღეს, არანახელი მეცნიერული პროგრესის საუკუნეში, როგორც ყოველი ადამიანის გულში, ისე მთელს ჩვენს პლანეტაზე მიმდინარეობს მძიმე ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, რომელშიაც ქრისტეს ქვეყნებში მიმდევართ მრავალი ტანჯვა-წამების გადატანა მოუწევთ, ვიდრემდე დღემთაზე დამკვიდრდებიდეს სასუფეველი ღვთისა. მსოფლიოს ხალხთა უდიდესი მქადაგებელი ამბობს: „სასუფეველი ღმრთისაი არს სიმაართლე და მშვიდობა და სიხარული სულთა წმიდითა“ (რომ. 14, 17). როდესაც ფარისეულებმა პითხეს მაკცხვარს: „როდეს მივიწოდებ სასუფეველი ღმრთისაი? მიუგო იესო და პრეტუ მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაი ზმნით; არცა თქუან: აჰა აჰა, ანუ იქი. და აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუნესა არს“ (ლკ. 17, 20—21). ამიტომაც არის, რომ დღევანდელ მსოფლიოში ყოველი ქრისტიანის წმიდათაწმიდა ვალია, ბრძოლა მშვიდობისა და სამართლიანობისათვის, რითაც აღვასრულებთ ღმერთის ნებას, ღმერთის ნება კი, დედამიწაზე აწებებული ღვთის სასუფეველია, გასრულებული სიმაართლეში, სიწმიდესა და სიყვარულში.

განხორციელებული უფალი ჩვენი, იესო ქრისტე მოვიდა დედამიწაზე, რათა ეხსნა ადამიანი ცოდვებისაგან. მან სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი, დააქცია მუდუღება ეშმაკისა და შეარიგა ადამიანი ღმერთთან. ქრისტეს აღდგომით, მთელს კაცობრიობას ემცნო აუწყრელი სიხარული მონანიებისა და სიმაართლისა, რომლის ნიშნადაც მოვე-

ლნა ქვეყანას მანუგეშებელი სულიწმიდა. ღმრთით მოვლინებული სულიწმიდა ყოველთვის მოქმედებდა და მოქმედებს კაცობრიობის მშვიდობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში. პავლე მოციქული საქვეყნოდ აცხადებს, რომ „სიტყუაი ჩემი და ქადაგებაი ჩემი არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათათა, არამედ გამოცხადებითა სულისათა და ძალითა“ (კორინთ. 1, 2).

იმედის დამყარება ქრისტეზე, არ ნიშნავს, ვიყოთ თვითდამშვიდებულნი, ანდა, უსუსურნი ბოროტი ძალებისაგან განადგურების შიშის წინაშე. იმედის დამყარება ქრისტეზე ნიშნავს ცოდნას, რომ ჩვენ ვართ ახალი ქმნილება, განსხვავებული ცემრთის მიმდევრობა მდგომარეობს არა მასში, რომ ღმერთს მივანდოთ იმის გაცეობა, რაც ჩვენ, ადამიანებმა უნდა გავაკეთოთ კაცობრიობისათვის. ეს პირველ რიგში, ეხება ქრისტიანულ სოლიდარობას, სხვადასხვა მშვიდობადაა ერთ მთლიან ეკლესიად შეერთებას, რომლის თავიდათავია ჩვენი უფალი და მხსნელი იესო ქრისტე. იგი ამბობს: „მე ვარ ანი და პაე, პირველი და უკანასკნელი, დანიაში და დასასრული“ (გამოცხ. 22, 13).

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, როდენ სასიხარულოა ჩვენთვის, რომ თქვენს მშვენიერ მიწყარობზე მღებარეობს წმიდა მთის-სიონის სახელის მატარებელი ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ VI საუკუნეში დაფუძნდა საეპისკოპოსო. სიონის ეპარქიამ ხომ უდიდესი როლი შეასრულა თქვენი ქვეყნის სულიერი აღორძინების საქმეში, ვითარცა დიდი წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: „მოვილინენ შენდა შემწე წმიდით მისით და სიონით გამო ხელი აღვიპყარ შენ“ (ფსალ. 19, 3).

ჩვენ, ეკლესიის წარმომადგენლო, შეგნებული გვაქვს პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობის ბედისაღმი და ამიტომაც, განუხრებლოდ აღვასრულებთ, რათა: „აწ უკუე მშვიდობასა შეუდგეთ და აღშენებასა ურთიერთასა“ (რომ. 14, 19).

ჩვენ, ღვთისმსახურნი, ვერთიანდებით მთელს კაცობრიობასთან ერთად, რათა ცხოვრებაში განვახორციელოთ ანგელოზთა ჰიმნი: „ღიდებოი მალალოა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სთნოებაი“ (ლკ. 2, 14). ცემრთა გაკურთხოთ თქვენ და განაძლიეროს ძალნი თქვენნი.

„მალი თქვენ და მშვიდობაი. გამარჯვდინ მეცნიერებითა ღმრთისათა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ამინ! (2 პეტ. 1, 2).

სენ მორისის მონასტრიდან საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ქალაქ ლოზანაში გაემგზავრა, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II პატივსაცემად ვოს კანტონის ეკლესიათა სინოდალური საბჭოს წევრებმა გამართეს — სადილი. საბჭოს წევრთა სახელით კათოლიკოს-პატრიარქს მიესალმა პასტორი ჟან დანიელ შაპიუ.

სადილის შემდეგ საქართველოს ეკლესიის საკეთმპყრობელი და მისი თანმხლები პირნი გაემგზავრენ ქ. ბერნში. გზად მიმავალთ დაათვალიერეს ქალაქ პაერნის დიდებული ტაძარი.

15 თებერვალს, დილით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაესწრო ქალაქ ბერნის ნიდვგის ტაძარში ჩატარებულ საკერძო ლოცვას, რომელიც მიჰყავდა ტაძრის წინამძღვარს, — კურტ მარტის.

წირვის შემდგომ შვეიცარიის პროტესტანტულ ეკლესიათა ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა ჟან-პიერ ჟორნომ სასტუმრო „ბერნში“ მოაწყო შეხვედრა საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის პატივსაცემად.

სრულიად საპარტევლო კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II სიტყვა შვეიცარიის ეპანგალიზატორ ვალენიათა ფაშარაინის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს

ბატონებო! უდიდესი სიხარულითა და ქრისტესმიერი სიყვარულის გრძნობით მივესალმები შვეიცარიის ეკლესიათა ფედერაციის, მის ღირსეულ ხელმძღვანელებს და ეუსურვებ ნათელ სიცოცხლესა და წარმატებებს მათ დიდ საქმეში.

ბატონებო! ჩვენ გახლავართ იმ ქვეყნიდან, სადაც, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დავალებით, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიყრებზე, პირველ საუკუნეში, იქადაგეს წმ. მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. ამიტომაც არის, რომ პირველი საუკუნიდან საქართველო იწოდება ღვთისმშობლის წილ-

ხვედრ ქვეყნად, ხოლო, საქართველოს ეკლესია ატარებს სამოციქულო ეკლესიის სახელს.

ჩვენ გახლავართ იმ ქვეყნიდან, სადაც პირველ საუკუნეში დაიკრძალა იერუსალიმიდან ჩამოტანილი კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ჩვენ გახლავართ იმ ქვეყნიდან, სადაც აღესრულა მსოფლიო წმიდა მამა და უდიდესი ღვთისმეტყველი, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი იოანე ოქროპირი. საქართველოშივე ჰპოვა სამუდამო განსახელებელი მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესმა აპოლოგეტმა და

ღვთისმეტყველმა, წმიდა მამა მაქსიმე აღმსარებელმა.

მაინც, ივერიის ძეგლთაძეგლ მიწაზე ქრისტიანობის საბოლოო აღიარების ისტორიული მისია ხედა კანალოკის ქართული კოლონიიდან გამოსულ და ქართული წარმოშობის პატიოსან ქალწულს, მოციქულთა სწორს, წმიდა ნინოს, რომლის სასწაულებმა და კეთილმა მოღვაწეობამ განაპირობა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 326 წელს. აღსანიშნავია, რომ წმ. ნინოს ჩვიდმეტსაუკუნოვანი ვაზის ჯვარი, რომლითაც იგი შემოვიდა საქართველოში, დღესაც ინახება თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში, როგორც ქრისტიანობის უდიდესი რელიკვია.

მართალია, ეს ყოველივე ისტორიაა, მაგრამ ისტორიის ღრმა ცოდნის გარეშე, შეუძლებელია მომავლის რეალურად განჭვ-

ქალაქმა ხრულიანმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II წარმოთქმული ჟ. ბერნი

რება. ქართველი ერი და ქართული ეკლესია მუდამ მშვიდობის სადარაჯოზე იდგა და ასე იქნება მომავალშიც. ამის ნათელი დადასტურებაა ჩემი, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პირველი ოფიციალური ვიზიტი თქვენს წარმატებულ მიწა-წყალზე. ვფიქრობთ, რომ ეს დადებითი მოვლენაა. ეს არის ხიდი, რომელიც ჩვენს შორის შენდება და მიმართავს, რომ ჩვენი შეხების წერტილები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი დაახლოება, როგორც ვთქვამთ, მაგალითად, დეკლარაციების გაცემა; აგრეთვე, მჭიდრო სასულიერო, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობანი. ჩვენ ვეცდებით, მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ თქვენს საეკლესიო ბეჭდვით ორგანოებს ჩვენი ერისა და ეკლესიის შესახებ. ეს ყოველივე საჭიროა, რათა ქრისტიანული ეკლესია ემსახუროს ხალხთა მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერების საქმეს.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი ხომ სწორედ, მშვიდობის საკითხია. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ხანაში, კაცობრიობამ დააგროვა ისეთი სრულყოფილი იარაღი, რომელსაც შეუძლია მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე. განა შეიძლება, ასეთ შემთხვევაში, ეკლესია მხოლოდ მყუერბლის როლში იყოს და არ აღიმალოს ხმა მშვიდობის დასაცავად?

მე, როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, ყველაფერს ვიღონებ ამ უპარტისოდ დიდი და პირველხარისხის მნიშვნელოვანი საკმის აღსასრულებლად;

თქვენს ქვეყანაში რამდენიმე დღით ყოფნის დროს, კიდევ ერთხელ შევიგრძენი, რომ შევიცარია და საქართველო საოცრად გვიან ერთმანეთს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებით, თავისი ხალხით და სტუმართმოყვარეობით. და რაც მთავარია, თავისი გიგანტური მთებით. ცაში აწვდილი და მარადიული ყინულის ჩაჩქანით თავშებურული თქვენს ალპებს და ჩვენს კავკასიონს თითქოს-და, უფრო ახლოს დგანან ღმერთთან და უფლისადმი აღვლენენ ლოცვას, როგორც ეს დანეღ წინასწარმეტყველმა სთქვა: „აქურთხევდით მთანი და ბორცუნი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუქუნეთა“ (დან. 3,75).

ჩვენ, ქრისტიანები, ყველაფერს გავაყენებთ იმისათვის, რომ 2000 წელს ჩვენი ცისფერი პლანეტა აყვავებული და მშვიდობიანი შეხვდეს უფლისა და მხსნელის, იესო ქრისტის ოცსაუკუნოვან იუბილეს.

ერთხელ კიდევ გისურვებთ მზეგრძელობას და გავდარბებ მხურვალე ლოცვას აქურთხევის მშვიდობისა და მშათა შორის ქრისტესმიერი სიყვარულისათვის.

იმავე საღამოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II** ზერნის ძველ კათოლიკურ ტაძარში აღასრულა მწუხრის ლოცვა, რომლის შემდეგ უამრავი მრევლის წინაშე წარმოთქვა ქადაგება.

სახელითა მიმისათა, და ძისათა, და წმინდისა სულისათა!

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდრით, დღევანდელ დღეს ეწოდება მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე და დღესვე, ქართველი ერი დღესასწაულობს მირქმას უფლისას.

იგავი მეზვერისა და ფარისევლის შესახებ მუდამ აღვლევდა და დღესაც არანაკლებ აღვლევს აღამიანს. საოცარი დამთხვევაა. თითქოს ეს იგავი ჩვენთვისაა შექმნილი.

დღევანდელი კაცობრიობა შეპყრობილია იმ სენით, რომლითაც იყო დაავადებული ფარისევლი, — ეს არის ამპარტავნობა.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მეცნიერებით და ტექნიკით, დაგროვილი იარაღით. ძალიან ხშირად, ჩვენ ვამაყობთ ისეთი რამით, რაც არ არის სამაყო, რაც სძულდათ და რასაც უარყოფდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები. ბევრი თანამედროვე აღამიანი ელარ ხედავს საკუთარ სულიერ სიღატაკეს, ავიწყდება, ვინ არის იგი, საით მიდის და სადამდე მივა, თუ ამ გზით იარა.

რა გეჭირდება ჩვენ, რა გადაარჩენს თანამედროვე კაცობრიობას, რა გამოიყვანს მას იმ ჩიხიდან, სადაც თვითონვე შევიდა? გადაარჩენის გზა მხოლოდ ერთია: ღმერთთან სიახლოვე, მტკიცე რწმენა, მოყვასის სიყვარული და მეზვერის თავდაბლობა.

რას წარმოადგენს აღამიანის ცხოვრება? იგავი წრე, რომელიც გამოიღის ღმერთიდან და უნდა დაბრუნდეს ისევ ღმერთში. იბადება აღამიანი — ნაყოფი ღვთისა და კაცის სიყვარულისა; იბადება იმ თვისებებით, რაც უნდა ახასიათებდეს ხატსა და მსგავსებას ღვთისას, იბადება იმ გენეტიკური მონაცემებით, რითაც დააჯილდოვეს იგი მისმა მშობლებმა.

იზრდება ბავშვი სულიერად და ფიზიკურად, ჩვენ ვცდილობთ, მივცეთ მას ყოველმხრივი განათლება და ბავშვი, როგორც ღრუბელი, ყველაფერს იწოვს, ყველაფერი სწავს, ყველას სჯერა! როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: მას ახლავს გული წმიდა და სული წრფელი. ახალგაზრდობის პერიოდში ეს გულმართალი აღამიანი ყველაფრის კრიტიკული თვალით ჰვრეტას იწყებს, რადგან ირლევია მისი რწმენა და მისი ნდობა კაცისადმი, ირლევია მისი იდეალები. ამ ბოპოქრულ პერიოდში იგი ძალიან ხშირად შორდება ღმერთს. იქმნება წარმოდგენა, თითქოს ღმერთმაც დასტოვა იგი. აღამიანი ამ პერიოდში ჰგავს ბავშვს, რომელსაც დედა აჩვენებს სიარულს. დააყენებს, თვითონ კი დადგება შორიახლოს და ელოდება თვისი შვილის პირველ ნაბიჯებს. ბავშვი შიშით სდგამს პირველ ნაბიჯებს.

ახალგაზრდა, გარკვეული დროის განმავლობაში რწმუნდება, რომ ეს ქვეყანა გაიმოსწორებელია და თვითონაც თანდათან

იმ გზით სიარულს იწყებს, რომელსაც ადრე აკრიტიკებდა. ხშირად, აღამიანი ფიქრობს, თითქოს ცოდნაშია ბედნიერება, იქნის ცოდნას, მაგრამ ბედნიერი ვერ ხდება, იქნის ქონებას, სახლ-კარს, მაგრამ ბედნიერი მაინც ვერ ხდება. იგი აანალიზებს თავის მდგომარეობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ აკლია სულიერი ფასეულობანი; მას აკლია რწმენა, აკლია ღმერთი. ეძებს და პოულობს ღმერთს და ამით იკვრება მისი ცხოვრებისეული წრე. ბედნიერია, ვინც შეჰყავს თავისი ცხოვრების წრეს. როგორც ამბობს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, ყველაზე კარგი კონზომიერება არის ის, როდესაც აღამიანი იწყებს ღმერთით და ამთავრებს ღმერთით. რა უნდა იყოს აღამიანისთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც უნდა დაუახლოვოს იგი ღმერთს და მოყვასს? პასუხი ერთია — სიყვარული, რომელიც ჩვენ გვწამს, რომელსაც ჩვენ ვაღიღებთ და ვეთაყვანებთ, რომელსაც ვადაგებენ წინასწარმეტყველები და მოციქულები.

საფუძველი სიყვარულისა უნდა იყოს მტკიცე რწმენა, რადგან, როგორც ამბობს მოციქული მარკოზი: „ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“ (მარკ. 9,23). ჭეშმარიტად, მორწმუნე აღამიანი მუდამ ატარებს თავის გულში მაცხოვრის სახეს და ეს სახე უნათებს მას ცხოვრების გზას. ასეთს მუდამ ახსოვს სიტყვები მაცხოვრისა: „უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქუნთ თანა ეგნენ, რაიცა გინდეს, ითხოვეთ, და გეყოს თქუნენ“ (იოანე 15,7).

რას ვთხოვთ ჩვენ დღეს უფალს? არა მარტო იმას, რომ აღამიანმა ფიზიკურად იარსებოს დედამიწაზე, არამედ, იმასაც, რომ უფალმა გადაარჩინოს აღამიანი სულიერი გადაგვარებისაგან, სულიერი რღვევისაგან.

ჩვენ ვითხოვთ უფლისაგან, რომ აღამიანს აეხილოს სულიერი თვალი და დაინახოს გზა სიმართლისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ იარსებებს დედამიწა, აქ არ გამოილევია არც მეზვერე და არც ფარისევლი. მე ვთხოვ უფალს, რომ მეტი თანაგრძნობა, სიყვარული და ურთიერთგაგება ყოფილიყოს თანამედროვე მეზვერეთა და ფარისევლთა შორის.

დღეს კაცობრიობა მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ეს პრობლემები ისევეა სულიერი, როგორც მიწიერი. ამიტომ ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება მათი გადაჭრა. უნდა შეერთდეს ნება ღვთისა და ძალა აღამიანისა. ამ ორი ძალის ერთიანობა გადაგვარჩენს ჩვენ.

მადლი უფლისა, სიხარული და სიყვარული იყოს თქვენ თანა.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა

ა მ ი ნ

16 თებერვალს, დილით, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია გაემგზავრა ქ. გვატში, სადაც გვატის ხელმძღვანელობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივსაცემად, გამართა საუზმე. საუზმის შემდგომ დელეგაცია ისევ ქ. ბერნში დაბრუნდა და მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის მიერ. მიღების შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანხლები პირნი გაემგზავრნენ ქ. შაფჰაუზენში, სადაც შაფჰაუ-

ზენის კანტონის ეკლესიათა საბჭომ, წინამძღვარ კრისტოფ ბაფის ხელმძღვანელობით, მოაწყო სადილი საქართველოს ეკლესიის დიდი მუფის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II პატივსაცემად.

იმავე საღამოს, შაფჰაუზენის მიუწმეტარის კაპელაში ჩატარდა მწუხრის ლოცვა, რის შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეხვდა შაფჰაუზენის პასტორებს და წარმოთქვა სიტყვა:

ბატონო პროფესორ-მსწავლებლებო, სასულიერო აკადემიის მსმენელებო! ნება მომეცით, მოგესალმოთ საქართველოს უძველესი ეკლესიის სახელით, ეკლესიისა, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ეზიარა ქრისტეს მოძღვრებას და იმ დროიდან მოყოლებული, ოცი საუკუნის მანძილზე, აღაღწესა ლოცვას ღმრთისადმი, რომელიც არის შემოქმედი, დასაბამი, დასაწყისი, პრინციპი, მიზეზი, არსება და სიცოცხლე, ერთობა, ერთიანობა თავისი უზენაესი მხოლოდობისა, ერთობა თავისი უხვობისა, სამი პიროვნებისა, ღმრთებრი მამობა და ადამიანური მამობის მიზეზი.

დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული პროგრესის ეპოქაში, ადამიანი მეტრისმეტად გამოიწვია. ამიტომაც, ის განიცდის სულიერ შიმშილს. სულიერი ცხოვრება კი აუცილებელია, როგორც პური ჩვენი არსობისა, როგორც ჰაერი და წყალი. ზეცის ხმა ოდნავ-და ესმის ადამიანთა დაჩაუნგებულ სულიერ სმენას. უნდა გქონდეს ძალიან ნაზი, მგრძობიარე გული, რომ ყოველდღიური შთაბეჭდილებების, ინფორმაციების, ცხოვრებისეული ამოცანებისა და ვნებების ასეთ ორომტრიალში გაიფიქრო ზეცის ხმა, მარადიული დიდების და მარადიული სიხარულის ჰანგები.

ჩემს მიერ დახატული სურათის მიუხედავად, შეიძლება პარადოქსულადაც გვეჩვენოს, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში თვალნათლივ შეიმჩნევა ქრისტიანული და სხვა მონოთეისტური რელიგიების აღორძინება. ამ რთული პროცესის წამომწყებად ისევ და ისევ, მაძიებელი სულის ახალგაზრდობა გვეკვლინება, რომელიც ცდილობს თავის ფიზიკურ ყოფიერებაში პრიორიტეტული მნიშვნელობის სულიერ ყოფიერებას. ე. ი. მას სურს სულიერი ზრდა. სულიერი ზრდასათვის კი, აუცილებელია ღმრთის ცნობა. უკეთეს, გსურს იცნო ღმრთი, უპირველესად, იცან თავი თავისი, შეისწავლე შენი ბუნების აგებულება, ეცადე, ჩასწვდე შენს სულიერ სამყაროს, ჩაიხედ შენს სულში და, როგორც სარკეში, შენს სულიერ და ფიზიკურ არსში დაინახე ღმრთის, რომლის სახედ და მსგავსად შექმნილი ხარ შენ. შენი სული უხილავია, გონიერია. უკედევი და მიუწვდომელია თვით ღმრთი, რომელიც არის უზენაესი ძალა.

ძველი და ახალი აღთქმანი გვასწავლიან, რომ საწყისი ყოვლისა არსებულისა არის ღმრთი, არამზობილი და მარადიული, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და დასასრული, იგი აუწერელი, არაზორციელი და

უხილავია; ამასთან, მარტივი, მაგრამ ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი. იგი სახიერი, ნათელი ძალაა, თუმცა, ვერავითარი გონებითა და ზომით ვერ განისაზღვრება. ღმრთია სული უზენაესი, ცხოველყოფელი, ყველგან მყოფი და ყოველთა აღმშენებელი მადლითა თვისითა.

ბიბლია — ეს ღმრთის შესახებ ტრაქტატი კი არ არის, არამედ, გზაა, რომელსაც მივყავართ ღმრთთან. იგი მოგვიწოდებს, ვიყო მუდმივი კავშირი მასთან.

როცა ჩვენ გვსურს, რაღაც ვიცოდეთ ღმრთის შესახებ, არ უნდა დავგვიწყდეს, რომ ის არის მიუწვდომელი სული, რომლის წინაშე ფიზიკური ხედვა უძლურია. მიუხედავად ამისა, თუმცა, ადამიანი ვერ წვდება ღმრთის არსს, მაგრამ იმას, თუ როგორ გამოვლინდება ღმრთის სიყვარული და მისი ცხოველყოფელი ძალა ქვეყანასა ზედა, მორწმუნე ადამიანი ნათლად ხედავს. მე ვამბობ: მორწმუნე ადამიანი! რადგან კეშმარტივი მორწმუნე ახლოსაა ღმრთთან, მან გაუღო ღმრთის თავისი გული და როცა არსებობს ასეთი სიახლოვე ღმრთსა და კაცს შორის, ადამიანს აღარ უჭირს ღმრთის ცნობა, მასში აღარ არის ვაკუუმი, გაორება.

მაგრამ ადამიანი არ ემაყოფილება მხოლოდ ორმხრივი სიახლოვით, საჭიროა სამხრივი სიახლოვე — ადამიანსა, მოყვასსა და ღმრთს შორის; ამით თითქოს იქმნება წმიდა სამების სიმბოლო. მისი საიდუმლოება შეუძლებელია გაიგოს ადამიანმა. უკვირი ადამიანი მუდამ გრძობს თავის უძლურებას, ამიტომ ის უტოვებს თავის გონებაში და გულში ადვილს როგორც ცოდნას, ისე რწმენას. წმიდა სამების შესახებ ახალი აღთქმა გვაძლევს იმდენს, რაც ადამიანს შეუძლია დაიტოვოს. წმ. მამა, იოანე დამასკელი, წმიდა სამების გასაგებად ხატავს შედარებას იძლევა: მზე, ნათელი და სითბო. ეს სამივე ერთად არის მზე და უკეთეს მზის დისკოს შევადარებთ მამა ღმრთს, ნათელს — ძეს და სითბოს — სულიწმიდას, ჩვენ შევძლებთ წარმოვიდგინოთ წმიდა სამება, რომელიც არის იმავე დროს, ერთი ღმრთი.

არსება, რომელიც ღმრთს ახასიათებს, აგრეთვე, სამივეს, ანუ მამას, ძესა და სულიწმიდასაც ახასიათებს. თანაზიარება, ანუ მონაწილეობა სამივე პირისა ერთ არსებაში, არის არა გარეგნული და ზოგადი, არამედ, ეს არსება რჩება მამაში, ძეში და სულიწმიდაში, ვითარცა განუყოფელი მის ერთიანობაში. პირთა შორის არ არის არა-

ვითარი განსხვავება, არც განყოფილება; მათ შორის არის განუშორებელი მჭიდროება-შეკავშირება.

ღმრთი მხოლოდ შემოქმედი კი არაა, არამედ პანტოკრატორია — მმართველი და მფარველი თავისი ქმნილებისა. ის ზრუნავს ქვეყნისათვის და ყოველი ადამიანისათვის. ხან წყალობს და ხან სჯის მას. განსაკუთრებით სჯის იმას, რომელიც უყვარს. მისი სურვილია, რომ ადამიანმა არ დაიფიქროს თავისი შემოქმედი, თავისი უკედევი სული, თავისი მოყვასი; რომ ადამიანი დროებითაა ამ ქვეყანაზე და მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ზემოქმედის სამყაროშია. ხშირად, ღმრთი განსაცდელს უგზავნის ადამიანს, რომელიც მან ღვთისავე შეწევნით უნდა დასძლიოს. ჩვენ ვიქნებით ბედნიერი და მუდამ ღმრთის მადლიან სხივებში გახვედნი, თუ არ დავარღვევთ ღმრთისაგან კურთხეულს და მისგანვე შეკრულ სამკუთხედს: — ღმრთი, მე და მოყვასი. ამ სამკუთხედში დიდი მადლი ტრიანგულს, რადგან ეს არის სიმბოლო ყოველადწმიდისა სამებისა, სიმბოლო სიყვარულისა. „ღმრთი სიყვარული არს“, — ამბობს წმ. იოანე ღმრთისმეტყველი (I იან. 4,8). სწორედ, აქედან წარმოსდგება ადამიანის სიყვარულიც, და ამიტომაც საჭირო სიახლოვე ღმრთთან. სიახლოვე ღმრთთან თუ გვექნება, ახლოს ვიქნებით ადამიანებთანაც, ამ შემთხვევაში, კურთხეული სამკუთხედი შეკრულია.

სასრული ყოფიერება არაა იფივეობრივი უსასრულო ყოფიერებისა. მიუხედავად ამისა, ყოველივეზე, რაც ეხება ღმრთის ყოფიერებას, ჩვენ ძალგვიძის ვიმსჯელოთ მხოლოდ ჩვენთვის ცნობილ ხილულ ყოფიერებასთან ანალოგიების მეშვეობით. ასოლუტურ ყოფიერებასა და ხილულ სხეულებს შორის არსებითი განსხვავების მიუხედავად, არსებობს ამ სხეულების ღმრთის მიერ შექმნილ განპირობებული აუცილებელი ერთიანობა. სწორედ, აღნიშნული ერთიანობა მეტაფიზიკური ანალოგიების საფუძველი. ჩვენ ვერასდროს გვექნება ღვთიური საწყისის პირდაპირი და აღევატური გაგება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მივალწოთ ხილულ ყოფიერებასთან ანალოგიებზე დაფუძნებულ არაადეკვატურ გაგებას. ამიტომ იზრდება მნიშვნელობა საღმრთო წერილისა, როგორც ღვთაებრივი გამოცხადებისა, რომელიც ჩვენ მოე-

ლის სერიოზულობითა და მოწონებით უნდა შევისწავლოთ.

ამგვარად, ჩვენი რწმენა დაფუძნებულია, როგორც საღმრთო წერილზე, ასევე, ბუნების შეცნობაზე, რადგანაც გარემომცველი სამყაროს ქმნილებების შეცნობა წარმოადგენს ლოგიკურ საფუძველს შემოქმედზე დასკვნის გასაკეთებლად.

მაშასადამე, რწმენა და ცოდნა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არ გამოირიცხავს ურთიერთს, არამედ, სწორი აღქმისას ავსებს ერთმეორეს. ისინი ანტიპოდები კი არა, ერთი ნაკადის ორი წყაროა, ერთი მიზნისაკენ მიმავალი ორი გზაა.

„მარადიულმა, უსასრულომ, ყოვლის-შემძლე ღმერთმა გაიარა ჩემს მიღმა, — წამოიძახა გენიალურმა მეცნიერმა ლინეიმ, დაამთავრა რა თავისი დაკვირვება მცენარეთა ორგანიზმებზე. — მე არ მინახავს იგი პირისპირ, მაგრამ ნათებამ უფლისამ აღავსო ჩემი სული გამოუთქმელი გაცეცხებით. მე ვიხილე კვალი ღმერთისა მის ქმნილებებში და ყველგან, თუნდაც მის უმცირეს, შეუმჩნეველ ქმნილებებშიაც, რაოდენი ძალაა, რაოდენი სიბრძნე და რა გასაოცარი სრულყოფა! მართლაც რომ, დიდებული სიტყვებია.

მაშასადამე, მიზანი ადამიანის ცხოვრებისა ყოფილა მიაჭლოება ღმერთთან, და კიდევ... მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან. ადამიანს კი ღმერთმა მიანიჭა თავისუფალი ნება. ეს ნება შეიძლება წარიმართოს სიკეთისაკენაც და ბოროტებისაკენაც.

ჩვენი მიზანია, ისე წარვმართოთ ადამიანის ნება, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს ღვთის განგებასა და მცნებას ღვთისას. ასევეა სამყაროში არსებულ ღვთებრივსა და ადამიანურ ენერჯიათა შესახებ... და როცა ეს ორი ენერჯია ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, როცა ისინი ერთი მიმართულებით მიედინებიან, ადამიანი უახლოვდება ღმერთს. მაგრამ უნდა ითქვას, ადამიანი ხშირად თავის თავისუფალ ნებასა და ენერჯიას ბოროტად იყენებს და ნაკლებად ფიქრობს საკუთარი სულისა და სხვა ადამიანთა სასიკეთოდ.

ღვთის ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია სავალობელი, რომლითაც ანგელოზებმა კაცობრიობას აუწყეს ქრისტეს შობა: „ღიდებამი მადლთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობაი, და კაცთა შორის სათნოებაი“ (ლკ. 2, 14).

მშვიდობა, რომელიც აუწყეს ანგელოზებმა, წარმოადგენს კაცობრიობისათვის არსებით აუცილებლობას, წყაროს. იგია სიყვარულის მოვლენა, რომელიც საფუძველია მეგობრობის, მშვიდობიანი ურთიერთობისა და ხალხთა ცხოვრების აყვავებისა.

ადამიანის უმალესი დანიშნულება — მოუტანოს ხალხს სიხარული. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მშვიდობიანი ცხოვრება ომების გარეშე წარმოადგენს შინაგანი სულიერი სამყაროს შედგენს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება ის კურთხეული დრო, რომლის შესახებაც გვაუწყა წინას-

წარმეტყველმა ისაიამ: „და დასტრინდენ მახვილებსა მათსა სახნისად, და ლახვრებსა მათსა ნამგლად; და არა აღიღოს ნათესავი მან ნათესავსა ზედა მახვილი, და არა იწავეზდნენ მერმე ბრძოლასა“ (ისაია 2, 4).

ღრმა კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს, კაცობრიობა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ქრისტიანული რელიგიის მთავარ საკითხს — სულიერ ცხოვრებას. სულიერი ცხოვრება კი ნიშნავს, მუდმივ კავშირში ვიყოთ ღმერთთან, რაც თავის მხრივ, ყოველი სიკეთის საწინდარია დღეამიწაზე. ქრისტიანული რელიგიის არსი განიხილება, როგორც ადამიანის შეერთება ღმერთთან, ადამიანური სულისა ღვთებრივ სულთან. ამჟამად, ადამიანთა შორის ინტენსიურად მიმდინარე სულიერობის, ანუ სულიერი ცხოვრების გამრავლება ერთხელ კიდევ აღიარებს ქრისტიანული რელიგიის უდიდეს ქეშმარიტებას, ადამიანური არსების ღვთურთან მსგავსებას და მიუთითებს იმ რელიგიის ხასიათზე, რომელსაც ძალუქს სულიწმინდის ძალით აღაზევოს ადამიანი ახალი ადამის მდგომარეობაში.

შევეწიოთ მადლი ღვთისა!

ვისურვებ, ყოველი თქვენგანის გულში აღიბეჭდოს ქრისტე!

ღმერთმა გაკუროთხოთ და განაძლიეროს ძალნი თქვენნი, ქვეყნად მშვიდობისა და ქრისტეს საღიდებლად!

17 თებერვალს, დილით, საქართველოს ეკლესიის დღევგაციამ დაათვალიერა მიუნსტერის ტაძარი და მისი ბიბლიოთეკა, სადაც გაცნო უნიკალურ სასულიერო წიგნებსა და ხელნაწერებს. ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ დღევგაცია გაემგზავრა ნოიპაუზენში, სადაც პასტორმა პიტერ ფელბერმა გამართა სადილი საქართველოს ეკლესიის მეთაურის პატივისაცემად.

სადილს შემდგომ საქართველოს ეკლესიის დღევგაცია გაემგზავრა ქ. ციურიხში, სადაც ციურიხის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორ-მასწავლებლებმა, ფაკულტეტის დეკანის იოლანდა მარჩევის ხელმძღვანელობით საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უწმიდესსა და უნეტარესს, ილია II. შეხვედრაზე სიტყვა წარმოსთქვა ილია II.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II სიტყვა ციურიხის უნივერსიტეტის, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრის დროს

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო ახალგაზრდობავ!

მოგესალმებით საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით. ვისურვებთ ბედნიერ სიცოცხლეს და შემოქმედებით მოუღწელობას ადამიანთა ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთდახმობის ღვთიურ საქმეში!

რაოდენ სასიხარულოა ჩემთვის, რომ ჰქალარა ალბემში შემოძლია მშობლიურ ენაზე ვესაუბრო ადამიანებს, რომლებიც დაუღალავ პრობაგანდას უწყებენ ქართულ ენას; ენას, რომლის დამწერლობა შეიქმნა ჯერ კიდევ ქრისტეს ხორციელად შობამ-

დე III საუკუნეში და ამჟამად მსოფლიოში მოქმედ 14 ანბანთა შორის, ერთ-ერთი უძველესია.

ისევე, როგორც ქართველი ერი და ქართული ენა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს ქრისტიანულ ეკლესიათა შორის. ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიყრავზე, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მიწა-წყალი მოწმე გახდა წმ. მოციქულების: —ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგებისა. ბედნიერია ერი, რომლის ძველ დედაქალაქ მცხეთაში, პირველ საუკუნეში დიკრძალა



იერუსალიმიდან ჩამოტანილი კვათი უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესი. როგორ შეიძლება, კრძალვით არ მოგვყრო იმ მადლიან მიწას, სადაც თავისი სამუდამო განსახლება იქნება. მოციქულმა სვიმონ კანანელმა, ქრისტიანობის უდიდესმა აპოლოგეტმა და წმიდა მამამ, მაქსიმე აღმსარებელმა; სადაც აღესრულა და დაეფულა საქართველოს განმანათლებელი, მოციქულთა სწორი, წმ. ნინო, რომლის სასწაულებმა და კეთილმოღვაწეობამ განაპირობა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 326 წელს.

უცხოელ დამპყრობთა თარეშის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართული ეკლესია მომავალზე ზრუნვით და ღრუბლით ცოცხლობდა. ღმერთისა და სიციცხლისადმი განუზომელმა სიყვარულმა, რომელმაც არ იცის საზღვრები, ქართველი კაცი გაიყვანა იერუსალიმსა და პალესტინაში, სირიასა და ანტიოქიაში, ბიზანტიასა და საბერძნეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში. მე-4 საუკუნიდან მოყოლებული საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მონასტრებში საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა და თარგმნებოდა საქვეყნოდ აღიარებული სასულიერო, თუ საერო თხზულებანი. აღნიშნულ ქვეყნებში მრავალი სახელოვანი ქართველი ღვთისმსახური იღვწოდა, რომელთა წარმოაჩენად ორის დასახელებაც კმარა: მე-5 საუკუნის ქართვე-

ლი წმიდა მამა პეტრე იბერი, იგივე დიონისე არეოპაგელი, რომლის შრომებიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების მსოფლიოს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნებას და უდიდესი გავლენა იქონია ახალი დროის მსოფლმხედველობაზე და იერუსალიმის ჭვრის მონასტრის გამამშვენიერებელი ბერი, გენიალური პოეტი შოთა რუსთველი, ავტორი უცვლადი ქმნილებისა „ვეფხისტყაოსანი“.

დიდი წინაპრების დაწვებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ ჩვენი თანამედროვეები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისის უნივერსიტეტი და ხელნაწერთა ინსტიტუტი ინტენსიურ მუშაობას ეწევიან ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევასა და წარმოჩინებაში. საქართველოს სამოციქულო ეკლესიასაც თავისი წვლილი შეაქვს ამ საპატიო საქმეში: გამოსაცემად გამზადებთ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაზე თარგმნილ „ახალ აღთქმას“. თარგმნის პროცესშია „ძველი აღთქმა“. ჩვენის დაფუძნებით, ქართველ მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მრავალტომეულზე, თანმიმდევრულად ვუშვებთ საეკლესიო კალენდარს, თეოლოგიური ხასიათის ჟურნალს „ჭვარი ვახისა“ და მრავალ სხვას.

ჩვენი წინაპრებისა, თუ თანამედროვეთა უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა კვლავაც მოვლის წარმოჩინებას კ-

ობრიობის წინაშე. ვფიქრობ, რომ ამ დიდი საქმის აღსრულებაში ფასდაუდებელი იქნება ქართველოლოგების ღვაწლი, როგორც ხიდი — ავეღლევი, გადებული კავკასიონსა და ალპებს შორის. კარგი იქნება, ამ წამოწყების ინიციატივას, თუ დაეუთმობდით ახალგაზრდობას. ახალგაზრდობას ხომ სულიერ და ფიზიკურ ძალასთან ერთად, უსაზღვრო ენთუზიაზმით გააჩნია. ესეც რომ არ იყოს, ახალგაზრდობა ჩვენი იმედი და მომავლის სარკეა, რომელშიც უნაკლოდ აირეკლება ყოველივე ის, თუ როგორ სულიერ საზრდოს მივაწვდით მას.

მე ვუსურვებ თქვენს ახალგაზრდობას, ახალი გზების ძიებას. ვინაიდან ძველი გზები უკვე მოქველდა და სავალადაც უვარგისია. დარწმუნებული ვარ, მიმდებელი სულის ახალგაზრდობა ახალ-ახალ პორიზონტებს გახსნის კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ვინაიდან ჭეშმარიტი და გარდაუვალია ჩვენი მხსენლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს წინაწარმეტყველება, რომელიც ამბობს: „რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს პოვოს და რომელი ირეკდეს, განედლოს“ (მთ. 7, 8).

ღმერთმა გაკურთხოთ და განაძლიეროს ძალნი თქვენნი, ხალხთა მეგობრობის, დამაინაზე მშვიდობისა და უფლისა ჩვენი-სა, იესო ქრისტეს სადღეობად!

იმევე საღამოს, ციურხის კანტონის ეკლესიათა საბჭომ, მარიონ რომერის ხელმძღვანელობით, სახეიმო ვახუშტი გამართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის, ილია II პატივსაცემად.

ვიზიტი დასასრულს მიუახლოვდა. 18 თებერვალს, დილით, ციურხის საერთაშორისო აეროპორტში მოეწყო ილია II პრესკონფერენცია შვეიცარიის ტელევიზიის, რადიოსა და პრესის წარმომადგენლებთან.

პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ, საქარ-

თველოს ეკლესიის დელეგაცია სამშობლოში გამოემგზავრა.

დამთავრდა კეთილი ნების ვიზიტი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მისი ღირსეული წინამძღვრის, ილია II აქტიური მოღვაწეობა ხალხთა შორის მეგობრობის, ძმათა სიყვარულისა და მშვიდობის საქმეში.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მისი უწმიდესობის, ილია II ვიზიტს ფართოდ გამოეხმაურა შვეიცარიის პრესა, რადიო და ტელევიზია. ვაქვეყნებთ ზოგიერთი შვეიცარიული გაზეთის გამოანათქვამს ამ ვიზიტზე.

შავსაუზანი მასპინძლობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

პატრიარქის რანგის საეკლესიო მთავრის ვიზიტი შავსაუზანის ისტორიაში პირველი მოვლენაა. მომავალ ორშაბათს და სამშაბათს, 16 და 17 თებერვალს, მისი უწმიდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც ამავე დროს, ექვნივეს ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს პრეზიდენტთანაა და იქ ხშირად აქვს ხოლმე საქმე, შავსაუზანის კანტონის რეფორმაციული ეკლესიის სტუმარი იქნება და ეკლესიის სამლოცველოში საღამოს, ოფიციალური ღვთისმსახურების დროს, (ორშაბათს, 19, 30) მისასალმებელ სიტ-

ყვას წარმოთქვამს. იგი ჩამოვა შვეიცარიის ევანგელურ ეკლესიათა ფედერაციის მოწვევით. თავის საეკლესიო „საგარეო მინისტრ“, სოხუმისა და აფხაზეთის მთავარეპისკოპოს ნიკოლოზსა და ერთ დიკონთან ერთად. თავდაპირველად მოივლის ფრანგულ შვეიცარიას, მერე ეწევა ბერნს და შავსაუზანს და რანფალისა და ბეგინგენის გავლით, ციურხის გაემგზავრება. იქ მას მიიღებს უნივერსიტეტი და რეფორმაციული საეკლესიო საბჭო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ვიზიტი შავსაუზანში ყურადღე-

ბას მიიპყრობს არა მარტო მისი პიროვნების მიმართ, არამედ, იმ ქვეყნის მიმართ, საიდანაც იგი ბრძანდება. საქართველო მდებარეობს შავ და კასპიის ზღვებს შუა, შედის საბჭოთა კავშირში და გარკვეულად შეგვიძლია შევადაროთ შვეიცარიას, რამეთუ, მისი ფართობი 70 000 კვ/კმ-მდეა და მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონს შეადგენს. ამ ქვეყნის ისტორია ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია. დასავლეთ საქართველოში, ქრისტეშობამდე VI საუკუნეში, არსებობდა ბერძნული კოლონიები, ეს კოლონიები ქრისტეშობამდე

პირველ საუკუნიდან მოყოლებული, ეკუთვნოდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილებს. ქრისტიანული მისიონერები შედარებით ადრე მოღვაწეობდნენ საქართველოში. ჯერ კიდევ IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა. მომდევნო საუკუნეებში ქართველებმა განიცადეს მრავალი თავდასხმა, აოხრება და გარკვეული დროის მანძილზე, სპარსელების და არაბების ბატონობა. პოლიტიკური და კულტურული აყვავების ხანა იყო XI და XII საუკუნეები; არქიტექტურის (უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო მშენებლობის), პლასტიკის, მინანქრის ხელოვნების, მხატვრობის, ლიტერატურის და თეოლოგიის შედეგები ამის აშკარა დასტურია. მრავალი ტანჯვის შედეგად, რომელიც ქართველებმა გადაიტანეს მომდევნო საუკუნეებში უცხოელთა ბატონობის დროს, მართლმადიდებლური ეკლესია და ეროვნული თვითშეგნება მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რომელსაც ადგილი აქვს დღესაც. ასე რომ, დღესდღეისადაც, აღამიანები, რომლებიც შინაგანად შორს დგანან ეკლესიისაგან, ამბობენ: „ჩვენ, ქართველები — მართლმადიდებლები ვართ“. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას... 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართულმა ეკლესიამ ისევ დაიბრუნა თავისი 1811 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა.

1920-იანი წლების დასაწყისში საქართველო შეუერთდა საბჭოთა კავშირს და ამ დროიდან მოყოლებული, საეკლესიო ცხოვრება იქ მოქმედ არსებობის პირობებს ექვემდებარება.

თანამედროვე ვითარება

თავიანთ, ტანჯვით აღსავსე ისტორიის მანძილზე, ქართველებმა ისწავლეს, — ისლამური ბატონობისაგან დაცვათ რელიგიური და საეკლესიო ცხოვრება... დასავლეთელი კაცი ვერ წააწყდება იქ ხალხით გაქედნილ ღვთისმსახურებას, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, თუმცა, ამით არ უნდა ვიჩქაროთ დასკვნის გამოტანა. როდესაც 1962 წელს პატრიარქმა **ეფრემ II** განაცხადა ქართული ორთოდოქსული ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შეყვანის თაობაზე, მან მოგვაწოდა მისი ეკლესიის რიცხოვრების სიძლიერის მონაცემები: 7 ეპისკოპოსი, 105 მღვდელი, 80 საეკლესიო მრევლი და 4 მონასტერი; ეს ციფრები დასავლეთელი, გამოცდილი კაცის შეხედულებით, დღესაც მეტნაკლებად შეიძლება შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ...უკვე ოცი წელია, აქ არსებობს საკუთარი სასულიერო სემინარია. იგი სცემს, აგრეთვე, ქართულ საეკლესიო კალენდარს და სულ ახლახან, გამოსცა თეოლოგიურ-საეკლესიო ჟურნალი. მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ვიკანტური საეპისკოპოსო ადგილების ხელახალი ათვისება. ყველაზე უფრო აღსანიშნავია, ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა და აღსაყდრება.




კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** დაიბადა 1933 წელს; მან მიიღო ფართო თეოლოგიური განათლება სასულიერო სემინარიაში და მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1957 წელს გახდა ბერი, 1960 წელს წინამძღვარი და 1963 წელს ეპისკოპოსი, ამასთანავე, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი. მან ძალიან სწრაფად მოიპოვა ავტორიტეტი. 1977 წლის 23 დეკემბერს გამართულმა საეკლესიო კრებამ იგი ერთხმად აირჩია გარდაცვლილი პატრიარქის **დავით V** მემკვიდრედ. მის-

მა თეოლოგიურმა ნათელმა და გაბედულმა სიტყვამ, მისი არჩევისა და დანიშვნის დღეს, დასავლეთშიც კოფა გამოხმაურება. **ილია II** თავისი ეკუმენური მოღვაწეობის გამოც ითვლება უახლესი დროის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სათავეში მდგომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პიროვნებად.

ერის ბრიუნერი

გაზეთი: „შაფაუზერ ნახრისტენ“ (შაფაუზენის ამბები). ოთხშაბათი, 11 თებერვალი 1981. № 34, გვ. 13.





**პატრიარქი ილია II შენეხაში.
„მსოფლიოს მშვიდობა დამოკიდებულია შინაგან მშვიდობაზე“**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ორშაბათიდან მონაწილეობას მიიღებს ეკლესიათა მსოფლიო ეკუმენური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაში, რომლის ერთ-ერთი ექვს პრეზიდენტთაგანია თავად. თავისუფალ დროს, ქენევაში, ჯონ კნოქსის ცენტრში, ჩვენ გვქონდა საუბარი მის უწმიდესობასთან.

შაბათს, სენ მორისში, ნისი უწმიდესობა ილია II ესტუმრა შვეიცარიის ქრისტიანულ ძმობებს. ჩვენ მას ვკითხეთ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს იგი წამებულთა საფლავების ნახვას სენ მორისში. ილია II გვიპასუხა: „მე ვილოცებ სენ მორისში ისევე, როგორც ამას ვაკეთებ ჩემს ეკლესიაში“. პატრიარქმა აგვისნა, რომ

საქართველოს ეკლესია ისევე, როგორც რომის ეკლესია, არის წამებულთა ეკლესია.

კითხვაზე: „რა გსურთ, რომ დაუტოვოთ შვეიცარიელ ხალხს და ქრისტიანებს?“ ილია II გვიპასუხა: „მე მსურს დაუტოვო ქრისტიანებს და შვეიცარიელ ხალხს იმ ეკლესიის ლოცვა-კურთხევა, რომელიც დღემდე ცხოვრობს ძველი ტრადიციებით; მე მინდა შევახსენო მრევლს, რომ ქრისტეს სურს ყველა ქრისტიანის ერთიანობა“.

პატრიარქმა გამოთქვა აზრი მთელი ქრისტიანობის როლის შესახებ მშვიდობის დაცვის საქმეში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთელს მსოფლიოში. და დაუმატა: „მსოფლიოს მშვიდობა დამოკიდებულია შინაგან მშვიდობაზე“.

13 თებერვალი, 1981 წ.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
შვეიცარიის პროტესტანტული ეკლესიების სტუმარი**


საქართველოს მართლმადიდებელი პატრიარქი ილია II 13-დან 18 თებერვლამდე ესტუმრება შვეიცარიის პროტესტანტული ეკლესიების კავშირს. ამ 48 წლის ეკლესიის მმართველმა განაახლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია...

ამას წინათ ილია II განაცხადა თავის ინტერვიუში: „სახელმწიფო და ეკლესია, ეკლესია და სკოლა განცალკევებულნი არიან, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს. ამავე დროს, ეკლესიას აქვს თავისი შისია და თავისი ამოცანები, რომლებიც უნდა განხორციელდეს დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით“.

ილია II ცნობილი პიროვნებაა ეკუმენურ მსოფლიოში. იგი მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ეკლესიების ეკუმენური საბჭოს სექციასთან: — „ეკლესია და საზოგადოება“, და 1979 წელს არჩეულ იქნა

ამ საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად. იგი ამ საქმეში მიმდევარია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ ნიკოდიმისა, რომელიც თითქმის სამი წელია, რაც გარდაიცვალა. ამ დღეებში ილია II მონაწილეობას მიიღებს ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს ქენევის შეკრებაში. შემდეგ იგი ინახულებს სენ მორისს, სადაც მას მიიღებს ბ-ნი ენრი სალინა. კვირას, 15 თებერვალს, შვეიცარიის პროტესტანტული ეკლესიების ფედერაციის ბიურო მოაწყობს შეხვედრას ბერნში ამ საპატიო სტუმართან. აქ ჩაატარებენ მართლმადიდებლურ ლიტურგიულ სერობას.

საქართველოს ტერიტორია ერთნახევარჯერ აღემატება შვეიცარიისას და ითვლის 5 მილიონ მოსახლეს. ეკლესიის ამოცანების შესახებ მისმა უწმიდესობამ გვიპასუხა: „ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ქა-



ილია II: „შაფხარაული ვარ შვეიცარიანა“

ზეიმი კათედრალურ ტაძარში

დაგებას, ის აფუძნებს, ჩემი აზრით, სამღვდლოების ძირითად ამოცანას, იგი სულიერად სასარგებლოა მორწმუნეთათვის, რომელთაც იკრებს ჩვენი ეკლესია“.

ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს შეკითხვაზე, რომელშიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შედის 1962 წლიდან, მისმა უწყმიდესობამ — ილია II უპასუხა: „უმეტესობა ეკლესიებისა, რომლებიც ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს წევრები არიან, რეფორმაციის შედეგად წარმოშობილ ეკლესიათა რიცხვს განეკუთვნებიან. ასეთ პირობებში, მე ვფიქრობ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეკუმენურ მოძრაობაში უნდა გამოავლინოს ის ტრადიციები, რომლებიც ჰქონდა ეკლესიას დაყოფამდე. ჩვენი ეკლესიისათვის აუცილებელია, გაასენოს სხვა ეკლესიებს დრო, როცა ჩვენ ჯერ არ ვიყავით გაყოფილი“. პატრიარქი არის განსაკუთრებული მოწმე, რომელსაც აქვს ორმაგი გამოცდილება, ერთი — ეკლესიისა საბჭოთა სახელმწიფოში, და მეორე — ეკლესიისა, რომელიც აგრძელებს ძველ ქრისტიანულ ტრადიციას.

აქლესიათა მამამთავრების მოგზაურობა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გუშინ შაფხაუზენში ჩამოვიდა. უნდა ითქვას, რომ შაფხაუზენს ჯერ არ სწევია ამაზე უფრო მაღალი რანგის, ეკლესიათა მთავარი. განა, კომენტარს საჭიროებს ეს მოვლენა, რომელიც თუნდაც, მხოლოდ მოკლე ვადიანი ვიზიტია?

ეს იყო პატარა, თითქმის ჩვეულებრივი მეგობრული ვიზიტი — არც მეტი და არც ნაკლები. პატრიარქი აღმოჩნდა მომაჯადოებელი, მახვილგონიერი, მაგრამ მაინც, საკმაოდ თავდაპირველი სტუმარი.

„შაფხაუზენ ნახრიბტენ“,

სამშაბათი, 17 თებერვალი 1981, № 39 გვ. 11.


შაფხაუზენის კანტონს პირველად ეწვია პატრიარქის რანგის საეკლესიო მთავარი: ორშაბათი დღის ნასადილევს შაფხაუზენში ჩამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის ერთ-ერთმა პირველმა მღვდელმთავარმა საღამოსვე ჩაატარა წირვა-ლოცვა საკათედრო ტაძარში, ვიდრე „კრონენჰოფში“ შაფხაუზენის რეფორმატულ (იგულისხმება ეკლესიათა შვეიცარიული რეფორმაცია) პასტორებთან ისაუბრებდა. ამასთანავე, უდიდესი ხოტბა შეასხა პატრიარქმა თავის მასპინძლებს. იგი ალტაცებაში მოვიდა: „მე შეყვარებული ვარ შვეიცარიაზე და შვეიცარიელებზე“. მისი უწყმიდესობა, ამჟამად, შენვეს ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს პრეზიდენტი, შვეიცარიას ეწვია შვეიცარიის ევანგელურ ეკლესიათა ფედერაციის მოწვევით. დღეს, სამშაბათს, რაინის ჩანჩქერში წრთობის შემდეგ, იგი, ბეგინგენის გავლით ციურიხში, გაემგზავრება.

რვის ნახევარს რომ ხუთი წუთი აკლდა, გაისმა კათედრალური ტაძრის კოშკის საეკლესიო ზარების რეკვა. წინა სამი რიგის გარდა, ეკლესიის ყველა სკამი უკვე დაკავებული იყო. უკანა რიგების ორივე მხარეს ეკლესიის გუნდი მომზადებული იყო. ზუსტად რვის ნახევარზე ორლანსტი თეოდორ კეზერი შეუდგა ორლანზე დაკვრას. ღვთისმსახურების მონაწილეთა დამატებული მზერა ორლანის გვერდით მდებარე კარისაკენ წარიმართა. ბოლოსდაბოლოს, ეს წუთიც დადგა: ამაყი ნაბიჯით შემობრძანდა ეკლესიაში ილია II, თანხლებ პირებთან ერთად.

ღვთისმსახურების მეორე ნაწილში პატრიარქმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამწყსოს; სიტყვას ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნიდა ციურიხელი თარგმანი. მშვიდი ტონით აღწერა მან მისი ეკლესიის ეკლიანი გზა საქართველოში და იმაზეც ისაუბრა, თუ, როგორ წარმოუდგენია ადამიანის სწორი ცხოვრების წესი.

უსაზღვრო სიყვარული

სხვა ამბებთან ერთად, მან მოგვითხრო თორმეტი წლის გოგონას შესახებ. გოგონამ მიმართა მას კითხვით: „დღეს აღაშინს ყველაფერი აქვს, ტექნიკა, სახლები და კეთილდღეობა; რატომ არა აქვს მშვიდობა?“ მან კი უპასუხა: ვიდრე ადამიანს ყველაფერი ეს ჰქონდა, ეგონა, რომ ეს იყო ბედნიერება“. იგი დარწმუნებულია, რომ მშვიდობა დამყარდება მხოლოდ ღრმა რწმენით და ღმერთისადმი სიყვარულით.



„თუკი ისინი მას მოუხმობენ...“

წარმოქმნილი სიტყვების შემდეგ მას კითხვები დაუკვეს რეფორმაციულმა მღვდლებმა და ეკლესიათა წარმომადგენლებმა. ჰკითხეს, როგორ ხდება შესაძლებელი საქართველოში საეკლესიო მოღვაწეობა, მაშინ როდესაც მაგ. სკოლებში არ შეიძლება (რელიგიური) მეცადინეობის ჩატარება. პატრიარქმა ასე უპასუხა: განსვენებული პატრიარქის, ეფრემ მეორისათვის ერთხელ ერთ კორესპონდენტს უკითხავს, აქვს თუ არა მას უფლება, წავედეს ფაბრიკებში: „პატრიარქს რომ „არა“ ეთქვა, ეურნალისტი იფიქრებდა, ეკლესია შევიწროებულიაო, პატრიარქს რომ ეთქვა: „რა თქმა უნდა, შემიძლია წავიდეთ“, კორესპონდენტი იფიქრებდა, სიმართლეს არ ამბობსო. პატრიარქს სიბრძნე გამოუჩენია და უთქვანს: „თუკი ისინი მას მოუხმობენ, იგი მათთან წავა“.

განსაკუთრებული სიამაყით უპასუხა პატრიარქმა კითხვას, რომელიც შეეხებოდა ქართულ ორთოდოქსულ ეკლესიაში მღვდელმსახურების საკითხს. „ჩვენი მრევლი უფრო მომთმენია. ჩვენთან კვირაობით 10 საათიდან 14 საათამდე დგას იგი ეკლესიაში“, — თქვა მან.

საუბრის შემდეგ, პატრიარქმა ეკლესიის წარმომადგენლებს გადასცა თავის სამშობლოდან ჩამოტანილი წიგნები ხელოვნებაზე და ტკბილეულობანი. ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტმა ბუფმა საპასუხო საჩუქრად მიართვა ჩამოსხმული ზარები. ეს ზარები წარმოადგენს რაინზე მდებარე შტაინის ბურგის ეკლესიის შაჰპაუზენის უძველესი ზარების ასლებს. დეკანმა ეგლინმა გადასცა წიგნი ყველა წმიდათა დღესასწაულის შესახებ“.



საქართველოს პატრიარქი ციურისის უნივერსიტეტში

შვეიცარიული მოგზაურობის დასასრულს ქართული ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II პატივი დასდო ციურისის თავისი ვიზიტით. მაღალ საეკლესიო თანამდებობის პირს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ეკუმენური საეკლესიო საბჭოსა და შვეიცარიის ევანგელურ ეკლესიათა ფედერაციის მოწვევით, მიესალმნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი რ. ლოიენბერგერი და ასევე, ენდოგერმანული სემინარიის ხელმძღვანელი, პროფესორი ერნსტ რიში.

პროფესორმა ლოიენბერგერმა ხაზი გაუსვა იმ მსგავსებას, რაც არსებობს შვეიცარიასა და საქართველოს შორის: საქმე ეხება ორივეს, როგორც მცირერიცხოვან ხალხებს, რომლებიც ცდილობდნენ, დიდ ეროვნებათა შორის, შეენარჩუნებინათ საკუთარი ხასიათი და თავიანთი თვითმყოფადი კულტურა.

პატრიარქმა მადლობა გადაიხადა მისალმებისათვის და ხაზი გაუსვა სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების ინტენსიურობას, რომელიც შვეიცარიასა და საქართველოს შორის არსებობს. ქართული ეკლესია აფასებს არა მარტო რწმენას, არამედ, ცოდნასაცო. გონივრულად და ღირსეულად მოიშველია მან კლემენს ალექსანდრიელი, რომელიც ჯერ კიდევ I საუკუნეში თვლიდა, რომ ყოველი სასულიერო პირი ფილოსოფოსი უნდა იყოს. საქართველოში, თურნე, დღემდე მოქმედებს ის აზრი, რომ უცოდინარი (გაუნათლებელი) მორწმუნე ღვთის მონაა, ხოლო განათლებული მორწმუნე ღვთის მეგობარი.

პროფესორმა რიშმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ქართული ენა არაინდოგერმანული ენაა და მის სემინარში იგი მხოლოდ „სტუმრადია“; თუმცა, ქართულ-გერმანული ლექსიკონი და სხვადასხვა ქართული წიგნები საპატიო ადგილს იკავებენ იქ. ქალბატონმა იოლანდა მარჩევამ სტუმრებს უთარგმნა ორივე მომხსენებლის სიტყვები მათივე მშობლიურ ენაზე, რომელსაც იგი თავისუფლად ფლობს. იგი ხომ ლექსიკონის პასუხისმგებელი რედაქტორი გახლავთ. ლეა ფლურთან ერთად, როგორც სასწავლო კურსი, ასევე ლექსიკონიც საკუთარი ხელით ააწყო მანქანაზე. ქართული ანბანის სირთულეს გამო, ეს არის ვეებერთელა სამუშაო. ამ საქმეში, მთელი ამ ხნის მანძილზე ქ-ნ მარჩევს სათანადო დახმარებას უწევდა, აგრეთვე, დოქტორი რუთ ნოიკომი, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც ქართული ლიტერატურის მთარგმნელმა. ეს უზარმაზარი, შრომატევადი სამუშაო გასრულდა 1974 წელს. ამ ლექსიკონმა თავისი სრულყოფილებისა (იგი მოიცავს არქაულ, დიალექტურ და ფოლკლორულ გამოთქმებს) და სისტემატიკის გამო, (უპირველეს ყოვლისა, ქართული ზმნების გამო), მსოფლიო მეცნიერული აღიარება მოიპოვა. პატრიარქი და მისი ორივე თანხლები პირი, სოხუმისა და აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი და დიაკონი ზურაბ სირაძე, განსაკუთრებით გულთბილად მიესალმნენ კავკასიოლოგ ქალებს.

გაზეთი „ნოიე ციურისენ ცაიტუნგ“
ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1981 წ. № 40



პირველითგან იყო სიტყვა

კვირიკობა სვანეთში

„წმიდაო და დიდებულო ქრისტეს მო-
წამეო კვირიკე, მეოხ ექმენ წინაშე
ქრისტესა ღრიად მოსაესა
ძალია შენისა
საგანუ —
...ნის, რომელმან შეამკო
წმიდაი ესე ხატი დიდებული
სა სახისა
შენისაი“,

(წარწერა წმ. კვირიკეს ხატზე)


ქრისტიანული მსოფლიო 15 (ახ. სტილით 28) ივლისის მოიხსენიებს წამებულ ყრმა კვირიკესა და დედამის ივლიტას.

ქართული ხატწერისა და ლიტერატურის ისტორია გვამცნობს, რომ დედაშვილობის ამ მადლიანმა სახემ ძველთაგანვე მთელი საქართველო ითაყვანა. ამის მოწამეა ეკლესია-მონასტრები, სადაც IX—X საუკუნეებიდან მოკიდებული, ხატებსა და ხელნაწერებში ინახება მათი ხსენება. საქართველოს ყველა კუთხეში ივლიტასა და კვირიკეს სახელზე სალოცავებია აგებული: სვანეთში (სოფ. კალა), რაჭაში (სოფ. ზემო კრიხი), ლეჩხუმში (სოფ. ლაცორია), ქართლში (დუშეთის მახლობლად), თრიალეთში, ტაოში (კვირიკეთი), გურიაში (სოფ. კვირიკეთი), ქობულეთში (სოფ. კვირიკე), ვანის რაიონში (სოფ. ტობანიერის მახლობლად) და სხვაგან. ივლისის ძველი სახელიც — „კვირიკობისთვე“ — ეტიმოლოგიურად „კვირიკობას“ (წმ. კვირიკეს დღესასწაულს) უკავშირდება. თუმცა, ყველაზე მეტად, ოდითგანვე, სვანებს უციათ თაყვანი წამებულთათვის, რომელთა სახელობის სალოცავს მათებურად „ლაგურკა“* ეწოდება.

ვინ იყვნენ ისინი, რომლებმაც ასე მოხიბლეს ქართველთა გული?

კეთილმორწმუნე ივლიტა და მისი სამი წლის ჩვილი კვირიკე ცხოვრობდნენ დიოკლეტიანე იმპერატორის დროს (ზეობდა 284—305 წლებში) ქალაქ იკონიაში (მცირე აზიაში, კაბადოკიის მახლობლად). 300—304 წლებში გაჩაღებულმა ქრისტიანების დევნამ შეიწირა ყრმა კვირიკე და დედამისი ივლიტა. მათი ცხოვრება V—VI სს-ში „წამებად“ აღუწერია იკონიის ეპისკოპოს

* „ლაგურკა“ ქართული „საკვირიკოს“ (ადგილის მნიშვნელობით) შესატყვისია: ლა—ადგილის მაწარმოებელი თავსართია (შდრ. ქართ. სა- და სვ. ლა-; ლაჯგრაგ (წმ. გიორგის სალოცავი), ლამარია (ღვთისმშობელ მარიამის სალოცავი) და მისთ.—გურკა“ „კვირიკედან“ (ძვ. ქართ.) მომდინარეობს: უნდა გვქონოდა „ლა-კურკა“, სადაც თავიღურ კ'ს, მკვეთრი ხშული ბგერის, გამჟღავნებით (კ→გ), რაც ქართველურ ენათათვის ცნობილი ფონეტიკური მოვლენაა, მივიღეთ „გურკა“: ლაგურკა. (იხ. ა. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჯგერაგ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1973, გვ. 110; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, თბილისი, გვ. 378). ჩვენს მიერ მოხმობილი სვანური ენის საილუსტრაციო მასალა მიეკუთვნება ბალზემოურ დიალექტს.



თეოდორეს. ეს მოთხრობა, არა უგვიანეს მე-10 საუკუნისა, უთარგმნიათ ქართულადაც. უძველესი ხელნაწერი, რომელშიც დაცულია „წამებაი წმიდისა კვირიკისი და დედისა მისისა ივლიტისისი“, XV—XVI საუკუნეებისაა. ტექსტი გამოკვლევითურთ გამოცემულია გ. ჩუბინაშვილის მიერ.

წმ. ივლიტასა და კვირიკეს მოწამებრივ ღვაწლს იმთავითვე საპატიო ადგილი მოუპოვებია ჩვენს ეორტოლოგიურ (საღვთისწაულო) ცხოვრებაში. ამ წმიდანთ იხსენიებს ქართული ლიტურგიის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი ძეგლი — „იერუსალიმის განჩინება“, VII საუკუნის რედაქციისა (ქრისტეს საფლავზე V საუკუნეში შემუშავებული სამღვდელმსახურთ განგება, რომლის აღნიშნული რედაქცია ქართულად VIII საუკუნეში უნდა ეთარგმნათ), აგრეთვე, ჭილ-ეტრატის იადგარი, X საუკუნის სინური იადგარები, იოანე-ზოსიმეს მიერ შედგენილი ქართული კალენდარი (X საუკუნის მე-2 ნახევრისა): „კრებაი თთუეთა წელიწადისაი“.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თვენში“ (XI ს.) წმ. კვირიკესა და ივლიტას მოსახსენებლად წარმოდგენილია შესაბამისი ჰიმნოგრაფიული მასალისაგან შემდგარი განგება (ხელნაწ. ინსტ. Ier. 107. 68—77 r.). ეს განგება შედგება სამი კანონისაგან: ერთი — ანონიმისა, მეორე — იოანესი (ეფიქრობთ, იოანე დამასკელი-სა) და მესამე — იოსებისა, ჰიმნოდთა სახელები ხელნაწერის არშიაზე აღნიშნული „უგალობდითასა“ გასწვრივ კანონებს უძღვის ექვსი „უფალო ღალადყავსა“, შვიდი სტიქარონი და ორი „წარდგომანი“. სვინაქსარული საკითხავი მათზე შეტანილია გიორგი მთაწმიდელი-

სავე თარგმნილ „დიდ სვინაქსარში“ (ხელნაწ. ინსტ. H—2211, 312r). სამწუხაროდ, არც „თვენი“ და არც „დიდი სვინაქსარი“ ჯერ გამოცემული არ არის. აღნიშნულ სვინაქსარულ საკითხავსა („დიდი სვინაქსარიდან“) და ერთ მცირე ფორმის საგალობელს „უფალო ღალადყავსას“ (გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თვენის“ მიხედვით) ვაქვეყნებთ პირველად.

ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი

თვესა ივლისსა ი-ე (15) წმიდისა მოწამისა კვირიკისი და ივლიტასი, დედისა მისისა

ესე იყო იკონია ქალაქით, მეფობასა დეოკლიტიანესსა და ივლიტოდა დევნულობისათვის სელევიკიად. და ჰყვა ძე სამისა წლისა, რომელ არს წმიდა კვირიკე. და რამეთუ ჰპოვა მუნცა ქრისტეანეთა მიმართ დევნულეობა, წარვიდა მიერ ტარსონად კილიკიისა, სადა-იგი იყო ალექსანდრე ვინმე მთავარი, კაცი ბოროტი და მხეცის ბუნებისა, რომელმან შეიპყრა წმიდა ივლიტა და ტანჯა და ნეტარი კვირიკე მისტაცა წიალთაგან მისთა, რამეთუ ჰგონებდა ლიქნით მიქცევასა მისსა, არამედ ვერ უძლო, ჩჩვილებრითა ხმითა სახელსა ქრისტესსა ხადოდა და ზედასზედა დედისა თვისისა მიჭედვითა აუწყებდა სიძულილსა ბიწისა მის მთავრისასა და მერმე განწიხნა ფეხითა და შეეხვია წელთა და უკბინა მას. ხოლო მან, უწყალომან, გარდამოაგდო იგი ხარისხსა ზედა კიბისასა და შემუსრა თავი მის, და ესრეთ სრულ იქმნა წამებაი მისი, ხოლო წმიდასა ივლიტას შემდგომად მრავალთა ტანჯვათა, წარეკვეთა თავი.

ს ა ვ ა ლ ო ბ ე ლ ი

ივლისსა ი-ე წმიდათა და დიდგულთა მოწამეთა კვირიკისი და ივლიტასი

(უფალო ღალადყავსა); რომელი დაიცავ ჩჩვილთა და ჰზრდი მათ სიპოხითა სრულეობად, ღმერთო, უზუშთაეს არსთა სრულეობაო, ქრისტე, შორის წიალთა შენთა მოწამეთა აღჰრაცხენ ყრმანცა, რომელ არს ერთი მათგანი წმიდა მოწამე, მნათობი ყოველთა კიდეთა, რომელი განერა საბრხესა უსჯულოთასა — კვირიკე ნეტარი. და სიკვდილით მოისწრაფა შენდა და მოილო გვირგვინი დიდებულისა. მის მიერ გვედრებთ: მომეც ჩვენ, მონათა შენთა, დიდი წყალობა:

იხარებდა აბრაჰამ პირველ საშვებლითა მით წარმავალითა და სერი დიდი განუმზადა შეინახეთა განყენებასა ყრმისასა ტუძუსაგან, რომელი უშვა მას სარა მოხუცებულეებასა შინა მისსა. დღეს უფროისად იხარებს კრებულსა შორის მოწამეთასა, რომელი შეიწყნარა წიალთა თვისთა ყრმა გვირგვინოსან ღმრთისა მიერ დედითურთ მოღვაწით, რომელიცა ესრეთ ღალადებდა: სულგრძელო უფალო, დიდება შენდა.

ხოლო აღზრდილმან მცირედ უზეშთაეს ძუძუსწო-
ვართასა, რომელმან არა უწყოდა გამორჩევედ კეთილი ბო-
როტისაგან, მოწამემან კვირიკე, სიტკბოება წარსაწყმე-
დელი მტერისა ამაო დათრგუნა და შესვა სასუმელი მწა-
რისა სიკვდილისა, მიზეზი ცხორებისა მის დაუსრულე-
ბელისა, რომელ არს მოწამეთა, რომელნი უგალობენ სა-
მებასა სარწმუნოებით და იტყვიან: „სულგრძელი უფალო,
დიდება შენდა“.

ყრმა უმანკოების და ერთგულების საკრალური
სახეა. ამისათვის დასახა იგი უფალმა ზეციური სამე-
ფოს ხატად (ლუკა 18, 15—17) და მოგვიწოდა: იქმე-
ნით, როგორც ყრმა და დაიმდაბლეთ თავი, როგორც
ბავშვებმა (მათე 18,1—4), რათა განიწმიდოთ და საბო-
თხის დარნი ვახდეთო. უფალიც თვით შეედარა ყრმას:
„რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესე-ვითარი სახე-
ლითა ჩემითა, მე შემიწყნაროს“ (მათე 18,5).
ყრმათა უმანკოებისაგან სწრაფვით კაცობრიობას მო-
მავალი ცხოვრებისაგან — დაკარგული სამოთხისაგან —
აღმოეწოდა, ისტორიული ქრისტე, მსგავსად კრ ა ვ ი ს ა,
შეეწირა მსოფლიოს, რათა „განკვეთილი“, „მეწყვე-
ლილი“ მიწა გამოეხსნა. სახითმეტყველებაში კრავი
ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტია: „აჰა, კრავი ღმრთისაი,
რომელმან აღიხენა ცოდვანი სოფლისანი“ — ნათქვამია
ნათლისღების ერთ ქართულ საგალობელში (მღრ.
იოანე 1,29). იესო მაცხოვარი კრავად გამოეცხადა
იოანე ღვთისმეტყველსა (გამოცხ. 5,6) და აუწყა უზე-
ნაესი მცნება. ძველი აღთქმის თვალსაზრისით, ყრმა
შობისა და განახლების ალეგორიაა. იუდეველი ტყვე-
ქმნილი ბავშვები: სედრაჟი, მისაჟი და აბენდაგო გა-
დარჩნენ, როდესაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსო-
რის ბრძანებით ისინი გახურებულ ღუმელში შეჰყარეს
(დანელი 3,8—97).

საშობაო დასდებულ-ძლისპირებში ვკითხულობთ:
„სამნი ყრმანი ბაბილონს ღმრთისა მიერ განძლი-
ერდეს და შეურაცხვეს განცხრომაი და სახიობაი უშ-
ჯულოთაი, სახუმილსა შეითხინეს და საღმრთოთა გალო-
ბითა ესრეთ დადადებდეს: აკურთხევდით ყოველნი სა-
ქმენი უფლისანი უფალსა“. ან კიდევ: „ვითარცა-რადი
სიონს შინა მდგომარეი, იყენეს ყრმანი ცეცხლსა შინა
და ანგელოსისა მსგავსად გამოუჩნდა უფალი, და განუ-
ქარვა ალი იგი სახუმლიისაი“.

ქრისტესთვის პირველად ყრმანი მოისრენ (მათე
2,16—18). უმანკო ბავშვები გახდნენ მსხვერპლი
ღმერთს განმსგავსებული სამყაროსი და პირველი წამე-
ბულნი — წმიდანნი, შვილნი ეკლესიისა, რომლსა-
„თავ-საკიდურთა მისთა არს თვით ქრისტე იესო“ (ეფე-
სელთა 2,20), სადაც „საფარველსა ღმრთისა ზეცათასა“
(ფს. 90,1) განისვენებენ.

უკვე ნათელია, თუ ასერიგად რად შეითვისა სა-
ქართველომ წმ. კვირიკეს უმანკოების, მშობლის ერთ-
გულებისა და მიუღრეკლობის გაუხუნარი ხატება.
ჩვენთვის — მარად განსაცდელში მყოფთათვის — თანა-
ზიარი იყო იმ ყრმის რწმენა, რომელიც, შემდგომ და-
ვაჟკაცებისა, მხსნელად მოევილინებოდა საშობლოს.

კვირიკე, ხალხის რწმენით, კვლავაც ისეთივე რაინდია,
როგორი პირიც უჩანდა სამი წლისას: ერთგული, უღ-
რეკი და მართალი. ამიტომაც ეთავყვანებოდა მას ერი,
რომელიც „ჩუმის ნატვრით“ შენატროდა ბაზალეთის
ტბის ძირას აკვანში მწოლარე ყრმას. ეს ყრმა საქარ-
თველოს მხსნელად უნდა მოვლენოდა. წმიდა კვირიკეს
ნათლით შემოსილი სახე ამ ყრმის ექოა. ხოლო სწორ-
უპოვარი მებრძოლი და, ამასთანავე, „ტყვეთა ხელის
აღმპყრობელი“ წმიდა გიორგი, რომელიც ერს ძლევ-
ამოსილ მფარველად ესახება, ნეტარი კვირიკეს უფრო-
სი ძმა და ძალაშემოსილი სახეა.

ყრმა კვირიკეს სვანეთმა ერთ-ერთ ყველაზე შე-
მაღლებულ ალაგას — მთის თხემზე აუგო სალოცავი.

მთის მწვერვალზე ტაძრის აღმართვა შემთხვევითი
არაა. სალოცავი, როგორც ტაძარი (ტაბტი) ღვთისა,
წარმოადგენს გოლგოთაზე აღმართულ ჯვარცმას, რომ-
ლითაც აღსრულდა საიდუმლოებათა საიდუმლო: ჯვარ-
ცმის შემდეგ ისტორიული, ხორცშესხმული იესო ქრის-
ტე ზეცად ამაღლდა და ამით კაცობრიობას ღმერთთან
დასაბრუნებლად, მათი პირველქმნილი — უკვდავი და
უხრწნელი — სხეულის შესამოსად აღმოუწოდა.

ამაღლებისა და უკვდავებისაგან სწრაფვას გამოხა-
ტავს შემალღებულზე დაშენებული ეკლესია, რომელ-
საც სვანურად „ლაჭუშმ“ ეწოდება. სიტყვა ლაჭუშმ სა-
მადლობელს ნიშნავს, ე. ი. ლაჭუშმ არის ადგილი,
სადაც მადლის მისაღებელია აღმართული. მღრ. სიტ-
ყეებს: მაჭტამ (მადლობა), მაჭტმზრ (მადლობელი). სვა-
ნები სალოცავს „სადღეგრძელოსაც“ უწოდებენ ლამ-
ზგარალ (სადღეგრძელო): სვანურ სუფრასზე ყოველთვის
ითქმის: შუანეშ ი საქართველოშ ლამზგარ მანუ გუ-
ამიდ (სვანეთისა და საქართველოს ყველა სალოცავი
შეგვეწიოს).

ადგილმდებარეობით მიუვალი სვანეთი საიმედო
საფარი იყო მომხდურთათვის გაღამალული საგანძურისა.
აქ ინახებოდა უძველესი ხელნაწერი ქართული სა-
ხარებისა — ადიშის ოთხთავი (897 წელს შატბერდში
გადაწერილი). სწორედ წმ. კვირიკეს და ივლიტას სა-
ლოცავი პატრონობდა ქართული მღვდელმსახურების
უძველეს ძეგლს — „იერუსალიმის განჩინებას“. ცნო-
ბილია, როგორი სიყვარულით უვლიდნენ სვანი
მამულიშვილები თავიანთ სიწმიდეს. სისხლს ღვრი-
დნენ: აეს აშორებდნენ საუკუნეთა მიღმა გადაწე-
რილ წიგნებს, რწმენით შექმნილ ჯვარხატებსა და „სა-
მადლობლებს“. ადგილობრივ შესრულებული ხელნა-
წერები, თუ ხელოვნების სხვა ნიმუშები ძველი სვანე-
თის ქრისტიანულ კულტურას აცნაურებს. „ლაგურკა“
ამ კულტურის ნამდვილი განხატებაა.

წმ. კვირიკესა და ივლიტას სალოცავი მე-11 საუ-
კუნის ძეგლია. მთა, რომელზედაც ეს „სამადლობელია“
აგებული (კალის სათემოში, სოფ. ხეს მახლობლად).
წმიდათაწმიდა ადგილია. მორწმუნე იქ წკეპლასაც ვერ
მოკრის და ბოროტს ვერ განიზრახავს. ხალხს მტკიცედ
სწამს ლაგურკას უძლეველობისა. მოგვითხრობენ: ერთ-
ხელ შემოპარულთ ეკლესიის გაძარცვა მოუხდომებიათ.
შეუღწევიათ კიდევ და იქედან ძვირფასი ხატ-ჯვრები

გაუტანაოთ. მაგრამ სალოცავის რისხვას ვერ გასცდენიან: ამოვარდნილა ქარბუქი, ქურდებს გზა დაბნევიდა და კვლავაც ტაძრის კარბუქს მიდგომიან. ბევრი იხეტიალეს, თურმე, ღვთის ნებას კი ვერ გადაუდგენენ: სალოცავის ძალამ ისინი სვანეთს ვერ გააშორა. ტაძრის შემგინებლები ხალხს სასტიკად დაუსჯია: ჩაუქოლავს.

ლაგურკაში ასვენია სვანეთის უდიდესი სიწმინდე — შალიანის ხატი. ეს არის ალაგ-ალაგ ტიხრული მინანქრით შესრულებული ხატი — სანაწილე, რომელშიც ჩასვენებულია გოლგოთაზე აღმართული ექვსფრთიანი ჭვარი. ეს ხატი მის ტაძართან ერთად ამ კუთხის სული და გულია. მას ეფიცებოდნენ სამირად გამზადებულნი. იგი აკავშირებდა, ამშობილებდა ხალხს და ამშვიდებდა მოშუღარათ. 1875 წელს ამ ხატზე დაიფიცეს სვანებმა ერთგულება, — მოგვითხრობს დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, რათა დაეცვათ თავისუფლება. შალიანის ხატს ახსოვს განსაცდელი სვანეთისა და მთელი საქართველოსი, ხალდეს აოხრება — 1876 წლის 28 აგვისტოს შავრაზმელთა მიერ ამ სოფლის ამოქურცა და გაცემტვერება.

1910 წელს სვანეთში არქეოლოგიური ძიებით იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც მოახერხა ენახა შალიანის ხატი. მეცნიერი წერს: „ყოველ თემს სვანებისას თავის ეკლესიები აქვს აუარებელის ჭვარხატებით, რომელიც დიდად სწამთ, მაგრამ არცერთი ისე ძლიერად არ მიაჩნიათ, როგორც „ლაგურკა“ და მასში დაცული საუცხოო, ბიზანტიური ხელოვნების სანაწილე — ხატი, რომელსაც ისინი შალიანს უწოდებენ. ამიტომ დიდი ბოროტებისა და დანაშაულობის ჩამდენის აღმოსაჩენად, აღნიშნულ პირებს ამ ხატზე აფიცებდნენ და მაგალითი არ ყოფილა წინა დროში, რომ სვანს, ფიცის დროს, თავისი დანაშაული არ ელიარებინოს“. პროფესორი იქვე შენიშნავს, რომ ლაგურკა და შალიანის ხატი სვანეთისათვის იგივეა, რაც ძველი საბერძნეთისათვის დელფოს ტაძარი.

შალიანის ხატზე მრავალი თქმულება შემორჩენილა. ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერით, ვინმე სვან შალიანს თავი უსახელებია იმერეთის მეფის წინაშე: ასი კაცს სათიბი მარტოს გაუთიბავს, პირობისაპებრ, შალიანს მეფისათვის ძღვევამოსილი ხატი გამოურთმევიდა და ძვირფასი ძღვევით სვანეთს დაბრუნებულა, მაგრამ გზაში კალელებს შურით მოუქლავთ; ხოლო ხატი, რომლის დასასვენებელი ადგილი ვერ შეურჩევიათ, მოზვრებისათვის შეუბამთ და ნებაზე მიუშვიათ. მოზვრებს გადაულახავთ ენგური, შესდგომიან აღმართს და იმ მთის წვერზე გაჩერებულან, სადაც ახლა წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაა აღმართული.

სხვა გადმოცემა (ვ. ძიძიგურის ჩანაწერით) ამ ხატს თამარ დედოფალთან აკავშირებს: კეთილ მეფეს მამაცი შალიანისათვის უჩუქებია იგი. მაღლიერ ყმას ხატი სვანეთს წაუსვენებია და ერთ ადგილას დაუბრძანებია. იქიდან „შალიანის ხატი“ აფრენილა და იმ მწვერვალზე განუსვენებია, სადაც მისთვის წმიდა საყდარი აუგიათ.

ხატის „აფრენა“, მისი უზენაესი ნების გმოვლენა,

მისი ძალმოსილება ახლოსაა მთის სხვა სალოცავების, გუდანის, ლაშარის, ლომისისა თუ ბეთლემის ჭვარხატების ზებუნებრივ თავგადასავლებთან.

როგორც მნახველნი გადმოგვცემენ, საკვირველმოქმედი ხატი, აბრეშუმის მანდილში გახვეული ინახებოდა რკინით შეჭედულ ხის სკივრში. სკივრი მოთავსებული იყო საკურთხეველთან, გვირაბში. ხატქმეხანას იშვიათი შემთხვევისას თუ გახსნიდნენ, ისიც უხუცესთა ნებათვით. სათაყვანებლად მხოლოდ კვირიკობას ამოასვენებდნენ, გარეცხავდნენ. ამგვარად ნაკურთხ წყალს ჩაასხამდნენ სპილენძის დოქში, რომელიც ხელოვნების იშვიათობაა. ნაკურთხი წყალი ხშირად ხატის მაგივრობას ეწეოდა: მასზე ფიცულობდნენ. ამჟამად, ხატი — სანაწილე ტაძრის ფასეულობასთან ერთად, ცეცხლგამძლე ყუთშია მოთავსებული.

კვირიკობა სვანეთის უდიდესი დღესასწაულია: იგი იმართება ახ. სტილით 28 ივლისს. თუ ამ რიცხვმა პარასკევს მოუწია, დღესასწაულს 29-ში გადაიტახენ. ამ დროს, ლაგურკაში აუარებელი ხალხი შეიყრება სრულიად საქართველოდან. მას მასპინძლობს ადგილობრივი — სოფ. კალის საზოგადოება. ამ საზოგადოებას ევალება ტაძრის მოვლა-პატრონობა და თავყრილობის ორგანიზაცია. უხუცესთა საბჭო დღესასწაულის რელიგიური აღმსრულებელია. იგი წარმართავს ლოცვასა და მსხვერპლშეწირვას. მათი აღმსარებლობა არაქანონიკურია, რადგან ამჟამად სვანეთს სასულიერო პირი არა ჰყავს. საკრალური რიტუალი უმთავრესად ტაძრის გალავანში ეწყობა. ბაზილიკაში შესვლა მხოლოდ თავკაცებს შეუძლიათ. ისინი საყდრიდან ზარ-ზეიმით გამოასვენებენ საეკლესიო დროშასა და ხატებს. ლოცვებს წარმოთქვამენ, იგალობებენ, იქადაგებენ: ხალხს ღვთის ნებას აუწყებენ, წინაპართა სულს მოიხსენიებენ, შემწირველთ დაუმადლებენ და საზოგადო ჭირ-ვარაშ მოუთხრობენ. ამ დროს ხდება მოსისხლეთა შერიგება, დამნაშავეის გამოტეხა, სახალხო აღსარება და მონანიება.

ღვთისმსახურების შემდეგ პურობად დასხდებიან. პირველად მაღალ ღმერთს ახსენებენ: „ხოშა ღერბეთუ გვაშიდ (მაღალი ღმერთი შეგვეწიოს), მეორედ — მიქაელ მთავარანგელოზს (მგქამ-თარნგულ) და მესამედ — წმიდა გიორგის (გგგრაგ). შემდეგ მოუხმობენ სვანეთისა და საქართველოს ყველა სალოცავს, წინაპრებს, ახალშესვენებულთ. სუფრიდან ყოვლადწმიდა მარიამის (ლამარიას) საღვებრძელოზე აიშლებიან.

ყოველ დღესასწაულზე ორ ხარს დაკლავენ, რომელთაც ორ უზარმაზარ ქვაში ხარშავენ. რასაც საგანგებოდ გამოხდიან. ყველა ხარჯს სათემო საბჭო გაიღებს შემოწირულობიდან.

ეზოს ერთ კუთხეში ორი ლოდია: ვაჟკაცები მასზე ძალას გამოსციდიან...

სვანეთი ნათელყოფაა იმისა, თუ როგორ დაემყნო სახარება ქართულ სულსა და ტრადიციებს, როგორ უმტკივნეულოდ შემოვიდა ჩვენს მამულში საყოველთაო ხსნისა და გადარჩენის ახალი მოძღვრება. ამის დასტურია ის ადათ-წესები და ადგილობრივი დღეობები,


რომელთა ფესვები წარმართული ებოქიდან მოდის. ქრისტიანობამ საქართველოში კი არ აღგავა სახალხო ჩვეულებანი, არამედ, ფერი უცვალა და ახალი რჯულით შემოსა დასაბამიდან მოტანილი ეროვნული სალოცავები. მიზეზი ამ ფაქტისა ქრისტეს პიროვნების სწორად გაგებით აიხსნება: იესო ნაზარეველი ქვეყნად მოვლენილი უმაღლესი ღვთისწყალობაა. იგი ძე ღვთისა და ძე კაცისაა. „ძე კაცისა“ კაცობრიობის შვილს ნიშნავს. „ქვეყანამან გამოსცა ნათელი თვისი“ (ფს 66,6). მარადიული, უქმნელი („უშობელი“) ღმერთი ქალწულის, განწმედილი ქვეყნის — ევას (ხავა — სიცოცხლე, ანუ მიწიერი ცხოვრება, ებრა.) საშოში განკაცდა. ამით ღვთისმშობელს პირველქმნილი (ევას ცოდვა) მოეხსნა და ქალწულის განწმედილ საშოში განსხეულდა უზენაესი სიკეთე — მაცხოვარი, ვინაც დედის (მარიამის) სხეული უკვდავებასა და უზრუნველებას აზიარა. მაცხოვრის მოვლინებას წინ უძღოდა ვრცელი გზა. ამ გზის შესახებ ქადაგებდნენ ისაია წინასწარმეტყველი (ისაია 40,3) და იოანე ნათლისმცემელი: „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ჰყვენით ალაგნი მისნი (მათე 3,3, მარკოზი 1,3, ლუკა 3,4 და 1,76—79, იოანე 1,23). ეს გზა იყო ის სულიერი სიკეთე, რომელსაც ძველი, ქრისტემდელი სამყარო ქმნიდა. საქართველოს ეკლესია კი არ უარყოფდა ასეთ წარსულს,

არამედ, მასში ევანგელური მსოფლგაგების მომამზადებელს ხედავდა.

ქრისტიანობა სვანეთში არაუგვიანეს VI საუკუნიდან გავრცელდა, რითაც ამ შეუვალი კუთხის წინარე სხვა სამყარო გადაიშალა. ამ სამყაროში წარსული ახალს ეზიარა: IX—XIII საუკუნეებში სვანეთი — წარმოჩენილი კალის, იფარის, უშგულის, ადიშის, ლაფსყალდისა და სხვათა ხელოვნებით — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ორგანული ნაწილი იყო. წმიდა ადგილთა მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ იქ მღვდელმსახურების ცხოველი კერები — მონასტრები ჰყვავოდნენ. საქართველოს ძნელბედობის ჟამს ბევრი მამულიშვილი შეპზარებია ამ კუთხის მიუვალ მთებს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესია დასუსტდა, სვანეთში მღვდელმსახურება შენედა. მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში გაუქმდა ცაგერის სამღვდელმთავრო-სამიტროპოლიტო, რომელიც განაგებდა საეკლესიო ცხოვრებას ლეჩხუმ-სვანეთში. 1823 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა მიტროპოლიტი იოანე ცაგერელი, ეს ეპარქია ჯერ ჰყონდიდისა და შემდეგ (1874 წ.) იმერეთის მღვდელმთავართა იურისდიქციაში შევიდა. დღეს საქართველოს საპატრიარქოში გაფორმებულია ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქია, რომელიც უნდა მოემსახუროს ღვთის მადლის განსასვენებელ მიწას.

6. აპაუაზვილი



ქრისტეს ამაღლების სვეტი ჯავახეთში

ჯავახეთი, ეს მთიანი მხარე, საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხეა. ადრე ჯავახეთი ტყით ყოფილა შემოსილი. რა თქმა უნდა, მასინ უფრო მშვენიერი იქნებოდა. ჯავახეთის მოციმციმე ტბები ტბაწყური და თაფარავანი სილამაზეს ჰმატებს მის მთებს და ველებს. ქართლის მეფე ვახტანგ VI და დიდი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ქებით ჩხსენიებენ მას. ჯავახეთი ერთადერთი, ყველაზე დაზარალებული მხარეა. თურქ-დამპყრობთა ხშირმა შეზღვევებმა თითქმის მთლიანად განადგურებამდე მიიყვანა აქაური მოსახლეობა. ვინც განადგურებას გადაურჩა, უნდა გაათათრებულიყო. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში გამაჰმადიანებული ქართველების მასობრივ გადასახლებას თურქეთში ხელი შეუწყეს ისლამის მქადაგებელმა მოლაზხოებმა. ყველა აქ აპყვა ამ „ქადაგებას“. საქართველოს შუაგულს მიაშურეს და იქ დასახლდნენ.


ჯავახეთში ამჟამად ცხოვრობენ ქართველები, სომხები, რუსები და სხვ. მიუხედავად ისტორიული ბედუქულობათობისა და ორომტრიალისა, ქართველი მოსახლეობა აღუდგა თურქეთის შემოსევებს, შეინარჩუნა თავისი მეობა, ქრისტეს სარწმუნოება, ქართული ენა და დაიცვა ის მდიდარი ძეგლები, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კულტურის ძეგლებიდან ყველაზე მეტი მეგალითები და მონოლითები

ჯავახეთშია: ჯვრიანი ქვეები, ჯვარქვეები, ჯვარსვეტები და სხვა. ვახტანგ VI „დასტურლამალ“-ში „თრიალეთის სოფლის საზღვრებისათვის“, ასახელებს ქვის ნაშთებს (ქვეებს). ამა თუ იმ სოფელს შორის საზღვრის ნიშნად, გზის, ხევის, ტყის პირის და სხვათა მანიშნებლად ხმარობს ასეთ გამოთქმებს: „ქუა კაცი“, „სამი ქუა კაცი“, „ქუა კაცის ზეით“, „დიდი ჯვარიანი ქუა“, „ჯვარიანი ქუა“ და სხვა.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს განმანათლებელი წმიდა ნინო საქართველოში ჯავახეთის მხრიდან შემოვიდა. ამ წმიდანის ნაკვალევზე ჯავახეთში ბევრი ეკლესია, ქვის ჯვრები, სტელები (ბოძები) და სხვა სამლოცველოებია შემორჩენილი. წმიდა ნინომ აქ, თაფარავანზე დამე გაათია; არ შეიძლება ეს ადგილები არ სცოდნოდათ ჩვენს წინაპრებს. საყურადღებოა სოფ. ფარავანის ახლოს (ამჟამად როდიონოვკა) წალკისკენ მიმავალ გზის პირას ქვა-ჯვარი ნაყოფიერების ემბლემით, რომელსაც აქვს თამარ-დავით სოსლანის ემბლემა და წარწერა: მისი სიმაღლე 2,5 მეტრია, სიგანე — 1,5 მეტრამდე. ჩასმულია კლდეში. თამარ მეფის დროს ამ მხარეში დიდი აღშენებლობითი მუშაობა უწარმოებიათ. გაუყვანიათ გზები, აუშენებიათ ღამის გასათევი ქარავსლები, ციხეები; გზებზე გაუკეთებიათ ნიშები, ქვის ჯვრები, გზის მანიშნებლები და სხვა.

მონოლითური ქვის სვეტი, რომელსაც სამ მეტრამდე სიმაღლე აქვს, მთის — „დიდი აბულის“ წვერზეა (3,300 მ. ზ. დ.) აღმართული. ადგილობრივი მცხოვრებნი აღნიშნავენ, ქვას გამოსახულება ჰქონდაო. ქვა ჩამოუგორებიათ მთიდან. არის მსგავსი ქვა ვაჩანსა და კუმურდოს შუა. „კუმურდო საეპისკოპო საჯდომი დიდებულის საყდართურთ“ — იხსენიებს ლეონტი მროველი. რადგან კუმურდოზე ჩამოვარდა საუბარი, კუმურდოს ქებულ ტაძარს ქვის სვეტების ადგილები (ჯვრებითურთ) ძლიერ-ლა ატყვია. სოფ. აბულის წყაროსთან ჯვრით დაგვირგვინებული სვეტებიც ასევეა. შემორჩენილია სახელი — „წყაროსგვერდითი ჯვრები“. ერთი ასეთი სვეტი ბზავეთშიც ყოფილა. სოფ. ბურნაშეთში (ახალქალაქის რ-ნი), დარბაზული ტიპის ეკლესიაში კარგად დაცულია მატერიალური კულტურის ძეგლი — მოზრდილი „ქვა ჯვარი“. ერთი სიტყვით, ჯავახეთში, სადაც ორი-სამი ნასოფლარია, თითქმის ყველგან არის ასეთი ძეგლები. ისტორიული მნიშვნელობის კულტურის ძეგლებს შორის მთლიანად დაცულია სოფ. ბარალეთის „ამალლების ჯვარი“, — „ამალლება“, როგორც აქაური მცხოვრებლები ეძახიან. სოფ. ბარალეთის შუა გამავალ მდინარეს თუ აპყვებით, ორიოდ კილომეტრზე, მდინარის მარცხნივ, დაინახავთ გორაკზე აღმართულ, ლამაზად გათლილ ქვის სვეტს, რომელიც ამ მხარეში არსებულ სვეტებს შორის ყველაზე მაღალია. მისი სიმაღლე ხუთ მეტრამდე აღწევს. ერთი მთლიანი ქვის სვეტი დაგვირგვინებულია ქვისავე მშენიერი ჯვრით. ჯვრის ქვემოთ, თვით სვეტზეც ჯვრის გამოსახულება ამოკვეთილი. მთელ სიგრძეზე ჩაუდის სწორი ხაზები, რაც უფრო მეტად ამშვენებს სვეტს.



საყრდენი საფუძველი შემკულია ჩუქურთმებით. „ამალლების სვეტს“ გარშემო ქვით ნაშენი გალავანი არტყია. „ამალლების“ დღეობა იმართებოდა ყოველ წელიწადს ქრისტეს ამალების დღეს (ქრისტეს ცად „ამალლება“ თავისი მოწაფეების თვალწინ). ამ დღეობაზე იყო ხალხმრავლობა. მიუხედავად იმისა, რომ „ამალლება“ წმიდა ქართული დღესასწაულია, აქ ნახავდით მუსულმან ქართველებსაც, რომლებსაც თავიანთი წინაპრებისაგან ტრადიციულად შემორჩენოდათ ამ ადგილისადმი პატივისცემა. მორწმუნე ადამიანები „ამალლება“ შესთხოვდნენ დახმარებას: კარგ ამინდს მოსავლისათვის, ყანა-ჭალის შენახვას სეტყვისაგან, დროულ წვიმებს, ავადმყოფობათა განქარებას და სხვა სიკეთეს. ამ დღესასწაულზე დიდი შესაწირი არ მიჰქონდათ, მცირე პურ-მარილით კმაყოფილდებოდნენ. რა თქმა უნდა, ანთებდნენ სანთლებს, უთევდნენ ღამეებს, იყო ზომიერი სმა-ჭამა, ზვარაკების შეწირვა, დაკრათამაში, იმართებოდა ჯირითი, ჭიდაობა, ხტომა და სხვა, რაც გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

„ამალლების“ სვეტის შესახებ მრავალი თქმულება გავრცელებული, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყველა თქმულების აზრი ისაა, რომ ამალლების ჯვარი ხალხის მფარველია. ეს ჯვარი სირგვის ნასოფლარის მიდამოს მცველია: „მურჯში თუ არ მოვა მოსავალი, მურჯიკანში მაინც იქნებაო, თუ მურჯიკანშიც არ მოვა, სირგვში ნახე, აუცილებლად იპოვიო“ (სირგვი, მურჯი და მურჯიკანი „ამალლების“ ახლომახლო ნასოფლარებია). არის გადმოცემა, თითქოს თამარ მეფეს, ვარძიას მიმავალს, სირგვის მინდორზე (ამალებასთან) ჯვარი გადაუსახავს და უთქვამს: „ამის პური ულეველი იყოსო“. აქაური დიკა ახლაც განთქმულია. არის ასეთი გადმოცემა: სვეტზე ოქროს ჯვარი ყოფილა და ავაზაკებს მოუპარავთ, სვეტი ქარიშხალს წაუქცევია. ამ წელიწადს მოსავალი გვაღვისაგან წამხდარა. ერთ გლეხს უნახავს სიზმარი, რომ ჯვარი ისევ იმ ადგილზე აღმართათ. ჯავახეთის გლეხობას სვეტი მართლაც თავის ადგილზე დაუბრუნებია, ზედ მშვენიერი ქვის ჯვარი დაუდგამს. მისი მაღლით წვიმები და-

წყებულა, გვაღვისაგან წამხდარი მოსავალი გამოკეთებულა და ბარაქიანი კალოობაც ჰქონიათ.

ერთი ხანშიშესული ქალი ასეთ ამბავს ჰყვება: „ომი იყო. „ამაღლებზე“ შეკვეთილი ვიყავი. საღამოს წავედი სალოცავად და ღამის სათევად და შევთხოვედი, ჩემი შვილი ცოცხალი მანახეო, ერთხანს ვლოცულობდი, იმედი მქონდა, სალოცავთან ახლომახლო სოფლებიდან მოვიდოდნენ. ამასობაში დაბნელდა კიდეც, წვიმდა, ძლიერი ქარი ქროდა, სანთელს აქრობდა, უკან გამობრუნება და შინ წასვლა უფრო მაშინებდა. იქვე კედელთან, ამაღლების სვეტთან ჩავჯექი, დიდხანს ვიყავი ფიქრებში წასული. მოგვიანებით მოვიდნენ მწყემსები, ერთმანეთს უთხრეს: „ნახე, მარტო ერთი ქალი მოსულაო“. მე მითხრეს: ნუ გეშინია, ჩვენ აქა ვართ, ახლოს, შენ არაფერი მოგეკარებაო. დედამიწას სინათლე მოეფინა თუ არა, წამოსვლა დავაპირე, ნაწვიმარზე ბევრი ვათვალიერე მწყემსების ნაფეხურები, მაგრამ ვერაფერი ვნახე“. არის ასეთი ვარაუდიც, თითქოს ეს ძეგლი ამ მხარეში გადახდილ ბრძოლების ნიშნად „ქართველ ძმათა საფლავზე“ იყოს ამართული.

მკვლევარ-მეცნიერები ამ ძეგლს მეთერთმეტე საუკუნისად მიიჩნევენ, თუმცა, ბაზისზე გამოსახული ბოლნური ჯვრის მიხედვით ძეგლი დათარიღებული უნდა იქნას ადრინდელი ფეოდალური ხანით, არა უგვიანეს, IX საუკუნისა.

ამ მხარეში რამდენიმე გზა გადის, მაგრამ მთავარია ორი: ერთი, რომელიც ამაღლებას აღმოსავლეთიდან აუვლის, მეორე — დასავლეთიდან. აქედან გზა ტაბაწყურისაკენ მიემართება, ტაბაწყურთან გზა იყოფა: ერთი წალკისაკენ, მეორე კი გუჯარეთის ხეობით ქართლისაკენ მიდის. ბარალეთი ვახუშტი ბატონიშვილს ქალაქად აქვს მოხსენებული (აქ საქარავნო გზები გადიოდა).

საყურადღებოა კიდეც ერთი დეტალი: წმიდა ნინომ თუ ღამე ფარავნის მიდამოებში გათია, ადვილი შესაძლებელია, ბარალეთსა და ტაბაწყურშიც მოუხდებოდა ყოფნა (მანძილით შეიძლება განისაზღვროს). საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ადგილებზეა ლაპარაკი


ღამისთვის შესახებ. რა თქმა უნდა, მაშინ ზაფხული ყოფილა. ეს კი ფაქტია, რომ სოფ. ტაბაწყურის დასავლეთით, მთის ფერდობზე არის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია (ძეგლი შუა საუკუნეების ხანას ეკუთვნის). აქვე, სამხრეთით, არის პატარა ლამაზი ხევი (ღელე). ამ ღელეს იქაური მცხოვრებნი „ნინო ღელას“ ეძახიან.


ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ეყრდნობა რა „წმიდა ნინოს ცხოვრებას“. ამბობს: „ვიწითგან (ქართველთა) იცნეს სამება-ერთარსება ჰეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაპადოკიელი ნათესავი წმ. დიდის მოწამისა გიორგისა, ამისთვის მიერ უამთავან ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერისასა შინა“. ეს ნამდვილად საყურადღებოა იმიტომ, რომ ჯავახეთში ბევრია წმ. ნინოს კულტის ნიშნები. ჯერ ერთი იმიტომ, რომ განმანათლებელი ჯავახეთიდან შემოვიდა, (ქეორეც, მცხეთაში არსებულ „ჯვარბატონისანს“ და „სვეტიცხოველს“ თავისებური გველენა უნდა მოეხდინა, როგორც მთელ საქართველოზე, ისე ამ მხარეზეც.

რა თქმა უნდა, წმ. გიორგის რწმენა და მისდამი თაყვანისცემა საქართველოში წმ. ნინოს თაყვანისცემასთან ერთად ვრცელდებოდა, ჯავახეთში წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და დღეობა უამრავია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. რადგან საუბარი გვაქვს მეგალითებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ აქ უამრავია „თევზ ვეშაპის“ ფორმის ქვებიც (მაგ. განძის უზარმაზარი „ძუძუ ქვა“, სოფ. მურჯახეთის „რძის ქვა“ და სხვა). გველეშაპის მძლეველი წმ. გიორგის პატრიესაცემად ისეთი ძეგლებიც მოიპოვება, რომლებიც ქრისტიანობის შემოსვლამდე არსებობდა და შემდეგ გადაუკეთებიათ.

ჯავახეთის ისტორიულ-რელიგიური კულტურის ძეგლები სერიოზულ შესწავლას საჭიროებს. ჯერჯერობით არსებული გამოკვლევები თანამედროვეობას ვერ აკმაყოფილებს.

რ. მაღრაძე





ყოველი სხეულგბრივი არსება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას

I
ეს ერთნაირად ეხება, როგორც ცოცხალი ბუნების შეილებს, ისე მკვდარ-უგრძნობელ მატერიალურ არსებობას.

დროსა და სივრცეში არსებობს და ისპობა ყოველი სხეულგბრივი არსება. მაგრამ ისპობა არა ერთბაშად ყოველი, არამედ, რაღაც ნაწილი, რომელიც გარკვეული არსებებისა და ჩნდება რაღაც ნაწილი იგივე არსებების სახისა, ან სხვა სახისა, ასე რომ ყოფნა იცვლება არყოფნით, არყოფნა — ყოფნით.

მაშასადამე, ისპობა ერთი, ჩნდება მეორე. ე. ი. არსებობათვის დამახასიათებელია, როგორც მოსპობა, ისე გამრავლება. თანაც, ყოველი სხეულგბრივი არსება ერთბაშად როდი იღებება, ან ერთბაშად როდი ჩნდება, არამედ, ნაწილ-ნაწილ.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუმა ყოველი სხეულგბრივი არსება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას და ისპობა საერთოდ და აუცილებლად, მაგრამ არა ერთდროულად, არა ყველგან, არა ყველა და ყოველი. ამიტომ თვით მატერია, თუ მას ავიღებთ არა დანაწევრებულს, არამედ, მთლიანობაში, შედარებით მარადიულია. ჩვენ არ ვიცით, როდის მოსპობა მატერია საერთოდ, ან მოსპობა იგი, თუ იარსებებს მუდამ, — დროსა და სივრცეში; ის კი ვიცით, რომ თითოეული მატერიალური არსება მოსპობა დღეს-ხვალ, ან ახლავ.

სხეულგბრივი არსების დაბადებაში (მის შემადგენლობაში და აგებულებაში) იმთავითვე მოცემულია არარსებობა.

არსება, რასაც ნებისმიერი გარსაკრავი აქვს — განწირულია. მის დაღუპვას, ან რაღაც მოულოდნელობა, შეჩახება სხვა მატერიალურ არსებებთან, ან თვით სხეულგბრივი გაიკეთა, რადგან ყოველივე ნივთიერი შენაერთი შეიძლება დაიშალოს, ან გაიკვდეს; შეუძლებელია სხეულგბრივი არსებას განუესაზღვროთ დრო მისი არსებობისა, რადგან მიზეზი, მისი არარსებობაში გადაწყვანი, ხშირად დაუძლევი და მოულოდნელია. ჩვენ არ ვიცით, დაიგვიანებს იგი ამ არსების მიმართ, თუ დაასწრებს ჩვენს სიტყვას და გაანადგურებს არსებას, რომელიც გვყავს მხედველობაში. არსებას თვითონ არ შეუძლია თავი დაიკავას თავისი მომსპობი მძლავრი მიზეზისაგან. არსების დაცვა ამ შემთხვევაში მხოლოდ პირველ მიზეზს შეუძლია, მას, ვინც ყველა მიზეზზე უძლიერესია. ჩვენ არც ის ვიცით, როდის არის მისთვის მიზანშეწონილი არსების დაცვა. ვეხებით რა არსებათა არსებობას, ან არარსებობას, უმომბესია, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში ვიყოლით ცოცხალი სხეულგბრივი არსებანი.

ცოცხალი არსება მართლაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. და აი, როცა ამ სიტყვებს ვწერ, მე წარმოდგენილი მაქვს ფიქვის ხე, რომელიც გზის პირას შრიალებდა. გუშინ კი, დღით, იმ გზაზე რომ ჩავიარე, ენახე, ქარს მოეტეხა. გაიაზრეთ, ჯერ ჩემი წარმოდგენა ეს არ შესჩვევია მის დაღუპვას, ხოლო ის უკვე აღარ არსებობს. აღარ არსებობს, — ამას მე ვამბობ, როგორც ცოცხალი არსება (და არა როგორც მატერიალური არსება). ის ხომ წელგამართული, მშვიდად იდგა, ახლა კი მოტეხილი გლია, ტოტემშემოღწილი... იგი სრულიად სახეცვლილია. მალე ცეცხლს შეურთავენ. ამით დამთავრდა იმ ცოცხალი არსების სიტყვებზე, იგი აღარ განმეორდება. შეიძლება მის ადგილზე სხვა დაგვან, ან, მისი თესლიდან მისივე მსგავსი აღმოცენდეს, მაგრამ იგი ის ფიქვი აღარ იქნება, არამედ სხვა. ისე, როგორც გარდაიცვალა ნიკო და დარჩა ნიკოს შვილი; მაგრამ ნიკოს შვილი ნიკო არ არის, არამედ, სხვა ცოცხალი არსებაა. ახლა, როცა მე ნიკოს შვილზე ვსაუბრობ, როგორც ცოცხალ არსებაზე, შესაძლებელია, იგი ცოცხალი აღარ არის ამ წუთში...

ეს კაცი, როგორც ცოცხალი მატერიალური არსება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, მიუხედავად მისი სხეულის სიმრთელისა. მაგრამ სიმრთელე სულაც არ არის უკვდავებისთან მიხედვება, არამედ, მხოლოდ ის არის, რომ სიცოცხლის პერიოდში კარგად გრძობთ თავს, არ გტანჯავს სხეულის შინაგანი მოშლილობა, სისუსტე. თან უფრო მეკეთრად აღიქვამ გარე სამყაროს, რამეთუ ავადმყოფური მდგომარეობა ყოველთვის, ცოტად თუ ბევრად, აბუნდოვანებს გრძობას. ხოლო ბუნდოვანება მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტად ავადმყოფდება სხეული. ამიტომ საუკეთესო არ არის: სული, რომელიც თავისუფალია სხეულგბრივი ტვირთისა და ყოველგვარი ავადმყოფობისაგან, გარემოს უნდა აღიქვამდეს უფრო მეკეთრად და ამაღლებულად, უფრო ძალუძლად უნდა შესტრფოდეს მშვენიერებას.

მაშასადამე, ცოცხალი არსება, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, ამ წუთში ან არსებობს, ან აღარ არსებობს. მაგრამ გვეტყვიან, ავი არსებობდით?! — რაღა თქმა უნდა, მაგრამ მისი სიცოცხლე, არსებობა, ყოველთვის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. ზღვრის ერთ მხარეს სიცოცხლეა, მეორე მხარეს სიკვდილი, არყოფნა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯანმრთელობა არსების სიცოცხლის დაცვას ვერ უზრუნველყოფს, რადგან ფიზიკური ძალა, მორალური დაძაბულობა ავიღოდა არღვევს სხეულგბრივი კავშირებს... ბრძნულად ამბობს ამის შესახებ რუსთველი. დიდი ფიზიკური ძალის მქონე ტარიელი, ნესტანის უმიფლო ძეგნისაგან სა-

სოწარკვეთილი, სიკვდილის პირზეა მისული და ეუბნება ათანდილს: „ღამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთებვარ სულთა სიარასა“.

რუსთველი ძლიერ ღრმად იჭრება ყოფნა-არყოფნის საკითხში, მისთვის ადამიანის ცხოვრება სიზმრისებური და წამიერია.

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი დამისა,

გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ქამისა!

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისა არის ერთისა წამისა“.

„ესე ასეთი სოფელი არვისგან მისანდობელი, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწობელი“

ასევე ისმის ყოფნა-არყოფნის საკითხი შექსპირთან, რომელიც ყოფნას აუენებს არყოფნის ზღვარზე:

„ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის“...

დანტე ალიგიერი გმობს კაცთა დროებითს, უსამართლო განდიდებას, უწოდებს მას ამაოს; როგორც მწვანე მწვერვალზე ბალახს არ ასცდება დაქნობა, ისე კაცთა დიდებას — წარმავლობა.

„ჰოი, ამო განდიდებაე კაცთა შეძლების, რა მალე ელის ქცნობა შესნა მწვანე მწვერვალეს,

თუ არ უმაგრებს მას საფუძველს ხანგრძლივი ქამი“...

ხანგრძლივი ქამი კი მხოლოდ და მხოლოდ მარადისობაა დანტესათვის.

„ათასი წელიც გაიჭროლებს, — ეს ქამი მცირე მარადამობის შეფარდებით ერთი წუთია“.

ზოგს ეს აზრები შეიძლება პოეტურ ალიტერაციად ეჩვენოს, მაგრამ დიდი ჰუმანისტები ხალხს სიმართლეს დალადებენ, იმას, რაც მათ ცხოვრების გამოცდილებამ შესძინათ.

განა, ჩვენ თვითონ არა ვართ მოწმე ხშირად, რომ ჩვენს ირგვლივ ზედიზედ ეცემიან ძლიერნიც და სუსტნიც, მდიდარნიც და ღარიბნიც, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც!

არავის შეუძლია თქვას მტკიცედ: აი, ეს ახალგაზრდაა და ჯანმრთელი და მეტს იცოცხლებს აგერ იმ წელთა სიმრავლით გატეხილ მოხუცზე; არ შეუძლია თქვას, რადგან, როგორც ვთქვით, სხეული სიცოცხლის დაცვის მტკიცე გარანტიას ვერ იძლევა. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მომოსალოდნელსა და მოულოდნელ განსაცდელს გალავრჩა, ადამიანს ოდნევე შევლის ჯანმრთელობა (სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის), მაგრამ ისიც ისე ადვილად ირღვევა, როგორც ხელით ნაცსოვი წინდა. ამიტომ მცირე და „დიდ სიცოცხლეს“ შორის ზღვარი ისე უმნიშვნელია, რომ ყო-

ველი არსება მიიწი იქ დგას, სადაც სხვა ცოცხალი არსებანი, — სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან.

II

თუ ჩვენს ირგვლივ ქრებიან ჩვენთვის მახლობელნი და ნაცნობნი, მაშ რატომ უფრო მძაფრად არ უნდა შევიგრძნოთ ამ ქვეყნიურთა ამაოება, რატომ არ უნდა მივყვეთ ღვთის მცნებას? რატომ არ უნდა ვიზრუნოთ სამარადისო ცხოვრებისათვის, რომელიც წამიერი სიცოცხლის შემდგომ დადგება, რომელიც წამიერი სიცოცხლის შეგნებული გამოყენებით მოგვენიჭება?! ეს „წამიერი“ წუთისოფელი ზოგს მეტისმეტად გაუზვიადებია. მათ საქციელს რომ დაუკვირდეთ, თავი უკვდავად წარმოუდგენიათ. იქნენ ისეთ საგნებს, რომლებიც ძნელად იხარწნება, ხოლო ადვილად შეუძლია შემქნელის გახარწვა. განსაკუთრებით ახლა, უმძლავრეს წერტილს მიადრწია ადამიანის მეშინაობამ. დედამიწის ყველა კუთხეში, უფრო მეტად კაპიტალისტურ ქვეყნებში, ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილის არისტოკრატიულ მოაქვს თავი; იქნენ ძვირფასი ლითონის ციფ საგნებს, ბროლის, ოქროს, ვერცხლის... სახლში გამოფენას აწყობენ, რათა თვითონაც დაიტყბონ თვალნი და სხვათა საკუთარი სიმდიდრით გააკვირვონ. შეპყრებენ ციფ, უსულო სხეულებს, მათ ემსახურებიან, ყოველდღე სწმენდენ მტვერს და მიიწი მტვერის ისუნთქავენ. აღივებენ რა ადამიანის ნახელოვან საგნებს, თავისდაუნებლოდ კერძოთაყვანისმცემლებად იქცევიან და კერძოთაყვანისმცემლობის დასაყრდენად, ამოივებენ არიან გართულნი. ამოივებენ ღრობის უღიღეს ნაწილს, ნაცვლად იმისა, გულისყური რომ ყოვლის შემოქმედს მიაპყრონ. ცხადია, სადაც არს საუნჯე მათი, იქავეა გული მათი...
ის უფრო იწვევს გულისტკივილს, რომ მსგავსი ადამიანები ჩვენშიც და საზღვარგარედაც თაყვანს სცემენ, აღივებენ ციფ, უსულო საგნებს და მათთვის მახლობელ სულიერს კი უარყოფენ. მთელი ცხოვრება შესტრფივალბენ ამაოებას, ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდნენ დასტოვონ საკმაო რაოდენობის შთამომავალი, გამარავლონ გონიერი არსებანი. ასეთები ორს, ან სულაც, ერთ შვილს სჩერდებიან და ცხოვრებისეულ მოულოდნელობებს ასე ხვდებიან. მერე, ამ ერთით მიადრწევენ საწადელს? გამარავლებიან, თუ შემეცირდებიან?

სწორედ ამიტომ, ის უსულო საგნები საგამოფენო თაროებიდან სიცილის აყრიან თავიანთ პატარონებს. მათ დივიფიყეს მაცხოვრის სიტყვა, რომლითაც უფალმა მიმართა მდიდარ ხარბს: „რისთვის შეიკრებ კაცო, საუნჯეს ამდენს, რამეთუ ხვალ მოჰკვდები. ვისლა დარჩენს მონაგები შენი, რამეთუ არა გუაგვს ძენი — მონაგები შენი ყოველი დარჩენს სხვის და იხაროს მასზედ“. ამ ადამიანებმა არ უწყვიან თავიანთი დანიშნულება, არ სცნობენ განგების ადამ-წყესებს, რისთვის მიუზღებია უფალს, ვთქვათ, შვილები.

მრავალი არ სარგებლობს ამ კეთილი თვისებით, ეძლევა დროსტარებას და მდი-

დრულად ცხოვრების სურვილით შეპყრობილი, საშინელ ცოდვაში ივდებს თავს. მას ეშინია ჯერ არდაბადებული შვილის და დაბადებამდე, სულდგმულ არსებად ქცევამდე სპობს თავისსავე სხეულში მას. სწორედ, აქ მოჩანს მავანთა სიძულწი, უძღვებობა, ქარაფშუტობა, ამპარტანება, შთამომავლობის უგულვებელყოფა.

ეს არის მეტწილად მიზეზი, რომ დღეს საქართველოში მოდგმის მატება ძალზე ნელა მიმდინარეობს. დიდი ხანია, ერთ ადგილს ვტკეპნით. ამ საშინელი „სენის“ წყალობით აღარ მრავლდება მაღალი ზნეობით შემკული და გარეგნული სილამაზით განთქმული ქართველი ერი. ერთი და ორი შვილის ყოლა ამინდს ვერ ქმნის და მოსახლეობის რიცხვი მცირდება. ეს სამწუხარო ლაქად სცხია ჩვენს ზნეობას, რომელიც ძლიერ შელახულია.

დღეს მტერს ვეღარ დაუხვდება შვიდი ჩოლოყაშვილი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა ძმა მახაშვილი, ოცი ძმა, ნოშრევანის ძენი... ვნატრობთ, „ნატოვლის დედამ“ თავისი ნაშვილი სახე დაიბრუნოს და მაშინ შეგვეძლება აღტაცებით მივმართოთ მას დიდი ილიას სიტყვებით: „აქ არის დედა, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი! აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს...“

დღებმა არა მარტო უნდა გაამრავლონ, კეთილი თვისებებითაც უნდა აღჭურვონ თავიანთი შვილები: „დედა! ისმინე ქართლის ვედრება, ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვდეს ქვეშაობიერება, უქან პრჩეს კვალი განათლებული!“

III

წინა თავში აღძრულ არსებით საკითხს ხომ არ გადაუხვიეთ? შეიძლება გაუკვირდეს მკითხველს, ერთის მხრივ ემტკიცებო, რომ ცხოვრება, სიცოცხლე ყოველი სხეულებრივი არსებისა (მათ შორის, ადამიანისაც), ამოა და წამიერია, რომ ყოველი ცოცხალი არსება სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგას და მეორეს მხრივ, მოეუწოდებთ ადამიანებს, სძლიონ სიხარბეს, გამოიღონ ნაყოფი კეთილი, ამარალონ მოდგმა. ამ ორი აზრის დაპირისპირებისას მკითხველს აუცილებლად დაეხადება კითხვა: „რალა აზრი აქვს მოდგმის გამარავლებას, თუ სიცოცხლე იმთავითვე ამოა, თუ ის მიიწი ისპობა, თუკი საერთოდ ისპობა ყოველივე და არსების დაბადებამდე მოცემულია თანდაყოლილი სიკვდილი? რალა აზრი აქვს, ქვეყანაზე ცოტანი იქნებიან თუ ბევრნი ცოცხალი არსებანი, თუნდაც ადამიანები? ხომ მიიწი წარმავლანი არიან ისინი? — ისპობიან, მტერს იქცევიან. ცოტა იქნება თუ ბევრი, ქარისაგან ჰაერში ატანილი მიწის მტვერი, ამას რა არსებითი მნიშვნელობა აქვს?! ან, რისთვის ვიზრუნოთ ზნეობის, სულიერი სიმდიდრის სრულყოფისათვის, როცა ყოველივე არამდგრადია? ამოა? განა სულ ერთი არ არის, ბრძენი და გზონიერი იქნება ადამიანი, თუ პირუტყვივით უხეში და ქვენა გრანობების აწყობი? ასეთ

შემთხვევაში, იტყვის მკითხველი, ისეე პირუტყვიანი გრანობების აყოლა უჯობს კაცს, რათა გაუძლოს ცხოვრების ამაოებას და თავისი თავი თვითგვეით არ ამოიქვამოს.

ზოგიერთი ბირდაპირ მოგვახლის: რალად ვჩნდებით ამ ქვეყნად, ან, შემდგომ რილასთვის უნდა გავმრავლდეთ, თუკი ადამიანი ასე უეცრად და სათითაოდ ისპობა, თუკი მსოფლიოს გარდაუვალი კატასტროფა ელის, თუ ყველა ერთად გაწყდება, როგორც ეს მოხდა წარღვის დროს. მაშინ ხომ ადამიანების არსებობის კვალიც წაიშლება, ყველგან სამარადისო დუმილი დაისადგურებს?

ჩვენთვის მეტად სასარგებლოა, სწორედ, ამგვარი, ცხოველი კითხვები თუ ვისმეს დაეხადება, რათა განვმარტოთ საკითხის ყოველი მხარე და ერთმანეთს დაეუპირისპიროთ ამაოება და მარადისობა.

მაშ, კვლავ დაეუბრუნდეთ ჩვენს თემას და დავიწყეთ იქიდან, რასაც თვით წერილის სათაური მიგვითითებს. — ყოველი სხეულებრივი არსება ყოველ-არყოფნის ზღვარზე დგას.

დაიხ, ეს ეგება მხოლოდ სხეულიან არსებათ, მგარამ ეს არ ეგება უსხეულო არსებათ, ანუ სულებს. ადამიანის არსებაში ორი საწყისია: ხორციელი და სულიერი. ყოველ-არყოფნის ზღვარზე დგომა ეგება სწორედ, ადამიანის ხორციელ საწყისს, ხორციელ არსებობას მისას. ხორციელი საწყისისა ისპობა ყოველი, სულიერისა კი — ყოველი რჩება. ამიტომ დრო არსებობისა ქრება, მგარამ ის, რაც ამქვეყნიურ არსებობაში შეიქმნა, ის, რალაც ადამიანმა შექმნა თავისი თავი, რლდი მისობა: სულში აღიბეჭდება ყოველივე მისი ნამოქმედარი ამ ქვეყნად, როგორც კარგი, ისე უღი; ესაა ის, რაც აღარ ისპობა და რაც სამარადამოდ რჩება: თუკი ადამიანი ეძლევა ტკბობას ყოველგვარი ამაოებით, მიღის ყოველი გზით და გონებას აქროლებს ყოველითა ქართითა — როგორც ისაია წინასწარმეტყველი გვამცნობს, მაშინ სული ბნელდება თანდათან. ყოველგვარი ზნეობრივი გაყვნილება სულს მკვეთრად აჩნევია, რის გამოც იგი მართალ სულს მხარში ვეღარ ამოუდგება. იგი სულ სხვა გარემოში ხვდება და მისი მარადიული არსებობა სულ სხვა მიმართულებას იღებს. იქ მას მოელის დიდი სულიერი ტანჯვა, რომლისგან თავის დაღწევის უნარი აღარ გააჩნია. ამიტომ საჭიროა, აქ, მიწაზევე აღვზარდოთ ადამიანები, რათა მათი მეორე საწყისი, მთავარი და მარადიული, ბუნდნიერ გარემოში მოხვდეს.

მიზანი ადამიანთა გამარავლებისა, მრავალი შვილის ყოლისა, სრულიდაც არ არის ამო. იგი უჩინარისაგან არის დაწვეებული და მას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს აქ, ადამიანურ ცხოვრებაში, ადამიანთა საერთო პროგრესისათვის, თვით მშობლებისათვის. შვილები თავიანთი სანუჯვარი, ცოცხალი თვისებებით ყველაზე უძვირფასეს ნივთებს ჰარბად აღვმატებიან და კიდევ ახალ სულთა მატება-გამარავლება, კვლავ ვიმეორებთ, უნარი, რომელიც ბოძებულია

გამრავლებისთვის, აღამიანმა ფუქად არ უნდა ჩაჰკლას.

სხვა საკითხია, როცა ესა თუ ის აღამიანი თავისი სურვილით ეწვიება უფალს, აღთქმას დებს, დარჩეს ქალწულად, ანდა ბერად შედგეს. ამ დროს ის ყველაზე მაღალ მიზანს ისახავს, თავის ყველაზე სანუკუკვარს, პირადულს სწირავს შემოქმედს... ხოლო იმ აღამიანის მეშინაობა, რომელსაც მეუღლე ჰყავს და შეიღის ყოლა არა სურს, ყოველმხრივ დასაგმობია. აღამიანის სულის აღზრდა ხომ პირველ საფეხურზე (და ეს მთავარი საფეხურია), სხეულში ხდება. გარდაცვალება მას თიშავს ხორციელი ცხოვრებისაგან და გადაჰყავს სულიერ ცხოვრებაში.

არაგისათვის საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ნივთების შექმნას ათასწილად სჯობს შენივე მსგავსი სულიერი არსებების გაჩენა, არსებებისა, რომლებიც მერმე მარადისობაში უნდა დამკვიდრდნენ და დროსა და სივრცეზე იბატონონ. მათ ერთხელ დაბადებულთ და სწორად აღზარდილთ, აღარ სტანჯავთ სიკვდილის შიში. ფიზიკური საგნები კი, რაოდენ მიმზიდველნი და ძვირფასნიც არ უნდა იყვნენ, სულიერი არსების მაგივრობას ვერ გასწევენ. ისინი მხოლოდ ღრობით „დაატკობენ“ პატრონს ხორციელ სიცოცხლეში. მიცვალების შემდეგ კი მას რჩება გამოუთქმელი, მუდმივ მტანჯველი და მარცხენალი სინანული, რამეთუ, ის ვერ იქნება თავისი შთამომავლებით გარშემორტყმული და დამშვენებული.

დასკვნა ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მატერიალური არსება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, აღამიანი მოვალეა დარჩეს აღამიანად, ავეთოს ღვთის სასიამოვნო საქმე, მიჰყევს მის მოწოდებას, ზურგი აქციოს ამო დროსტარებას, გაამრავლოს შთამომავლობა და იზრუნოს მათი სულიერი და ფიზიკური აღზრდისათვის.

IV

თუ დაუფიქრებელი, ყოველი ხვალისდელი დღე გვაახლოებს არყოფნასთან. არა თუ დღე, ყოველი განვლილი წუთიც და წამიც. თუ გვეჩვენება, რომ ვარსებობთ, ეს იმიტომ, რომ ჭერ კიდევ ზღვარზე ვდგევართ და არყოფნაში არ გადავსულვართ.

ასეთია ამქვეყნიური სიცოცხლე: რაღაც მანძილი გაიარე და თითქოს გათავდა. თავიდან რომ დაიწყე, წინ გზა გრძელი გეჩვენებოდა, ცოტა რომ გაიარე, მანძილმა თვალდათვალ იწყო შემოკლება და ბოლოს აღარაფერი დაგრჩა.

მივდიოდით რა წინ, მივისწრაფოდით უსასრულოდ მცირისაკენ. აღთქმულ ადგილს მისვლა, ცხადია, მანძილს ნულის ტო-

ლად აქცევს. აქ ნამდვილი მანძილის გაელასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ის მთავარი განსხვავებაა, რომ ნამდვილი მანძილის გამეღვლეა იცის საბოლოო წერტილი, სადაც უნდა შეჩერდეს. ხოლო სიცოცხლის მანძილის გამეღვლეს თვალნათლივ არა აქვს წარმოდგენილი, ეს მანძილი მალე გათავდება, თუ შეღარებით გვიან.

მაგრამო, გვეტყვის ვინმე: „ჩვენ გავიარეთ მანძილი, ხომ დარჩა სივრცე, ჩვენს მიერ განვლილი?“ სივრცე კი დარჩა, მაგრამ იგი აღარ გამოგადგება, რადგან უკან დაბრუნების საშუალება აღარა გვაქვს. ჩვეულებრივი გზა ხომ არ გავგვივლია, გადრეხილ დროს, წუთსა და წამს ვეღარ დავიბრუნებთ.

მაშასადამე, მიველით მიზანთან. რაც გავიარეთ, ის გზა გათავდა. ბევრიც რომ გვიჩინოდეს, იმ გზას ვეღარ დავიბრუნებთ. ვთქვათ, კაცმა იცოცხლა ასი წელი, ასი წლისა რომ გახდა, ის სიკვდილის კართან მივიდა. ეს ასი წელი ახალი სიცოცხლის განგრძობისათვის კი ვერ შეინარჩუნა, არამედ, დაკარგა ერთხელ და სამუდამოდ. შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ, რომ მანძილი წინსვლით კი არ გაიარა, არამედ, უკუსვლით. მართლაც, მას დაბადების დროს „ეპყრა ხელთ“ ასი წელი. მერე სულ უკან უკან იხვედა და უკანასკნელ წუთამდე, წლებს სივრცეში ფანტავდა.

ან, იქნება, ამ არსებამ რაღაც წრე შექრა, ისევე იქ მივიდა, საიდანაც დაიწყო, სადაც დაბადებამდე იყო, არსებობიდან არსებობაში — ასეც შეიძლება ითქვას.

ასეა თუ ისე, ჭეშმარიტება ის არის, რომ მისი სიცოცხლის ეპიოდში, თუნდაც ასი წელი, ნულს გაუტოლდა. ეს იმას ჰგავს, კაცს რომ ასი თუმანი ფული მისცე და ხარჯოს; დახარჯავს მესამე თუმანს და აღარაფერი ექნება ჯიბეში, მისი თანხა ნულს გაუტოლდება. ასევეა სიცოცხლის ეპიოდ, როცა დაიბადა, მაშინ ჰქონდა მას ასი წლის სიცოცხლე მიცემული. ერთი წლის შემდეგ 99 წელი დარჩა, 50 წლის შემდეგ 50 წელი, 99 წლის შემდეგ — 1 წელი, ხოლო ასი წლის შემდეგ აღარაფერი.

თუ აღამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას X-თ აღვნიშნავთ (ვთქვათ აღამიანმა X წელი უნდა იცოცხლოს), მაშინ x, მისწრაფვის რა უსასრულოდ მცირისაკენ, ბოლოს ნულს უტოლდება, ე. ი. x მისწრაფვის ნულისაკენ.

თუ x-ის მნიშვნელობას შევცვლით სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლივობით, ვთქვათ 60—80—90 წლით, ეს სულ ერთია, ყველა მათგანი მინც ნულისაკენ მიისწრაფვის, რადგან მათზე უდიდესი 100 წელიც ნუ-

ლისაკენ მიისწრაფვოდა; ზოგადადაც შეგვიძლია ვთქვათ — სხეულებრივი არსების სიცოცხლის ეპიოდ ყოველთვის ნულისაკენ მიისწრაფვის. ფაქტობრივად ხდება ის, რომ დრო არსებობისა ქრება.

ღრო ქრება, მაგრამ განვლილი კვალი ყოველთვის როდი იშლება. როგორც ბარათაშვილი იტყვოდა:

„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მინც დარჩება“.

მაშასადამე, აღამიანი, თუ ის მართლაც აღამიანია, კვალს სტოვებს ცხოვრებაში, შთამომავლობაში, ხალხში... ზოგჯერ უკუღმართ კვალსაც; სასაცილოს, ან სამარცხინოს (თუ არ არის ნამდვილი აღამიანი).

ეს კვალი ყველას თან სდევს არსებობიდან მეორე არსებობაში, სიცოცხლიდან მარადიულ ცხოვრებაში.

სულ სხვა პირობებში ცხოვრობს მეორე არსებობაში აღამიანი. სულიერ ყოფაში გადასვლის დროს პირველად ახალდაბადებულს სულიერ გრძნობს თავს — უმწეოდ. მალე იგი ბატონდება დრო-ეპიოდს და განაგრძობს ცხოვრებას. მთავარი ის არის, რომ მას აღარ მოეღოს არარსებობაში გადასვლა. იგი უპეე აღარ იმყოფება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, არამედ, მტკიცედ დგას ყოფნის ზღვარზე და ყოფნიდან მარადისობაში გადადის. მისთვის წლებს, მათს ანგარიშს უპეე აღარა აქვს მნიშვნელობა. წლებით ის შეიძლება მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო დაინტერესდეს. რამდენმა წლებმა, რამდენმა საუკუნემ განვლო ამ ახალ ყოფაში. მისი არსებობის ეპიოდს თუ კვალს X-თ აღვნიშნავთ, აქ x-ის მნიშვნელობა გარკვეულ საფეხურზე კი არ მცირდება, არამედ, განუწყვეტლოვ იზრდება და ამგვარად X უსასრულოდ დიდისაკენ მიისწრაფვის. ვინაიდან, როცა მან განვლო, ვთქვათ, 1—20—50—90—100 წელი, ამით არაფერი დაკლებია. იგი არ დაუძღვრებულა, განვლილი დრო მტკიცედ უპყრია ხელთ და კიდევ მეტს ელის მომავლისაგან და ასე შემდეგ. მაშასადამე, აქ X მისწრაფვის უსასრულობისაკენ, მარადიულობისაკენ.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ყოველ მატერიალურ არსებას, თუნდაც მან მილიარდი წლები გაძლოს (როგორც პლანეტებმა და ვარსკვლავებმა), მოეღოს სიკვდილი, ანუ გაიკეთა დროსა და სივრცეში. მისი არსებობის ეპიოდ უსასრულოდ მცირისაკენ მიისწრაფვის და ბოლოს ნულს უტოლდება.

ამიტომ იტყვის ჭეშმარიტად, მოციქული: „ნუ გიყვარს სოფელი ესე, ანუ რაი არს სოფლისა ამის?!“





ქაღაბებანი

მანგლელი მთავარეპისკოპოსი თაღოზი
(იორამაშვილი)

ბ ი ხ ა რ ო დ ე ნ

„ღღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს, და საუკუნიტგან დაფარულისა მის საიდუმლოისა გამოცხადება, რამეთუ ძე ღუთისაი ძედ ქალწულის იწოდების, და გაბრიელ ახარებს მადლსა მას, რომელსა ჩვენცა ხმა მალლა უღაღადებთ, გიხაროდენ მიმადლებულო“

ამ ბრწყინვალე და უმეტესად კურთხეულ ღღეს, ღვთის დიდების ტახტის წინაშე მდგომარე ანგელოზი, ძალთა მთავარი გაბრიელი მოივლინა ზეცით ქალწულ მარიამისადმი სიხარულის მაუწყებლად. მაგრამ ეს გამოუთქმელი ბედნიერება ეკუთვნოდა არა მხოლოდ ყოვლად უბიწო ქალწულს, არამედ, მთელ კაცობრიობას.

მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთმა ინება ბოროტის შურით დაცემული ადამიანური ბუნების აღმართება და მასთან შერიგება.

ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელმა სამყაროს შემოქმედმა თავის ხატად და მსგავსად დაბადა ადამიანი მარადიული სიკეთისა და ნეტარებისათვის. მისი პირველქმნილი ბუნება და მასთან უშუალო კავშირში მყოფი გარესამყარო იყო უმწიკვლო და უხრწნელი. ყველა სიკეთესთან ერთად, მას ჰქონდა თავისუფალი ნება და ღვთის სიხალისითა და მადლით, სიცოცხლის სილამაზით ტკბებოდა და ნეტარებდა. მას ჰქონდა უფლისაგან მიცემული მცნება, ანუ პირველი სჯული, რომელიც არ უნდა დაერღვია. არ აღირიცხებოდნენ ჟამნი და წელნი, რადგან ამას უკვდავება არ საჭიროებს, და ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს გრძელდებოდა კაცობრიობის პირველ მშობელთა ყოფნა სამოთხეში.

... ამპარტავნებით დაცემულ ბოროტ სულს შეშურდა სიკეთე ადამიანისა და გადაწყვიტა მისი დამონება. და რადგან სიკეთესთან და უმანკობასთან საბრძოლველად არ ჰქონდა არავითარი ძალა, ამიტომაც იხმარა ბოროტი ხერხი.

მოტყუებით შეცდომაში შეყვანილმა ადამიანმა, გაღმერთების ნაცვლად, მიიღო წყევა და სიკვდილი; სამოთხის ნეტარება შეიცვალა მწუხარებითა და წამებით. „სიკუდილი შემოხდა ქვეყნად და იგი ყოველთა ზედა მოიწია“. ადამიანი დაშორდა თავის დამბადებელს, მაგრამ ღმერთმა სრულად მაინც არ გაწირა იგი და აღუთქვა მხსნელის მოვლინება, რომელიც შემუსრავდა ბოროტს და დაკარგულ ბედნიერებას დაუბრუნებდა მას.

და აი, დადგა აღთქმის აღსრულების ჟამი. ღვთის სიბრძნემ აღირჩია ყოვლად-წმიდა ქალწული მარიამი, ყოვლად-წმიდა და ყოვლად-უბიწო.

წინასწარმეტყველნი მრავალგზის მოასწავებდნენ უბიწო ქალწულს: იაკობის მიერ სიზმრად ხილული ცად აღმართული კიბე, მოსეს მიერ ღვთისაგან გამოცხადებით ნანახი მაცვლის ბუჩქი, რომელ-

საც ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა, უდაბნოში ებრაელთათვის ზე-
ციტ ნაწვიმი მახანა, დანიელის მიერ გამოცხადებით ხილული თვალ-
შეუღდაში წმიდა მთა, ცეცხლის დამძრეტელი სამი ყრმა, ღვთის
წინასწარმეტყველება და სხვა მრავალი, ძოასწავებდნენ ღვთის დე-
დას. საკვირველმა წინასწარმეტყველმა ისაიამ კი ყველაზე ცხადად
გამოხატა: „აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე დაუსაბამო, და უწო-
დონ სახელი მისი ემმანუილ“ — რაც ხიშნავდა თარგმანებით —
„ჩვენთანა არს ღმერთი“ და უწოდა მას „დიდისა ზრახვისა ახგელო-
ზი, საკვირველი თანაგანმზრახი, უფალი, ღმერთი, მამა მერმეთა
საუკუნეთა“.

რადგანაც პირველი ადამიანი დაშორდა ღმერთს, მიიღო მწუ-
ხარება, წყევა და სიკვდილი, ღმერთი თვითონ განკაცდა, რათა იგი
სამარადისო უბედურებისაგან ეხსნა.

ხორციელი მოკვდავი ენა ვერ გამოთქვამს უკვდავების საკად-
რის საგალობელს, ვერ აქებს და ვერ ადიდებს შემოქმედს ღირსეუ-
ლად, ვერ გადაიხდის მადლობას ღვთისა სახიერებისასა.

ვითარცა დიდია და მიუწვდომელი განგება ღვთისა, ასევე მიუ-
წვდომელია და გამოუთქმელი დიდება ღვთისა დედისა, რომელმაც
ზესკნელთაგან დაუტევნელი ღმერთი იტვირთა ჩვენი ხსნისათვის.

და თუ პირველი დედის ურჩობით მივიღეთ სიკვდილი და
ხრწნილება, მარადის ქალწულისა და დედუფლისა ჩვენისა, ყოვლად-
წმიდისა ღვთისმშობლის მიერ შევიმოსეთ უკვდავება და უხრწნე-
ლება და რომელი ვსხედით „ბნელსა ცოდვისასა, ნათელი წარუვა-
ლი ვიხილეთ“.


ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, ვითარცა ღვთისა დედასა, აქვს
ყველა წმიდანზე უმაღლესი დიდება, კანდიერება და მეოხება ჩვენ-
თვის წინაშე ღვთისა. ერთი სავედრებელი ლოცვის სიტყვებია:

დედაო ღვთისაო — „მხოლოდ ინებე და მე ვცხოვრდე, ვერავინ
წინააღვიდეგბის, რამეთუ დედა ხარ, რომელმან ყოველივე შექმნა,
უფლისა ჩვენისა იესოსი“. ვითარცა არა აღირიცხებთან სიმრავლე
ვარსკვლავთა და ზღვის ქვიშისა, აგრეთვე, სათვალე-მიუწვდომელია
სასწაულნი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისანი, რომელნიც პირვე-
ლი საუკუნიდან დღემდე აღესრულებიან ყოველთა მორწმუნეთა და
სიკეთის მნებებელთა ზედა, ყოველთა ქრისტეანეთა სასუგეშოდ. და
რაოდენ სასიხარულოა, რომ ქერუბინთა უპატიოსნესი და სერაბინ-
თა უზესთაესი ქალწული, გამოუთქმელი, თვალშეუღდაში ნათლით
გაბრწყინებული და ყოვლად ძლიერი დედა ღვთისა არის მფარველი
და მეოხი ჩვენი ერისა, ჩვენი მრავალჭირნახული საქართველოსი.
მამ, შევლადლოთ მას, ვითარცა ცოდვით განშორებულთა უძღვეთა
შვილთა, მივმართოთ ვედრებით ღვთის-მშობელსა დედასა ნათ-
ლისასა, ვითარცა ევედრებიან მას მრავალნი — გამოუვალ ჭირში
ჩავარდნილნი და მსწრაფლი ფარვა და შეწყენა უჩვენებია მათთვის.

მოვედით ყოველნი მორწმუნენო: „ღვთის-მშობელსა ღმობიე-
რად შეუვრდეთ ჩვენ ცოდვილნი ესე და გლახაკნი, მხურვალითა
ცრემლითა ღალადვყოთ სიღრმით გულისათ, ჰოი დედოფალო, წყა-
ლობით შემწე-მეყავნ ჩვენ, სასოო მორწმუნეთაო, მძსწრაფლ მე-
წიენ ჩვენ, რამეთუ წარვჰსწყმდებით ჩვენ სიმრავლისაგან ცოდვა-
თა ჩვენთასა. ნუ გარე-მიმაქცევ მონათა შენთა ცუდად, რამეთუ შენ
ხარ სასო და მეოხი ჩვენი წინაშე ძისა შენისა, და ღვთისა ჩვენი-
სა“.

დიდება შენდა ყოვლად-წმიდაო ღვთისმშობელო, დედაო დაუ-
ვალისა ნათლისაო, მხსნელო და მფარველო ჩვენო, ყოველთა ხი-
ლულთა და უხილავთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ღვთაებრივი
სიხარულის შემწყნარებელი და ვითარცა ღვთისა დედასა, შენ
გშვენის ყოველი გალობა და დიდება,
ამინ





რაც ერთსელ

კათოლიკოს-პატრიარქი
პალისტრატე ცინცაძე

სიტყვა თქმული განჯიდან
ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის
გადმოსვენების გამო

„მეცნიერება იგი ღვთისა ცხად არს... რამეთუ უხილავი იგი მისი... ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილევინს... სამარადისო იგი ძალი მისი და ღვთაება.“
(რომ. 1. 19,20)

აბა, წინაშე ჩვენსა ნეშტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომლის პიროვნების სიღაღეს ჩვენ თუმცა ვგრძნობთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამოვკვირვებია, — ვსასობთ, ახლო თუ არ არის, შორს მაინც არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც ბარათაშვილს შევისწავლით, შევიგნებთ და ჯეროვან ადგილს მივაკუთვნებთ ჩვენი ერის „უკვდავთა“ შორის... დღეს კი, საყვარელნო, თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ გარემოებას:

ჩვენ ვიცით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი მოღვაწეობდა მიმდინარე საუკუნის 30—40-იან წლებში, რომ იგი დაახლოებით გაცნობილი იყო რუსეთის თანამედროვე მოწინავე მწერლობას და მათთან ერთად განიცდიდა იმდროინდელ ევროპელ მწერალთა კერპის, ბაირონის გავლენას. ამ გავლენის ქვეშ მყოფი მწერლები კი, თუ პირდაპირ არ უარყოფდნენ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, ყოველ შემთხვევაში, გულცივად და გულგრილად ეპყრობოდნენ სარწმუნოებას და მას, ვისთანაც გვაკავშირებს სარწმუნოება... შემონათქვამის შემდეგ, თუ დავაკვირდებით ბარათაშვილის ნაწერებს, ცხადად დავინახავთ განსვენებულის ნიჭის თავისებურებას და იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ბარათაშვილისა და მის თანამედროვე მწერალთა შორის, — მაშინ, როცა სხვები ვერ ასცდნენ „სასოწარკვეთილი“-ს პოეზიის ნაკულულოვანებას, ბარათაშვილმა განაშვენა და განასპეტაკა ეს პოეზია, ფრთები შეასხა და სული ჩაუღვა მას.

საზოგადო მიმართულება „სასოწარკვეთილ“ მწერლებისა გამოიხატებოდა გაურკვეველ საგნის ამოღ ძებნით შექმნილ სევდასა, ნაღველსა და ცრემლებში და ბოლოვდებოდა უიმედობით... თავისებურ შეებასა და ნუგეშს ისინი განიცდიდნენ მხოლოდ ბუნების წიაღში, რომლის გარეშე არც რა სწამდათ, არც რა სჯეროდათ!...

პირველი შეხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი არ განირჩევა ამგვარი მწერლებისაგან: როგორც ისინი, ბარათაშვილიც ხშირად გრძნობს, რომ ის არის: „ნაღველიანი“,

„მწუხარ და სევდიანი“,
რომ მას თან დააქვს: „ჩუმი ნაღველი“,
„განიცდის საწუთროს ვნებას“,

„მარტოობას სულისას“,
„არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის“,
რის გამოც:
„მას ელტვიან სიამენი სოფლისა“,
არის:
„მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით“,
„წარელო მას მშვიდობა სულისა“,
„აღერია წრფელი ზრახვანი“,
დაშთენია:
„კვენსა გულისა“.
როგორც „სასოწარკვეთილი“, ისე ბარათაშვილიც ბუნებაში ეძიებს ნუგეშს:
„სევდიანი ფიქრთ გასართველად“,
მიღის:
„წყლის პირს“
და მუნ:
„ეძიებს ადვილს განსასვენებლად“,
„იქ ლბილს მდელიოზედ სანუგეშოდ ინამებს ცრემლით“
და: „იდავე-დაყრდნობილ ყურს უგდებს წყლისა ჩხრიალსა...“
მაგრამ „მოდულუნე მტკვარი“ აღუძრავს პოეტს მეტად მწარე ფიქრებს, რის გამოც იგი აკვირდება ადამიანთა ცხოვრებას და რას ხედავს?!
„ჩვენი ცხოვრება“
„იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება...“
„თვითონ მეფენიც...“, რომელთ უმაღლეს ამა სოფლად არღა არის სხვა რამ ღიღება, შფოთვენ და დრტვივენ“,
და
„აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!“
„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ საღდა იყოს?!“.
როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი ახლოა, აიღოს ხელი ყოველსავე რწმენაზე, მზად არის, წარიკვეთოს იმედი... მაგრამ ამგვარი დასკვნა შეცდომა იქნება: ყოველივე შემოაღნიშნული პოეტს ათქმევინა „ანკარა მტკვარმა“, რომლის ზვირთებს ფრიად წააგავს მსწრაფლწარმავეალი და ცვალებადი ჩვენი ცხოვრება... ნამდვილად კი „შემოგარე ბუნებაში“ მგოსანს სხვა „მეგობარიც“ ჰყავს, რომელსაც მიმართავს ხოლმე, ოდეს გულს მოაწვება „კება“ და „დაეხურება“ იგი:

ცხოვლად სულს დაარსების

„ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენი...“
„ვითარ შევინან, როს მონამენ ცვარნი ციურნი...“
„რა სანახავი წარუტყვევს თვალთა, მაშინ
შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვაეილნი
მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა, სამადლობელსა, შენდა
აღკმევენ სუნნელებასა...“

ესრეთ შევინს წმიდა მთა, მაგრამ მის მწვერვალზე
ასული ბარათაშვილის გონება არ კმაყოფილდება ამ მშვე-
ნებით, არამედ,
„ფიქრნი მისნი ცისადმი მიისწრაფიან“
და ამისათვის იგი მიმართავს ცას:

„მე, შენსა მკვერტელს, მავიწყების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...“

აი, აქ წყდება კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და იმ
მწერლებს შორის, რომელთა წრეს იგი ეკუთვნის: უკანას-
კნელნი ბუნების იქით ვერა რას ხედვენ, ბარათაშვილი კი
ბუნებაში და ბუნების შემწეობით ეძიებს და პოულობს
მას, ვისაც ძალუმს შევების მიცემა:

„მთაო ცხოველო...“

ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შევება
არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება“

ამ სახით, ბარათაშვილმა, წმიდა მოციქულის სიტ-
ყვის თანახმად (რომ. 1, 19, 20), ბუნება აღიარა ხმად
ღვთისა კაცთა მიმართ, წიგნად, სადაც ამოიკითხა, რომ
შეება და ლხენა შეუძლია მიანიჭოს ადამიანის გულს
მხოლოდ მან, ვინც არის მიზეზი ბუნების და თვით ადა-
მიანის გაჩენისა, რის გამოც პოეტი გულმზურვალედ მი-
მართავს ყოვალდმოწყალეს შემდეგის ლოცვით:

„ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეტომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!“

„ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა წყალთაგან
შენთა,


დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“

ყოვლადმოწყალემაც შეისმინა მგოსნის ვედრება და
უჩვენა ადგილი, სადაც ადამიანის შეილს შეუძლია მოი-
პოვოს გამაცოცხლებელი და ნუგეშინისმცემელი ძალა:

„კოვე ტაძარი – ამბობს პოეტი – შესაფარი,
უდაბნოდ მდგარი;

მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი“...“

„მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა...“



ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!“

„მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას
სიყვარულს...“

„ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!“

ამგვარად, როცა ბარათაშვილის წრის მწერლები
გაურბოდნენ ტაძარს და მის სიწმიდესაც, ჩვენი უკვდავი
მგოსანი სწორედ აქეთ მოეშურებოდა „ჭმუნვარების გან-
საქარებელად“, აქ პოულობდა გონება მისი „სადგურს
მყუდროებისას“, აქ ეძღვნებოდა მის „გულსა შეება“ და
ამიტომაც იგი იწვევს მთაწმიდისა და ტაძრისაკენ ყვე-
ლას, ვის აღერივნენ „წრფელნი ზრახვანი“, ვის „ჭმუნვა-
რება შემოესევის“, ვინც „დამაშვრალა სოფლისა ღელ-
ვით“, ვინც დაუკარგა „მშვიდობა სულსა“, ვინც ცხოვ-
რების გზაზედ იგრძნო „შემოღამება“, – რომ აქ მოიძიონ
„შემოგარე ბუნების“.

„იქითი სადგური“,

„ზენაართ სამყოფი“,

„ღაივიწყონ საწუთროება“,

მიიღონ სულისა და გულის აღმაფრთოვანებელი სა-
უკეთესო მომავლის იმედი, – რომ

„გათენდება დილა მზიანი

და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ამ იმედით განირჩევა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის
წრის მწერლებისაგან, ამ თვალთ შესცქერის იგი, ვით
ჭეშმარიტი ქრისტიანე, „შემოგარე ბუნებას“ და ამ თვალ-
თახედვითი ისრით აღჭურვას გვასწავლის ჩვენ.

სწორედ, ამისთვის თავყანსა სცემს „ბედის სამზღვ-
რითგან“ დღეს „მშობელ მამულში“ მოსვენებულს მის
ნუშტსა ეს მოზღვავებული „ნათესავთ“ კრებული და
მადლიერის გულის სიღრმითგან დაღადაბს: საუკუნოდ
იყოს ხსენება შენი, სულმნათო მგოსანო და იშვიათო მას-
წავლებლო! ამინ!

(1893.IV.25)

მთავარეპისკოპოსი თაღოჯი (იორაბაზვილი)

* * *

სულს იღუმალი მზე დააბრწყინდა,
წუთისოფელი მიდის... მიდის...
დაუსრულებლად ვიტყვო მინდა,
თუმც, არ ვარ ღირსი ცრემლის სიწმიდის.

* * *

სხეული ჩემი იგლოვე სულო,
ჩამოცილე ცოდვანი მძიმე.
ო, სიხარული თუკი გსურს სრული,
ჭეშმარიტების მიენდე იმედს.

იყავ კეთილი მარად და მარად,
და ცრუ ღიღების ნურარა გინდა,
ჭეშმარიტება გექმნება ფარად
და სიზმრებშიაც დარჩები წმიდა.

თორემ... განკითხვის დღე გელის შენაც,
ცოდვილთა რისხვა, საშინელება...
და თუ მაღალმა დაგკარგა რწმენამ,
უსასოდ შეთენილს რა გეშველება?...

* * *

როცა ყველაფერი მოგწყინდება,
და გლის მეგობართან საუბარიც,
ალბათ, ანგელოზი მობრწყინდება, —
გიხმობს სხვა სამყარო, სხვა უბანი.

ბედს ხარ მინდობილი, რაიც უნებს,
იგი მოგეგება — „სამწერტილი“...
მხოლოდ სინიდისი გაიძულებს,
შეხვედე მართალი და განწმენდილი.

ნეტავ, რამე წაგყვეს საგზლად მცირედ,
აღარ გაჟრუღებდეს „პატროსი რომ“...
ვინაც შენი დღენი მართლად სწირე,
შენ რა შეგაშფოთებს, მაღლმოსილო.

წახვალ სიხარულით, უბრალობით
დიდთა შექთა შორის მონანავე...
შენს სულს ციურ ნანას უგალობენ,
სხეულს ცის ასულნი მონამავენ...

მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (გელიძე)

* * *

შენი სიკეთე
წაგიყვანს ცამდის,
ზეცის თალამდის...
მაშ, ზომიერი
იყავ მარადის!

* * *

ღრმა არის ზეცა, თეთრი, ნატიფი
და სასუფეველის ცისფერი გზებით
ჩვენამდე მოდის მბრწყინავ მანტიით
ძლიერი სული კეთილი გზნებით.

სურს, რომ აგვანთოს, აგვიყოლოს
და შორს გასტყორცნოს თვალსაწიერი...
ტახტად დაგვიდგას ლურჯი მსოფლიო,
რა კეთილია სული ძლიერი!

ადრე გაგვანათლეს

მოციქულმა ანდრიამ გაგვანათლა ადრიან,
მთა-მთა შემოიარა, ვერც კი გრძნობდა იარას.
დასისხლული ფეხებით აულ-სოფელს არ სტოვებს,
მიდის ყველგან ქადაგებს, გინდ სწვიმდეს, გინდ ათოვდეს.

ორი ძელი მოზრდილი ერთ-ერთს გადაჭლობილი
სიცოცხლეა იმისი, წარმართთაგან გამობილი.
აქ სვიმონიც მობრძანდა,—სიტყვაბასრი, ჩვენ კიდეს,
ლაღადის და მის ლოცვას ქვითეირის აქვს სიმტკიცე.
ერთგან შეხვდა ანდრიას, დიდ სიხარულს ეწვივნენ,
ქრისტეს მიერ სამწყვსოს ბევრგან ერთად ეწვივნენ,
და სავანეც იმ ერთის აფხაზთ მიწას ანათებს,
ბუერი დაემოწაფა ანდრიას და კანანელს.

ბუერმა ჯვარი ირწმუნა და მიიღო ნათლობა,
სიტყვა ღვთისა ძლიერი კერპ-ბომონებს ამხოზდა!

მოციქულმა ანდრიამ გაგვანათლა ადრიან,
კოლხის სულში ჩაწული კანანელის მაღლია.
მთაზე მონასტერი ჩანს და ზმა ისმის რამ ოზერის...
ავიდეთ, იქ ვადიდოთ სულთა ჩვენთა მეოზენი!

რას მოითხოვ?

მე ეს მინდა, გული წმიდა,
სული წრფელი მუდამ მახლდეს,
პური ჩვენი არსობისა
ყოველ დილით განმიახლდეს.

ანგელოზნი ღვთის ბრძანებით,
გარს მომერტყან, მფარველობდენ,
ღმერთთან ვიყო, მის ქებაში
არასოდეს დაეცხრებოდე,

* * *

სიყვარული და ნათელი
ერთუთსა ემსგავსებთან,
სიყვარულის გზით მავალნი
ნათელში გამოჩნდებიან.
იესო ქრისტემ გვიბრძანა
მე ვარ ნათელი ცხოველი,
მე ვარ გზა-ჭეშმარიტება —
სუყველას ჩემთან მოველი...

**მღვდელმონოზონი გიორგი
(ოდიშელი)**

სურამის ციხესთან

მხრებით აკავენ ზურაბ ცივს ლოდებს
და საქართველოს ფუძე-საკირეს...
შთამომავლობის მე მეშინოდეს,
თორემ შენ არვინ არ შეგაგინებს.

**წარწერა კოშტის
სამარის ლოდზე**

ნუ სტირი, თეთრო ყამარო,
ცრემლით ნუ დამაბეჩავენ,
გან მივალ სამოსამაროდ,
მზედ ამოველ და მზედ ჩაველ.
ცამ განა წესი მოშალა,
სიკვდილ რო გგონავ ქაოსი...
ბიბინებს სულის შროშანა
საიქავ-სააქაოსა.



ზინა სოლომონიშვილი

* * *

ათასნაირად
ფერად გზა — ქუჩებს
ცრემლები რწყავენ,
ქარები ჰგვიან.
უმჯობესია
ფიქრი თავიდან,
ვიდრე
თავპირში
იცემო გვიან.
დაზურულია
ბოროტის გული,
კეთილის გული —
უსაზღვროდ ღია.
სილატაკეა
ზოგი სიმდიდრე,
ზოგ სიღარიბეს
სიმდიდრე ჰქვია!

ციხიერი

ჩემი ლოცვა

მე ვიდაც მართმევს სიცოცხლის ნაწილს,
მე უძლური ვარ ყველას წინაშე...
ჩემს დამთრგუნველებს, ბოროტების წილ
ასმაგი მაღლი, ღმერთო, მიაგე!

არავის ძალუმს წართმევა შენი,
მე შენით ვცოცხლობ, მე ვცხოვრობ შენათ...
გულს ამოვიგლეჯ და შემოგწირავ,
შენ, — ჩემო მხსნელო, ჯვარცმულო ჩემთვის!

ქ. ვ. ი. ბ. დ. უ. ს. ლ. მ. ქ. ა. მ. უ. ნ. ბ. მ.

მის უფიქრებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქ, ილია II

სომეხ კათოლიკეთა რიცხვიდან ზოგიერთი მაღალი წოდების სასულიერო პირი, მუდმივად მცხოვრები და მოღვაწე უცხოეთის ცალკეულ ქვეყნებში, უკანასკნელ დროს, ყოველნაირად ცდილობს, დაამციროს სომეხური სამოციქულო დედა ეკლესია, წმიდა ეჩმიადინის მეთაურობით, ჩვენი წმიდა ეკლესიის ისტორიული ფაქტებისა და ტრადიციების ტენდენციური და ბოროტგანზრახული დამახინჯების გზით.

ეპეგარეშეა, რომ ყველა ეს ცდა მიმართულია არა მარტო სომეხური ეკლესიისა და მორწმუნე სომეხი ხალხის გათიშვის, არამედ, ეკუმენური სულის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დარღვევისაკენაც.

გამოვითხოვთ ლოცვებს თქვენი უწმიდესობისაგან. დავრჩებით მუდამ კეთილი სურვილებით, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმად.

მ ა ზ ბ ე ნ I

პატრიარქ-კათოლიკოსი ყოველთა სომეხთა

მის უფიქრებს, მაზბენ I, ყოველთა სომეხთა უმაღლეს პატრიარქ- კათოლიკოსს

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო!

ჩვენ მივიღეთ თქვენი, 1980 წლის 15 ივლითი დათარიღებული წერილი, თანადართული სტატიითურთ, რომელიც ჟურნალ „ეჩმიადინში“ დაიბეჭდა. ჩვენ ყურადღებით გავეცანით სამწუხარო ამბავს, რომ წინააღმდეგ ცნობილი ისტორიული ფაქტებისა, ზოგიერთი სომეხი კათოლიკე ცდილობს დაამციროს სომეხეთის სამოციქულო ეკლესია, დაკნინებით იმ ისტორიული როლისა, რომელიც სომეხეთის წმიდა სამოციქულო ეკლესიამ შეასრულა სომეხი ხალხის ცხოვრებაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სომეხური ეკლესიის ისტორია, ისევე, როგორც ისტორია ქართული ეკლესიისა, არის სამსხვერპლოდ შემართება ჩვენი ხალხებისა ისევე ერის სასახელოდ და საკეთილდღეოდ. ისტორიული გზა ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესიებისა, — ქართულისა და სომეხურის, არის გოლგოთის გზა მაცხოვრისა, რომლის ბოლოა არა ეკლის გვირგვინი და ჭვარცმა, არამედ — ბრწყინვალე აღდგომა და ამაღლება.

განყოფა ყოველთვის საშიში იყო ეკლესიისათვის. ჯერ კიდევ მოციქული პავლე აფრთხილებდა კორინთელთა ეკლესიას: „...კაცად კაცადი თქვენი იტყვის, ვითარმედ მე პავლესი ვარ, ხოლო მე აპოლოისა ხოლო მე კეფისა ხოლო მე ქრისტესი, გან მე ყოფილ არსა ქრისტე?“ (I კორ. 1,12—13).

მით უფრო საზიანოა განყოფა ჩვენს რთულ საუკუნეში, რომელიც ესოდენ სავსეა წინააღმდეგობებით. მიმაჩნია, რომ სომეხეთის ეკლესია და სომეხი ხალხი, თავისი თვითმყოფადი კულტურით, არის სულით ერთიანი და მიზნით განუყოფელი. ხოლო, იმ სომეხმა კათოლიკემბა, რომლებიც გამოდიან წმიდა ეჩმიადინის წინააღმდეგ, დაჰკარგეს სულიერი კავშირი საკუთარ ხალხთან, სწორედ, ეს განაპირობებს მათს გამოსვლას მსგავსი განცხადებებით.

თანამედროვე მსოფლიოს ყველა ამ სირთულემ და წინააღმდეგობამ გააძლიერა ეკუმენიზმის სული ქრისტიანულ სამყაროში. წავიდა ის დრო, როდესაც ცალკეული ეკლესიები საპოლემიკოდ ხდიდნენ საკითხებს, რომლებიც ჩვენ გვთმავდნენ. დღეს ჩვენი ეკლესიების წინაშე დგას უფრო რთული გლობალური საკითხები, რაზედაც გვმართებს ვიფიქროთ. დღეს განსაკუთრებით უღერს მაცხოვრის ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის: „რაითა ყოველნი ერთ იყვენენ“ (იოანე 17, 21). მხოლოდ ამ გზით შეეძლებოდა შენარჩუნებას „ერთობასა მას სულისასა საქმეველითა მით მშვიდობისათა“ (ეფეს. 4,3).

მწამს, თქვენო უწმიდესობავ, რომ ის სომეხი კათოლიკეები, რომლებიც დღეს ცდილობენ სომეხთა ეროვნული ეკლესიისა და მისი ცენტრის, წმიდა ეჩმიადინის დისკრედიტირებას, დროთა განმავლობაში მიხედვიან, რომ მსგავსი კურსი სახიფათო და საზიანოა, უპირველეს ყოვლისა, თვითონ მათთვის.

თქვენი სიბრძნე და დიდი გამოცდილება ხალხის სამსახურისა, შეძლებს ყველა სიძნელის გადალახვას.

აღვადგენთ ჩვენს ლოცვას მაცხოვრისა და ყოვლისმპყრობელისადმი სომეხთა სამოციქულო ეკლესიის სიკეთისა და მშვიდობისათვის. შევთხოვთ მაღალღმერთს, თქვენი უწმიდესობის ჭანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
25 აგვისტო, 1980 წ.
თბილისი



მიკროფიკაბი ათონის ივერიის მონასტრიდან

ამჟერად, ჩვენს მიზანს არ შეადგენს ათონის ივერთა მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა და გაშუქება. გვინდა შევეხოთ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას—ათონის ივერთა მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფიკაბი საქართველოში ჩამოტანას და ქართული ეკლესიის როლს ამ ეროვნულ საქმეში. იგი ითავა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რომელმაც წერილობითი ურთიერთობა დაამყარა, როგორც ივერთა მონასტრის წმიდა მამებთან, ისე ათონის მთის გუბერნატორ, სალონიკოს უნივერსიტეტის პროფესორ ბატონ ღიმიტრიოს ცამისთან, რომელიც მისმა უწმიდესობამ საქართველოში მოიწვია.

ბატონი ღიმიტრიოს ცამისი ათი დღით ეწვია თბილისის 1978 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში. ცამისთან სიონის საპატრიარქო ტაძარში შეხვედრისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მისასალმებელ სიტყვაში ბრძანა, რომ ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწეობდნენ და ლოცულობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები: იოანე, ექვთიმე, გაბრიელი, არსენი, გიორგი და მრავალი სხვა. ჩვენ გესურს, კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ათონს შორის, ისევ აღსდგეს... იქ, ივერიის მონასტერში, ინახება დიდი საგანძური ქართველი ერისა — მრავალი ხელნაწერი, რომელიც ჭერჭერობით ჩვენთვის მიუწვდომელია.

ბატონმა ღიმიტრიოსმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა: „მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თქვენი ნატვრა ავასრულო.“

და აი, რამდენიმე ხნის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ასეთი წერილი მიიღო:

„თქვენო უნეტარესობავ! თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წილად მხვდა დიდი პატივი თქვენი გაცნობისა. თქვენი პიროვნული ბრწყინვალეობა წარუშლელი ღარჩა ჩემს მეხსიერებაში. აქამდე ვერ მოვახერხე, მქონოდა თქვენთან კავშირი (მიმოწერა), რადგან 1978 წლის ნოემბერში ავტოკატასტროფის დროს, მივიღე დიდი ტრავმა. საავადმყოფოში მკურნალობის ხანგრძლივ პერიოდში ხშირად ვიგონებდი ჩემი ცხოვრების იმ ბედნიერ წუთებს, რომელიც თქვენს ულამაზეს სამშობლოში და თქვენს ახლოს გავატარე.“

ამჟერად ჯანმრთელობა გამიუმჯობესდა და ისევ შეუდექი სამსახურს წმიდა მთის გუბერნატორად. პირველი, რაც გავაკეთე, ეს არის, რომ შევეცადე, მომეგვარებინა ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ფოტოგრაფირების საკითხი. ჩემს წინადადებაზე მონასტერმა დადებითი პასუხი მომცა. გარწმუნებთ, დიდის სიხარულით მივიღებთ ამ საქმის თანამონაწილე პირებს.

დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით
ღიმიტრიოს ცამისი, წმიდა მთის
გუბერნატორი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ათონის მთის წმიდა მამებს ივერიის მონასტრის დაარსებიდან ათასი წლის შესრულების აღსანიშნავ ზეიმზე (რომელზედაც მიწვეული გახლდათ მათი უწმიდესობა), მის მიერ წარგზავნილთა — მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), ყოვლადუსამღვდელოესი ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი) და დიაკონი ზურაბ სირაძე) მეშვეობით ასეთი ეპისტოლე გაუგზავნა:

„მათ მაღალღირსებას, ათონის მთის ივერიის მონასტრის წმიდა მამებს!“

ქრისტეს მიერ საყვარელნი, წმიდა მთის, ივერიის მონასტრის ღვთიკურთხეულნი წმიდანო მამანო, „წყალობაი თქვენ თანა და მშვიდობაი და სიყვარული განმრავლდინ“ (იუდ. 1,2).

ღეღამიწაზე დროდადრო იბადებიან ღვთისაგან რჩეული და მაღლმოსილი ადამიანები, რომელნიც თავისთვის კი არ ცხოვრობენ, არამედ, თავიანთი მაღალი რწმენით, სიწმიდით და სათნოებით ბრწყინავენ და ქვეყანას უნათებენ გზას. ეს ადამიანები ემსგავსებიან იმ საოცარ მნათობებს, რომელთა გამოჩენა და გაქრობა ჩვენთვის იღუმალეობითაა მოცული. ასეთი ადამიანები იყვნენ ის ღირსნი, ღმერთშემოსილი ქართველი წმიდა მამანი, რომელთაც, ათასი წლის წინ, ათონის წმიდა მთაზე დიდებული ივერიის მონასტერი დააარსეს.

ამშენებლები ივერიის მონასტრისა, წმიდა მამანი: იოანე, ექვთიმე, თორნიკე, გაბრიელი, გიორგი, ეპისკოპოსი არსენი ნინოწმიდელი და სხვანი, იყვნენ არამარტო ბერები, არამედ, ჩვენი ერის რჩეული გმირები, მეცნიერები, რომელთაც დასტოვეს ბრწყინვალე კვალი არამარტო ჩვენს ეროვნულ კულტურაში, არამედ, ბიზანტიის აზროვნებაშიც კი. რა ბედნიერებაა, როცა ისეთ ადგილზე იმყოფები, რომ შეგიძლია შენს საყვარელ ერს მრავალი სიკეთე მოუტანო! ბედნიერი იყვენ ჩვენი თანამემამულენი, მთაწმიდელნი მამანი, ბედნიერი იყო ღვთიკურთხეული საქართველო ასეთი თავდადებული შვილების მშობელი! ბედნიერი იყო ბრწყინვალე ბიზანტია, რომლის მიწაზეც მოღვაწეობდნენ ჩვენი მთაწმიდელნი მამანი!

როგორც ყველამ ვიცით, ივერიის მონასტრის ათონზე აშენება შემთხვევითი რამ არ იყო. ივერიის მონასტერი — ეს სიწმიდის, მეცნიერულ-თეოლოგიური საზანე, იყო გვირგვინი იმ მრავალსაუკუნოვანი სულიერი, პოლიტიკური, კულტურული და ნამდვილად მძური ურთიერთობისა, რომელიც არსებობდა ქართველ და ბერძენ ერებს შორის. ივერიის მონასტერი მრავალი საუკუნის მანძილზე იყო ის საოცარი ხიდი, რომლის საშუალებით ჩვენ, ქართველები, ვეზიარებოდით ბერძნულ ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას, ხოლო ბიზანტიელებს ვაცნობდით ქართულ კულტურას. ეს იყო ბრწყინვალე ხიდი, რომელზედაც იყო ორმხრივი მიმოსვლა. განვლეს საუ-

კუნეებმა, ივერიის მონასტერი დღესაც დგას, მაგრამ იმ დიდ მოვალეობას, — ბერძენ-ქართველთა ურთიერთსიახლოვის დიდ საქმეს, ვეღარ ასრულებს. ეს მოიხანა ჩვენს ერების ავბედობამ. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს. მე მწამს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით და მფარველობით, კვლავ, აღდგება ტრადიციული კავშირი საქართველოსა და წმიდა მთის ივერიის მონასტერს შორის. არ გამკრალა ძმური სიყვარული, რომელიც არსებობდა ჩვენს შორის. ვფიქრობ, მალე დადგება ის კურთხეული ჟამი, როცა ივერიის მონასტერში ერთად იმოღვაწებენ, როგორც ბერძენი, ისე ქართველი მამები. დღევანდელ პირობებში ასეთი სულიერი სიახლოვე აუცილებელია ორივე მხარისათვის. „ურთიერთის სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალატ. 6,2).

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ივერიის მონასტერი მომავალშიც იქნება არა მარტო სამოღვაწეო სიწმიდის სავანე, არამედ, სამეცნიერო კერა.

ქრისტეს მიერ საყვარელნი მამანო, გილოცავთ ივერიის მონასტრის ათასი წლისთავს. კარის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობით, არ მოგკლებოდეთ ღვთის მაღლი და მისი დიდი წყალობა.

ღვთისმშობელმა დედამ გაგაძლიეროთ სულიერად და ფიზიკურად, მისმა სხემოსილმა, დედობრივმა ძალამ განაძლიეროს და დაიცვას ივერთა წმიდა სავანე. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი.

„მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა თქვენ ყოველთა თანა. ამინ!“ (2 კორ. 13,13).

ილია II — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამის შემდგომ წერილობით მიმართა, აგრეთვე, ათონის ივერთა მონასტრის საბჭოს:

„მათ მაღალღირსებას, ათონის მთის ივერიის მონასტრის საბჭოს!

თქვენო მაღალღირსებავ, ქრისტეს მიერ საყვარელნი მმანო, „მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ თქვენ ყოველთა თანა“ (რომაელთა 16,24).

ივერიის მონასტერი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ის წმიდა კერაა, რომელიც დააარსეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა: — იოანემ, ექვთიმემ, თორნიკე ერისთავმა, გიორგიმ და სხვა მამებმა. ეს იყო არა მარტო ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობის სავანე, არამედ, ადგილი, სადაც საოცრად განვითარდა მწერლობა და სხვა კულტურული მოღვაწეობა. აქ იწერებოდა ქართული ორიგინალური საღვთისმეტყველო თხზულებები, ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად ითარგმნებოდა სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოებები. მიუხედავად იმისა, რომ მონასტერი მდებარეობდა ბიზანტიის იმპერიაში შემავალ ტერიტორიაზე, ის არასდროს არ კარგავდა კავშირს საქართველოსთან. ამავე დროს, ის ასრულებდა ერთ, ძლიერ დიდ მისიას — აკავშირებდა ქართველ და ბერძენ ერებს, სახელმწიფოებს და ჩვენს ეკლესიებს.

როგორც ვიცით, ამ წმიდა მამებმა დატოვეს მრავალი ხელნაწერი, რომელიც ინახება დღეს ივერიის მონასტერში და რომელნიც ელოდებიან მეცნიერთა კვლევას.

ჩვენ გვსურს, რომ აღსდგეს ის კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ივერიის მონასტერს შორის. ამ მიზნით, ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რომ წარმოვგზავნოთ თქვენთან მენციერებათა აკადემიის ორი, ან სამი მეცნიერი, რომელნიც გადაიღებენ ივერიის მონას-



ტრის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფირებს.

გთხოვთ, გაუწიოთ დახმარება ჩვენს მეცნიერებს, რათა წარმატებით ჩატარდეს ხელნაწერთა გადაღება.

ვსარგებლობ შემთხვევით, ყველას გლოცავთ და გისურვებთ დიდ სულიერ წარმატებებს.

ქრისტესმიერი სიყვარულით, ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა
მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი*.

ივერიის მონასტრის საბჭომ მის უწმიდესობას ქე-
შმარტად ამაღელვებელი აღფრთოვანებით უპასუხა:

„ივერიის წმიდა მონასტერი — 8/21 თებერვალი
1980 წ.“

მის უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს-პატრიარქს, ბატონ ილია II, თბილისი.

მოკრძალებით გაცნობებთ, რომ მივიღეთ თქვენი
უნეტარესობის მიერ 1979 წლის 5 დეკემბერს გამოგზავ-
ნილი წერილი და გაევიგეთ, უახლოეს მომავალში გსურთ,
გამოგზავნით დელეგაცია საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიიდან, რათა გადაიღონ ათონის ივერიის მონასტ-
რის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მი-
კროფირები.

ამ ცნობამ განსაკუთრებით ააღელვა ჩვენი მონასტრის
ძმობა, რადგან ერთი მხრივ, ჩვენ საშუალება მოგვეცემა,
ვუმახსინძლოთ ჩვენს ქართველ თანამომძეებს, მათ კი —
თაყვანი სცენ კარის ღვთისმშობლის ხატს. მეორე მხრივ,
შეგვეძლება სამსახური გაუწიოთ მათ, რათა წარმატებით
ჩაატარონ ხელნაწერთა გადასაღები სამუშაოები. ამით
დიდი საქმე გაკეთდება, როგორც ქართველ ტომთა, ასევე
ჩვენი წმიდა ივერიის მონასტრის ისტორიისათვის.

ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა მაღლი მოვახსე-
ნოთ დედა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს, რომ-
ლის მაღლმაც, მრავალი წლის შემდეგ, კვლავ განაახლა
კავშირი და ურთიერთობა ქართულ ეკლესიასა და მის
პირმშო — ივერიის მონასტერს შორის.

ენატრობთ, გაგრძელდეს ეს სულიერი თანამშრომ-
ლობა და ურთიერთობა ეკლესიისა და მართლმადიდებ-
ლობის საკეთილდღეოდ.

ქართული დელეგაციის მოლოდინში უფლისმიერი პატივისცემითა
და სიყვარულით, ივერიის ქართული მონასტრის საბჭო*.


ამ მიმოწერების შემდეგ რესპუბლიკის საერო
ხელმძღვანელობამ ათონზე მიავლინა სათანადო სპე-
ციალისტები, რომელთაც გადაიღეს და მიმდინარე
წლის 27 მარტს ჩამოიტანეს ქართველი ერის სანუკუკარი
განძის — ივერიის მონასტერში დაცული ათსაუკუნო-
ვანი ქართული ხელნაწერების (72) მიკროფირების კო-
ლექცია, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდო-
მარის მოადგილემ ბატონმა ო. ჩერქეზიამ საზეიმო ვი-
თარებაში გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის მეცნიერთა კოლექტივს*.

* ამჟერად მიმდინარეობს ამ მიკროფირების შესწავლა-დამუშა-
ვება. მეცნიერთა დასკვნებს მათ შესახებ მკითხველს ეურნალის
შემდგომ ნომრებში მივაწვლით.

საქართველოს საპატრიარქო, რა თქმა უნდა, ათონ-
თან ამ მიღწეული, განახლებული ურთიერთობით არ აპი-
რებს თავისი მოღვაწეობის დამთავრებას; იგი იმედოვ-
ნებს, უახლოეს მომავალში ივერიის მონასტრის კარის
ღვთისმშობლის მფარველობით და ჩვენი საერო ხელისუ-
ფლების ხელშეწყობით, კიდევ უფრო დაუახლოვდეს მას
არამარტო მიმოწერებითა და ოფიციალური ვიზიტებით,
არამედ, მცხეთის სასულიერო სემინარიის წარჩინებულ
მოსწავლეთა ათონზე მუდმივ სამოღვაწეოდ წარგზავნით,
რათა კვლავ აღსდგეს ძველი ათონი.

ი. ზეიზვილი

მცხეთის სასულიერო სემინარიის
პედაგოგი



სულიერობა

შენ, სალოცავო ხატო

მღვდელი როსტომ ლორთქიფანიძე

დეკანოზი (მღვდელი) პავლე ბერიშვილი დაიბადა ონში, 1929 წლის 29 მაისს, პატიოსანი და გამრჩე რაჭველი კაცის — სერაპიონ ბერიშვილის ოჯახში. მის ირგვლივ ყველა, უკლებლოვ ყველა მღეროდა: ბებები და ბაბუები, დედ-მამა და დედ-მამიშვილები, ბიძები და დედის ძმები, დეიდა...

ბაბუა — სპირიდონ ბურდილაძე — ჩვენში ერთ-ერთი პირველთაგანია, ვისი ხმაც გრამფირფიტაზეა ჩაწერილი.

მამა 1945 წელს გარდაეცვალა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ონის უბატონო ბავშვთა სახლში, მხატვრული წრეების ხელმძღვანელად. აქ წერდა ლექსებს, საგუნდო სიმღერებს. ცოტა ხნის შემდეგ ონის სარაიონო ანსამბლის ხელმძღვანელად გადაიყვანეს.

1952 წელს პავლე შევიდა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე.

ერთხანს ონის სარაიონო ანსამბლს ხელმძღვანელობდა და სამუსიკო სკოლაში სოლფეჯიოსა და მუსიკის თეორიას ასწავლიდა, თან რაიონის სოფლებში დადიოდა და ნოტებზე ხალხური სიმღერები გადაჰქონდა. რადიოთი და ტელევიზიით ხშირად გადაიციმა ქართული საგუნდო სიმღერები, რომელთა მოსმენაც ეროვნულ ზიამაყეს გვგვრის. ამათგან ცოტა როდია მის მიერ დავიწყებას გადაჩენილი, ანდა, საკუთრივ მისი. წერდა პერიოდულად, წერდა საქართველოზე, თბილისზე... მისი სიტყვებია:

ჩემო თბილისო, ჩემო უტკბესო დედა,
შენთვის მაცოცხლა და შენთვის მომკლანეტავ,

შენ საქართველოს წმიდა ადგილის დედაც,
დიდება შენდა, მარად დიდება შენდა!

მისამღერი:

შენ სალოცავო ხატო,
ჩენი მომავლის დღეთა,
შენ საქართველოს გულო,
გულო, დიდება შენდა!


1977 წლის 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აბრძანდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისმა აღსაყდრებამ თავისი კეთილი კვალი გაავლო, როგორც ქართული ეკლესიის ცხოვრებას, ისე ხალხის ყოფსაც. მასთან იწყეს თავმოყრა კეთილმორწმუნე აღამიანებმა. ეკლესიაში მოვიდა პავლე ბერიშვილიც. მოვიდა და თითქმის, არაფრიდან დაიწყო — შექმნა ანსამბლი და შექმნა რეპერტუარი — სარიტუალო საგალობლების ციკლები. წელიწადნახევარის მანძილზე თითქმის გაასრულა მწუხრი და ცხკარი. უკვე დაწერილი აქვს იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობელთა ნახევარზე მეტი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ისინი უნდა მოისმინო! და უნდა მოისმინო სიონში — მისივე ჩამოყალიბებულ ვაჟთა გუნდის შესრულებით.

პავლე ბერიშვილი 1979 წლის აგვისტოდან უკვე სიონის საპატრიარქო ტაძრის მოძღვარია, ერთი წლის შემდეგ კი, სამების ტაძრის წინამძღვარი.

რაც შეეხება საგალობლებს... ისინი ცხადია, კვლავაც იქმნება...

ამჯერად ვბეჭდავთ რამდენიმეს.

ქრისტეშობის ტროპარი



ბრწყინ-ვა სოფელ-სა ნა-თე-ლი მეც-ნი-ე-რე ბი-

სა, რა-მე-თუ, რა-მე-ლი ი-ბი

ვარსკვლავ-სა მსა-ხუ-რებ-დენ, ვახვ-ღ-ვი-საგან ის-წ-ვეს

თა-ყვა-ნის-ცე-მა-ღ შე-ნე, მზე-ო სი-ძაბო-ლი-სა-ო,

რა-მე-ლი უ-მო-მხეყნ-ბი მარ-ლით-არ-მო-სა-ვალ-თათ, უ-ფა-ლო

უ-ფა-ლო, რი-ლე-ბა შენ-ლა, რი-ლე-ბა, რი-ლე-ბა

შენ-ლა, რი-ლე-ბა შენ-ლა!

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით

ქრისტე აღ-სდგა მკვდრეთით სივ-ლი-ლი-თა სივ-ლი-ლი-სა
ღამთი-გუნ-ვე-ლი, და სივ-ლა-ვე-ბის ში-ნა-თა
ცხოვ-რე-ბის მიმ-ნი-ჭე-ვე-ლი.

The musical score is written in two systems, each with a treble and bass staff. The key signature is one flat (B-flat) and the time signature is 3/4. The lyrics are in Georgian and are placed below the notes. The first system contains the first two lines of lyrics, the second system contains the next two lines, and the third system contains the final two lines.



იღუმერძელე მწყემსო კათილო

მ-რის-ვე-რი ქართ-ლი, კ-ნე თი ი-მე-რე-თი

მწა-ნე ვე-რი-ა, სა-ქართ-ვე-ლო სა-ვე-ნა-ნე-

თი, ჰვე-ნი მწე-ლა ჰვე-ნი ვე-რი-ა. ვე-რი-ა,

სა-ქართ-ვე-ლო სა-ვე-ნა-ნე-თი ჰვე-ნი მწე-ლა

ჰვე-ნი ვე-რი-ა. შე-ნი სამწყ-სო სა-ბიძა-ნე-ზე

მე-ნი ვე-რი-ა ვე-რი-ა ვე-რი-ა ვე-რი-ა, ლოს,

Handwritten musical notation on a grand staff (treble and bass clefs). The melody is in the treble clef, and the accompaniment is in the bass clef. The key signature has one sharp (F#). The lyrics are written below the notes.

Եւ-ջախո-ցո-լմե Եւ- լո-ւո-ջո-ւաթ
ո- լո-ւո-ջո-ւո-թ ԲԳԿԹ-Եւ ցո-տ

Handwritten musical notation on a grand staff. The melody is in the treble clef, and the accompaniment is in the bass clef. The key signature has one sharp (F#). The lyrics are written below the notes.

ցո-տո-լմե Եւ-ջախո-ցո-լմե Եւ- լո-ւո-ջո-ւաթ
մմ, 3

Handwritten musical notation on a grand staff. The melody is in the treble clef, and the accompaniment is in the bass clef. The key signature has one sharp (F#). The lyrics are written below the notes.

ո- լո-ւո-ջո-ւո-թ ԲԳԿԹ-Եւ ցո-տ
մմ, Եւնց- ձմ- Եւ- Լմ

Handwritten musical notation on a grand staff. The melody is in the treble clef, and the accompaniment is in the bass clef. The key signature has one sharp (F#). The lyrics are written below the notes.

Յոճո- Եւ ձմ- լո- յո,
Եւլմ- Եւ ձմե-լմ Եւ ԲԿԹ-ձախո-ցո

Handwritten musical notation on a grand staff. The melody is in the treble clef, and the accompaniment is in the bass clef. The key signature has one sharp (F#). The lyrics are written below the notes.

ցո- Լմ ցո-Եւ Լմձ-Կո ցոն-տո- յ,
մմ, 3

Handwritten musical notation on a grand staff. The melody is in the treble clef, and the accompaniment is in the bass clef. The key signature has one sharp (F#). The lyrics are written below the notes.

Լո- ցմիլ ԼձԳ-տ Եւ Եւ-ջախո-ցո-լմե
Եւ-ջախո-ցո-լմե, ձո-ցո-լո-ո

მრსა - ვარ-ვა-მი-ერ, ნ-ლე-გი-ლე ნი-ლი ჟიხი-ვი


მ. ა-ნი!

ანანუბო





კურთხეულ ხარ, რომელი მოხვედ ცხოვრებად და განახლებად.
მხსნლო ადამისო, ვითარცა კაცთმოყვარე ხარ



ს ა ე კ ლ ე ს ი ო ო ც ხ ო მ რ ე ბ ა

კათოლიკოს-კატრიარქის მსახურება და კურთხევა

ავისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე

(გომბრაზია)

ქრისტეფორე (ეროზაში ომარ იასონის-ძე წამალაიძე) დაიბადა ყაზბეგის რაიონის ს. სიონში, 1940 წლის 30 დეკემბერს.

მამა გაიოზ ილიას-ძე წამალაიძე დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.

ომარ წამალაიძემ 1958 წელს დაამთავრა ს. სიონის საშუალო სკოლა. 1962 წელს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი განათლებით ეკონომისტი.

1978 წლის დეკემბერში წამალაიძე ხელდასხმულ იქნა დიაკონად. 1979 წლის იანვარში მღვდლად. აგვისტოს პირველ რიცხვებში მიიღო არქიმანდრიტის წოდება. მანამდე აღიკვეცა ბერად, — ქრისტეფორეს სახელით. 19 აგვისტოს ფერიცვალობა დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, აღუყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დადგინდა მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსად.

ამჟამად ეპისკოპოსი ქრისტეფორე იღვწის არგვეთის ეპარქიაში.

არქიმანდრიტ ქრისტეფორეს სიტყვა, წარმოთქმული მისი ავისკოპოსად კურთხევის დღეს

უწმიდესო და უნეტარესო, მოწყალეო მეუფეო ჩვენო, მამავ და მოძღვარო სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა!

ქრისტიანული სიწმიდის შენარჩუნებისა და დაცვისათვის ჯვარცმული საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარო, მღვდელმსახურნო და მორწმუნე მამულიშვილნო!

მღვლევარებით სავსეა ჩემი გული, რადგან არ ღირს ვარ წყალობისა ამისა... და მიიწვი, ჩემს დღევანდელ ყოფაში ვხედავ განგებას ღვთისას... როგორ არ უნდა ავლელდე, როცა საქართველოს მრავალნათანჯი და მრავალგანსაცდელგამოვლილი ეკლესია დღეს ესოდნ დიდი სამსახურისათვის მომწოდებს. კარგად მესმის და ვიცი, რა რთულია გზა, რომელიც ამიერიდან უნდა განველო. მე უნდა მოვემსახურო იმ ერს და ეკლესიას, რომელიც ორიათასი წელია, მიჰყვება გოლგოთას გზას. „ნეტარ იყვენენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ — ამბობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მეც სიხარულით ვარ აღვსილი, რომ მოვემსახურები მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის მქონე ერს, რომლის მიერ წარსულში შექმნილი მრავალი სიკეთე უკვე მოსპობილია მტერთა მიერ.

დღეს ხელგებს აღვაპყრობ უზენაესის მიმართ და მადლობას შევსწირავ მას, რადგან უფლება მეძლევა, მოვემსახურო ჩემს საქართველოს. თუ ვიტვირთე მღვდელმთავრო-

ბა, ისევ მაღალის ღმრთისა და ოქვენის მოწყალების იმედით. ეგებ, ჩემმა მსახურებამაც გამოიღოს მცირედენი კეთილი ნაყოფი მესხეთ-ჯავახეთის სამწყსოში. საქართველოს დიდებული კუთხე, მესხეთ-ჯავახეთი იყო ის ბრწყინვალე კერა, სადაც აღრეულ საუკუნეებში ქრისტიანობის დიდებისათვის გასაოცარი და დიდებული ტაძრები აუგიათ ქართველ მამულიშვილთ: ოშკი, ხახული, ბანა, ზარზმა, ხანძთა, შატბერდი, ვარძია... მარტო სახელების ჩამოთვლაც კრძალვითა და თაყვანისცემით გეავსებს.



საქართველოს სახალხო პოეტი, გიორგი ლეონიძე მესხეთისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში წერდა: „ისე დაებერდი, ველარ ვნახე ოსკი, შატბერდიო“ — ინებოს უფალმა, ამ წმიდა ტაძართა სიმალიდან კვლავ გაეგონოს ჩვენს ერს ქართული წირვა-ლოცვა და გალობა. ოდეს-ღაც, აქ მოღვაწეობდნენ დიდი ხუროთმოძღვრები, ფრესკის მწერალნი, ოპიზრები, კლარჯელნი, გრიგოლ ხანძთელი, იოანე-ზოსიმე, გიორგი მერჩულე, ილარიონ პარეხელი, ბასილი ზარზმელი, თვით დიდი შოთა რუსთველი და მრავალნი სხვანი.

ქრისტეს მცნება და სამშობლოს სიყვარული, ერთურთს შერწყმული, ეს ორი — წმიდათაწმიდა სალოცავი იყო ამ კუთხის ხალხისათვის. აქ სჩქეფდა დიდი მწიგნობრული ცხოვრება, აქ მოღვაწეობდნენ სახელოვანი ქართველი მამები, ბერ-მონაზონნი. აქ მუხლმოყრილი მდგარა დიდი დავით აღმაშენებელი მაცხოვრის ხატის წინაშე. მღულარე ცრემლებით შესთხოვდა აქ ვარძიის ღვთისმშობელს დიდი თამარი მისი სამშობლოს გადარჩენასა და ხსნას. საქართველოს თავზე შემდგომ დატეხილმა უბედურებამ ამ კუთხის მკვიდრთ შეუსუსტა რწმენა. მთელი სამასი წელი დიდი ძალისხმევით

ცდილობდნენ ისინი არა და არ დაეკარგათ დედაენა და სული ქართული. ახლა კვლავ სასოებით შემოპყურებს დიდი რუსთველის სამშობლო მხარე თავის განუყოფელ დედა-საქართველოს, კვლავ ელტვის რწმენას და ჩვენი ვაღია, უმეტეს გავალვივით ქრისტეს სიყვარული. რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ — აი ის მთავარი, რაზედაც მინდა ვესუბრო მათ ჩემს ქადაგებებში.

მესხეთი განსაკუთრებულ სიბოხსა და ყურადღებას მოითხოვს ღვთის მსახურისაგან. ეს ფიქრი, ეს რწმენა, ეს სიყვარული და მოვალეობა მშობლად ჩაღვთვით იმ ეკლიან გზაზე, რაიც მაღალმა ღმერთმა და თქვენმა უწმიდესობამ დაგიწესა. მწადს, მუდამ დაუღლელი და შემართული ვიღვწოდე ჩვენს ცრუ რწმენის გაღვიძებისათვის. ამ ძალას კიდევ უფრო მიორკეცებს თვით მესხეთ-ჯავახეთიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან მორწმუნეთა დაქინებული თხოვნა ეკლესიის გახსნისა და იქ მღვდელმსახურების მოთხოვნისა. მოწყალებით სავსე ბრძანდებით თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო. ეს დღეი ნდობაც, ამ მოწყალების კიდევ ერთი გამოხატულებაა.

ამიერიდან, უფრო მეტი სიმძაფრით მომიხდება ბრძოლა ხილულ თუ უხილავ, ბოროტ ძალებთან, მაგრამ შევსთხოვ მაღალ ღმერთსა და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ეკლესიის მფარველ წმიდანებს, მომხადლონ ძალა მათთან ბრძოლისა და გამარჯვებისა.

შეიძლება ქრისტიანობის აღორძინებისათვის მსახურებაში ეწამოს და მოსწყდეს ხორცი ჩემი, მაგრამ ვევედრი ღმერთს, განმისპეტაკოს, განმიძიკიცოს, განმიძლიეროს სული ჩემი, მომცეს გამბედაობა — ვთესო სიკეთე და მაღლი, რათა ამ ქვეყნიურმა ცხოვრებამ ჯეროვნად შემამაზადოს მარადი ცხოვრებისათვის. ღმერთო, მომეც ძალა ამოვამთო ჩემი არსებიდან ცოდვანი, რათა არა განგდებულ ვიქნე პირისაგან შენისა.

კარგა ხანია ვიგრძენი, რომ ჩემი ერთადერთი გზა ეკლესიაა. ამ გზაზე შემწყდ და მფარველად მუდამ გამყვება ქვეყნისათვის ჯვარცმული მაცხოვრის წმიდა სახება და ის დიდი სიყვარული, რომელიც ნათობს ჩემს გულში ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსადმი.

დაე, საქმემან ჩემმან გამომაჩინოს მე!




1980 წლის ნოემბერში ახალციხეში გაიხსნა წმ. მარინეს საკათედრო მართლმადიდებელი ეკლესია



მესხეთ-ჯავახეთი, ეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე მორწმუნეთა შორის
(1980 წ.)





**ეპისკოპოსი ანანია
ჯაფარიძე**

(ბიოგრაფია)

1981 წლის 15 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსის მაღალ ხარისხში აღიკვეთა არქიმანდრიტი ანანია და დანაშაუნი ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველად.

ეპისკოპოსი ანანია, ერისკაცობაში თენგიზ ანატოლის ძე ჯაფარიძე, დაიბადა 1949 წელს ქ. ტიბულში.

განათლებით ელექტროკავშირის ინჟინერია.

1979 წლის 14 თებერვალს ინიშნება თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელ-ვითნედ, იმავე წლის აპრილში აღკვეცილ იქნა ბერად და ეწოდა სახელი ანანია. შემდეგ, ხელდასმულ იქნა დიაკონად, ხოლო 27 სექტემბერს ეკურთხა მღვდლად. 1979—80 წლებში ჯერ თბილისის სამების ტაძრის, ხოლო, შემდეგ ალავერდის მონასტრის წინამძღვარია. 1980 წლის 27 სექტემბერს მიიღო იღუმენობა.

1981 წლის 8 მარტს მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი, ხოლო, იმავე წლის 15 მარტს აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში.

**არქიმანდრიტ ანანია სიტყვა, წარმოთქმული
ეპისკოპოსად კურთხევის შამს**

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ყოვლად სამღვდელონო, მღვდელმთავარნო და პატიოსანნო მამანო! ამ დღეებში, როცა წმიდა ეკლესია იცავს მარხვას, რათა განწმენ-

დილნი შევხედეთ ცხოვრების მომცემელი ქრისტეს აღდგომას, მე განვიციდი ძლიერ მღვდღვარებასა და შიშს.

თქვენი უწმიდესობისა და წმიდა სინოდის გადაწყვეტილება ქრისტეს ეკლესიის ეპისკოპოსად ჩემი გამორჩევის შესახებ, ჩემთვის ძლიერ მოულოდნელი იყო. ღრმა მღვდღვარებით ვდგავარ თქვენს წინ, რადგანაც ვიცი, მღვდელმთავრობის მაღალ ხარისხს ერიდებოდნენ ქრისტეს ეკლესიის მასწავლებლებიც კი. ასეთ მაღალ პატივზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. მკმაროდა ის სულიერი სიხარულიც, რომელსაც ალავერდის მონასტერში ჩემი მცირე ღვაწლი მანიჭებდა, ჩემი მოღვაწეობის ადგილი ჩემი ძალ-ღონისათვის საკმაო იყო. იქ მორწმუნეებს და უბრალო აღამიანებს ხშირად ჩამოჰქონდათ ამბავი ჩვენი ეკლესიის წარმატებათა შესახებ. ეს მე სიხარულით მავსებდა და მაძლევდა ძალას. ახლა კი, ინება უფალმა და თქვენმა უწმიდესობამ, წმიდა სინოდთან ერთად, ჩემი ეპისკოპოსად გამორჩევა განაჩინა. ასეთი ნდობა განუზომლად ბევრს მავალებს.

საქართველოს ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში დედასაებრ მფარველობდა და ჭირნახულობდა ჩვენს ერს. ეკლესიის წიაღში იწრთობოდა მამულისათვის თავდადებულ მებრძოლთა გმირული სული, სარწმუნოების ნათელი მიუძღოდა ჩვენი ერის კულტურის წინსვლა-აყვავებას და, რა დასანანია, რომ ქართული ეკლესიის ეს დიდი როლი, როლი სულიერი ხელმძღვანელისა და წარმმართველისა, ბოლო საუკუნეების მანძილზე შესუსტდა და მოღუნდა.

ბოლო ათეულ წლებში მთელ მსოფლიოში სულიერი აღორძინება და სარწმუნოების აყვავება შეიმჩნევა. ამ სულიერი აღორძინების უამს ინება მაღალმა ღმერთმა ჩემი გამორჩევა. „რაი მივაგო უფალსა სოფლისათვის, რომელ ესე მომაგო მე“ — ხშირად ვიმეორებ ფსალმუნის სიტყვებს.

შემწე მეყავ მე, წმიდაო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, რათა კეთილად

აღვასრულო ჩემი მოვალეობა, როგორც სამწყსოს მზრუნველმა მამამ.

ილოცეთ ჩემთვის, თქვენო უწმიდესობავ, წმიდანო მღვდელმთავარნო, რათა ღმერთმა ღირსებით შემასრულებინოს ეს განუზომელი მოვალეობა.

შენთვის ვილოცებ, ქართველო ერო და შენი სულიერი წინსვლისა და აღორძინების საქმეს შევესწირავ ჩემს მომავალ მსახურებას. აღორძინდეს და ღვთით განბრწყინდეს ჩვენი დიდებული ერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ღვთის ძლიერებას უგალობდა და უგალობს სვეტიცხოვლის მძლავრი სიმშვენიერთა და ნიკორწმინდის ნაზი ჰარმონიით.


„მოიხილე ცაო და ვიტყოდე აწ და ვაქებდე ქრისტესა ქალწულისაგან მოსრულსა ჩვენთვის“.

„გმადლობ შენ უფალო, შენდამი არს გალობა ჩემი მარადის“. უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღვისილი თქვენი წმიდა კრებულის მიმართ, თქვენი მოღვაწეობის ერთგული თანამსახური ვიქნები მარად, სიყვარულით თაყვანს გცემთ და ვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა-კურთხევას.





დიდება მიწას, რომ გეაკვანათ,
თქვენი მაღლი რომ დაუფენია,
ნეტავ, რა ძალამ ამოაქანა
შუქნასხვიარი თქვენი გენია!...



1981 წლის 7 იანვარს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა უფლისა-ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ხორციელად შობის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-საღვთისწაულო ლიტურდია. შესრულებული იქნა იოანე ოქროპირის წირვა. ამ ყოვლადსაზემო დღეს კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: თეორწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაყუგა), წილკნელი მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე), ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა) და მცხეთა-თბილისის ეპარქიის მღვდელმსახურნი.

1981 წლის 19 იანვარს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, იესო ქრისტეს ნათლისღების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-საღვთისწაულო ლიტურდია. სიონის დიდებული ტაძარი და მისი შემოგარენი ხალხს ვეღარ იტევდა. ყველას სურდა უშუალო მოწმე და მონაწილე გამხდარიყო იმ დიდებული დღის გახსენებისა, როდესაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ იოანე ნათლისმცემლის ხელით ნათელ იღო მდინარე იორდანეში. სრულდებოდა ბასილი დიდის წირვა. სიონის ზარები გუგუნით აუწყებდნენ მრევლს ქრისტეს ეკლესიის დიდ საიდუმლოებას, რომელიც მოწოდებულია ახალი ქრისტესმთვარი სულიერი ცხოვრების საწყისად და ქვაკუთხედად.

1981 წლის 27 იანვარს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ქართველთ განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდანინოს ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-საღვთისწაულო ლიტურდია. სიონის ტაძარში, ამბიონის წინ, ყვავილებით მორთულ ანალოდიაზე დასვენებული იყო ქრისტიანობის უდიდესი რელიქვია, წმიდანინოს ვაზის ჭვარი, რომელიც თექვსმეტი საუკუნის მანძილზე გაუნელებელი მადლით მოსაეს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს კურთხეულ მიწა-წყალს. ტაძარში მოსული ხალხის რიგს ბოლო არ უჩანდა. ყოველ მათგანს სურდა სასიუბით მოხვეოდა ღვთისმშობლის ბოძებულ წმიდანინოს ჭვარს, რომლიდანაც დაიწყო საქართველოს ახალი ერა, ერა ქრისტიანული სულიერებისა.

ამ დღეს კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: მიტროპოლიტი ზინობი (მაყუგა), წილკნელი მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე), ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი შიო (ავალშვილი), ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ურბნელი მთავარეპისკოპოსი და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე) და სიონის ტაძრის მღვდელმსახურნი.

1981 წლის 8 თებერვალს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საქართველოს წმიდ. კეთილმსახური მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურდია. წირვის აღსრულების შემდგომ ილია II ხატოვნად მოუთხრო მრევლს დავით აღმაშენებლის უდიდეს ღვაწლზე, მის სასულიერო და საერო ცხოვრებაზე, რომლის ცხოველი კვალი დღესაც ღვთისა-მოსახლეს ქართულ მიწაზე აღმართული ეკლესია-მონასტრების სახით.

1981 წლის 15 თებერვალს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში აღასრულა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მირქმის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-საღვთისწაულო ლიტურდია. შესრულებულ იქნა იოანე ოქროპირის წირვა.

ამ დღეს კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: დიდუბის ტაძრის წინამძღვარი, წილკნელი მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე) და სიონისა და დიდუბის ტაძრების მღვდელმსახურნი და მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტები.

1981 წლის 6 მარტს, შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

სხდომას ესწრებოდნენ: თეორეტიკული მიტროპოლიტი ზინობი, წილკნელი მიტროპოლიტი გიორგი, ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ქუთათელი-გენათელი მიტროპოლიტი შიო, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ჭყონდიდელი, ცაგერელი და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი იოანე, ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი დაეითი, ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე, ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე, მესხეთ-ჯავახეთისა და ახალციხის ეპისკოპოსი ამბროსი, მარგვეთელი და ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე.

1981 წლის 25 მარტს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და წმიდა მეფის დიმიტრი თავდადებულის ხსენების დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო ლიტურგია. შესრულებულ იქნა წირვა პირველშეწირულისა, რომლის ეამსაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მოხსენია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მწყემსმთავარი, უწმიდესნი და უნეტარესნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი, ეფრემი და დაეითი. ლიტურგიის დასასრულს საქართველოს ეკლესიის საკეთილშობილეს იქადაგა წმიდა მეფის დიმიტრი თავდადებულის სულიერ ცხოვრებაზე, რომლის სახელიც გმირობის სიმბოლოდ იქცა სამშობლოსმოყვარე ქართველი ერისათვის.

1981 წლის 7 აპრილს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულის, მარიამის ხარების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-საღვთისაწაულო ლიტურგია. შესრულებულ იქნა იოანე ოქროპირის წირვა, რომლის ეამსაც კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე და სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურნი.

1981 წლის 10 აპრილს, წმიდა მამის, იოანე მანგლელ ეპისკოპოსის ხსენების დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო ლიტურგია. შესრულებულ იქნა წირვა პირველშეწირულისა, რომლის დამთავრების შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქმა



ილია II მრევლს აუწყა, რომ წმიდა მამა იოანე მანგლელის წმიდა ნაწილები, რომელიც განისვენებს სიონის კანკელის წინ, მარჯვენა ნიშში, ტაძრის რესტავრაციის შემდგომ წარმოჩენილი იქნება თაყვანისცემულ და გაუქუთდება წარწერა.

1981 წლის 12 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრო ოპერას „ევენი ონგინი“, რომელშიაც წამყვან პარტიას ასრულებდა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი მაყვალა ქასრაშვილი.

სექტაკლის დამთავრების შემდგომ ილია II ინახულა მსახიობები, უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატება და სამახსოვრო სურათი გადაიღო მათთან.

კათოლიკოს-პატრიარქს ილია II სექტაკლზე თან ახლდნენ: ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი დაეითი, საპატრიარქოს მემბრანე მიხეილ თარხნიშვილი და პროტოდაიკონი ღვთისო შალიკაშვილი.

1981 წლის 18 აპრილს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა მართალი ლაზარეს აღდგინების, ლაზარეს შაბათის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურგია, რომლის ეამსაც საქართველოს ეკლესიის ღირსეულმა წინამძღვარმა და ღიღმა მეუფემ მრევლს აუწყა, რომ ლაზარეს აღდგინებით ქრისტემ გვიწინასწარმეტყველა მონანიებელი და უფლის დამეგობრებული კაცობრიობის მომავალი აღდგომა, რომელიც იქნება საყოველთაო ფერისცვალება და განახლება, ოდეს მართალნი გაუქვდავდებიან.

1981 წლის 19 აპრილს, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის— ბზობა დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა საღმრთო-საღვთისაწაულო ლიტურგია. შესრულებულ იქნა იოანე ოქროპირის წირვა.

ღიდებული სანახაურო იყო მრევლით გაკვირებული ტაძარში აღმათული ბზის ტოტების მთელი ტყე, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქი ნაკურთხ წყალს ასხურებდა. რაოდენი რწმენა და სიხარული იყო დამკვიდრებული მრავალმხარხაული სიონის ტაძრის თაღებ ქვეშ, რომელიც თხუთმეტი საუკუნე

ნა დას, ვითარცა სხეული ქრისტესი და იღვთობა, ვიდრე ამ ქვეყნის აღსასრულამდე. საღვთისაწაულო ლიტურგია დასასრულს მიუახლოვდა. სიონის მგალობელთა გუნდები ხმიერად ალავერდნენ საღვთებელს უფლისადმი. სიონის ზარების გუგუნში კათოლიკოს-პატრიარქი ერს ლოცავდა და თითოეულ მოციქულს თან მიჰქონდა ბზის ტოტი და ანთებული სანთელი, ვითარცა რწმენა და იმედი უფლისა.

1981 წლის 23 აპრილს, ვენების შეიდექელის დიდ ხუთშაბათს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა „საიდუმლო სერობისა“ და „ფერხთა ბანის“ დღისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურგია. ამისათვის საქართველოს ეკლესიის ეპარქიებიდან მოწვეულ იქნენ თორმეტი ღირსეული ღმრთისმსახურნი, ვითარცა თორმეტი მოწვეუ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. შესრულებულ იქნა ბასილი დიდის წირვა, რომლის ეამსაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის ტაძარში ფერხნი დაბანა თავის თორმეტ მღვდელმსახურს, ვითარცა იესო ქრისტემ თავის თორმეტ მოწვევს. ეს იყო ქეშმარიტი გამოვლინება ქრისტიანული თავმდაბლობისა და მოყვასის სიყვარულისა, რომელიც მაცხოვრის — იესო ქრისტეს თქმით, ტოლფასოვანია უპირველესი მცნებისა.

1981 წლის 25 აპრილს, ვენების შეიდექელის დიდ შაბათ ღამეს, 11 საათისათვის სიონის ტაძარსა და მის შემოგარენში ხალხის ტევა აღარ იყო. ყველა მოუთმენლად ელოდა კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II მობრძანებას. გაისმა სიონის ზარების გუგუნე... საქართველოს ეკლესიის საკეთილშობილესი მღვდელმსახურთა თანხლებით ტაძარში შემობრძანდა. დაიწყო იოანე ოქროპირის წირვა. ლიტონიობა თანდათან ძალს იკრებდა. 26 აპრილს, ღამის პირველი საათისათვის უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II, მღვდელმსახურთა, მგალობელთა, სტიქაროსანთა და უმარავი მრევლის თანხლებით სიონის ტაძარს სამჯერ გარსემოუარა, შემბრძანდა ტაძარში და მრევლს ხმიერად აუწყა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა.

„ქრისტე აღდგა!“ წარმოსთქვა პატრიარქმა. „ქეშმარიტად!“ ქეშმარიტად!“ „ქეშმარიტად!“ იყო ასობით აღამანთა პასუხი. „ცხოვრების მომცემელი ქრისტე ღმერთო, ღიდება შენდა!“ გლობდა გუნდი. „ღიდება შენდა!“ „ღიდება შენდა!“ იმეორებდნენ სიონის კედლები და ეს სასიხარულო ექო დილაზე ისმოდა წმიდა მეფის ვახტანგ გორგასალის აღშენებულ ტაძარში. ლიტონიობა ღამეს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა მიულოცეს: საივშირო რელიგიის



საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში, — გივი მაისურაძემ, მისმა მოადგილემ ილია რურუამ, უფროსმა ინსპექტორმა ოთარ ჯაშმა, საკავშირო რელიგიის საბჭოს საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების თანამშრომელმა მიხეილ ტიხონოვმა და აპნ-ის მოსკოველმა ფოტოკორესპონდენტმა ანდრია ტიაჩენკოვმა, რომელმაც ფირზე ასახა საქართველოს ეკლესიის ცხოვრება, უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად.

1981 წლის 6 მაისს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში აღასრულა წმიდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთოსა აღდგასწაულო ლიტურგია.

ამ დღეს კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: ბათუმ-შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭვადუა), ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სოკრატე ჭულუხაძე; აგრეთვე, სიონისა და ქვაშვეთის ტაძრის მღვდელ-მსახურნი.

1981 წლის 9 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II გამარჯვების პარკში გვირგვინით შეამკო უცნობი ჭარისკაცის საფლავი და წუთიერი დუმილით პატივი სცა მის ნათელ ხსოვნას. მას თან ახლდნენ: ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე, მღვდელი როსტომ ლორთქიფანიძე, მღვდელი ბენიამინ ახვლედიანი, მღვდელმონაზონი მიქაელი (დოლიაშვილი), პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, მღვდელი ზურაბ სირაძე და დიაკონი ელგუჯა ოდიშვილი. ამ ცერემონიალს დაესწრნენ რელიგიის საკავშირო საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ რესპუბლიკაში — გივი მაისურაძე, მისი მოადგილე რატი ტატიშვილი, უფროსი ინსპექტორი ოთარ ჯაში და რწმუნებულის აპარატის სხვა თანამშრომლები.

1981 წლის 14 მაისს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა წმიდა კვიტილმორწმუნე, ქართველთა დიდი მეფის, თამარის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურგია.

1981 წლის 25 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრო სპექტაკლ „ოტელოს“, რომელშიც მოივარ პარტიებს ასრულებდნენ მსყველა ქსარაშვილი და ზურაბ სოტიკოვა.

1981 წლის 1 ივნისს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდანინოს საქართველოში შემოსვლის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურგია. ამ თარიღთან დაკავშირებით, სიონის ტაძარში გამოსვენებული იყო წმ. ნინოს ვაზის ჭვარი და ხატი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თარიღი ქართულმა ეკლესიამ ბირველად მიმდინარე წელს იღვესასწაულა, რომელიც დააკანონა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

წმიდა სინოდმა განაჩინა


წყევლის მოხსნა: უკეთუ, უცხო ტომს, ან პიროვნებას შეუჩვენებია, ან დაუწყევლია ჩვენი ერი, მოეხსნას ჩვენს ეკლესიას და ჩვენს ერს ეს წყევლა.

მიეტევოს ჩვენს ერს ურთიერთ წყევლა. ახსნას ჩვენს წინაპრებსა და თანამედროვეთ, მაწყევართაცა და

დაწყევლილთაც, წყევლა-კრულვა და ამით შემოსილა ცოცხალი. რომელიმე გამორჩეულ დღეს სვეტიცხოვლის, ან თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში სამღვდელთა და საეროთ წინაშე წაკითხულ იქნას ლოცვა წყევლა-კრულვისაგან გახსნისა და შენდობისა.



გაძლიერდა დღეს გული ჩემი უფლისა მიმართ, ამაღლდა რქაი ჩემი ღმრთისა მიერ, რამეთუ არაი ვინ არს წმიდაი, ვითარ უფალი



საზოგადოანდერძის შესრულება: ვინაიდან მრავალი ქრისტიანე განსაცდელით აღსავსე წარსულში გარდაიცვალა ისე, რომ არ ღირსებია მართლმადიდებლური წესით ანდერძის აგება და შენდობის წაკითხვა მოძღვრისაგან, დაწესდეს: სულიწმიდის მოფენის სწორზე — კვირა დღეს — ყოველთა წმიდათა ღვთისაწაულზე, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდეს გარდაცვლილთა მოსახსენებელი საღმრთო ლიტურგია და წირვის შემდეგ საზოგადოანდერძის აგება, რომლის ჟამსაც წაკითხული იქნება შენდობის ლოცვა.

1981 წლის 11 ივნისს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მთაწმიდაზე, მამადავითის ეკლესიაში აღასრულა დავით გარეჯელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურგია — მამადავითობა, რომლის ჟამსაც კათოლიკოს-პატრიარქის თანამწირველნი იყვნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), მარგვეთელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალიძე), ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე) და მამადავითის ტაძრის წინამძღვარი, ბერმონოზონი გიორგი (ოდიშელი).

1981 წლის 12 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო ფრანგ იმპრესიონისტ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის გახსნას საზეითო ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. კათოლიკოს-პატრიარქს თან ახლდნენ: ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე) და მღვდელმონოზონი მიქაელი (დოლიაშვილი).

იმავე საღამოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო საფრანგეთის ელჩი სრკ-ში, ბატონი ანრი ფრო-

მან-მერისი, რომელიც ჩამოვიდა თბილისში ფრანგული საზეითო ხელოვნების ნამუშევრების გამოფენის გასახსენლად.

საფრანგეთის ელჩს თან ახლდნენ: გამოფენის გენერალური კონსული მიშელ ოგი, საფრანგეთის საელჩოს ატაშე კულტურის დარგში, კლოდ კრუაი. მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ია გამრეკელი, საზეითო ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი თამაზ სანიკიძე და სხვ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საფრანგეთის ელჩს შორის გაიმართა გულთბილი ქრისტესმთვარი სიყვარულით აღსავსე საუბარი, რომლის დასასრულს ილია II საპატიო სტუმარს და მის თანმხლებ პირთ სამახსოვროდ გადასცა ქართული ხის ნაკეთობანი.

მიღებას ესწრებოდნენ: ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე, მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ამბროსი, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ანანია და საპატრიარქოს მემატეანე მიხეილ თარხნიშვილი.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქურნალის მკითხველებისათვის, 1980 წელს, თბილისში ოფიციალური ვიზიტით ყოფნის დროს, საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრი, ბატონი ფრანსუა ჟისკარ დ'ესტენი შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II და საუბარი ჰქონდა მასთან.

შემდგომ ამისა, ბატონმა ფრანსუა ჟისკარ დ'ესტენმა 1981 წლის დამდეგს საქართველოს ეკლესიის საქუთუმპრობელს მიუღოცა ქრისტეშობისა და ახალი წლის

ღვთისაწაული, რის გამოც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ბატონ ფრანსუა ჟისკარ დ'ესტენს:

„ბატონო მინისტრო! ქრისტეს მიერ ძვირფასო ძმოს! არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაითა დასაჯოს სოფელი, არამედ, რაითა აცხოვოს სოფელი მის მიერ“ (იო. 3,17).

ღვთის წყალობით დაიმედებულ სიყვარულით მოგილოცავთ ქრისტეს შობას და ბედნიერ ახალ წელს. გისურვებთ, რომ ყოველი დღე თქვენი ცხოვრებისა ყოფილიყოს აღსილი სიხარულითა და მშვიდობით.

გულწრფელ მადლობას გიხდით მოლოცვისათვის.

ქრისტეს მიერ სიყვარულით.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი
იანვარი, 1981 წ.

1981 წლის 14 ივნისს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში აღასრულა სულიწმიდის გარდამოსვლის, სულთმოფენობის დღისადმი მიძღვნილი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგია. ვარდ-ყვავილებით იყო მოფენილი სიონის ტაძარი და მთელი ის გზა, რომლითაც შემობრძანდა ტაძარში საქართველოს კათო-



კაცხის გვარი. დეტალი. XI ს. (ფერისცვალება)



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტი ილია II



ლიკოს-პატრიარქი. დღესასწაულმა დიდის აღმავლობით ჩაიარა, რომლის შემდგომ სიონის ტაძრის ეზოში მოსული მრევლისათვის გაიმართა ხალხმრავალი სერობა.

ამავე დღეს, ლიტურდიის აღსრულების დროს, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ლოს საპატრიარქო საფინანსო-სამეურნეო

მღვდლის ხარისხში აყურთხა დიაკონი, მცხეთის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ზურაბ სირაძე, და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის პირად მდივნად.

სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელი არჩილ ლავერაშვილი აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში და დაინიშნა საქართვე-

განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საპატრიარქო რეფერენტი, მღვდელი როსტომ ლორთქიფანიძე დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით და დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ.

1981 წლის 13 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ფეხბურთში ევროპის თასის ფინალის მონაწილე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს ქ. დიუსელდორფში:


„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. დიუსელდორფი, „რაც შტადიონი“, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს. კურთხეული ერის, ჩვენო საამაყო შვილებო, გისურვებთ გამარჯვებას! ღმერთია თქვენი შემწე.“

სიყვარულით გლოცავთ და გეხვევით ყველას.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი“.





«ДЖВАРИ ВАЗИСА»

(КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ)

№ 1 (7) 1981 г.

1. Пасхальное Послание Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха Всея Грузии Ильи II пастве.

2. Визит Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха Всея Грузии, Президента Всемирного Совета Церквей Ильи II, в Швейцарию по приглашению Федерации Евангелических Церквей Швейцарии (с 9 по 18 февраля 1981 г.). Его сопровождали: Председатель Отдела Сношений Грузинской Патриархии, Архиепископ Сухумский и Абхазский Николоз, диакон Зураб Сирадзе и секретарь Отдела Внешних Сношений Патриархии переводчик Борис Гагуа.

8 февраля в Женевском аэропорту Католикоса-Патриарха Всея Грузии Ильи II встречали: Митрополит Дамаскин, Годор Сабев, представители миссии Константинопольской Церкви в Женеве и представитель Русской Церкви Виталий Боровой.

Заседания Совета Церквей проходили в Женеве с 9 по 13 февраля. Ведущими были темы: «Семья и Церковь», «Роль церкви и воспитании ребенка»,

«Проблема немощных». 13 февраля состоялась заключительная сессия Всемирного Совета Церквей.

14 февраля делегация Грузинской Церкви отправилась в аббатство Сен-Морис и посетила монастырь Сен-Морис. Делегацию принял настоятель монастыря Анри Салина. Свою речь, произнесенную во время приема, Илья II посвятил в основном вопросам мира и справедливости.

Это обязанность каждого христианина, трудиться для мира и справедливости, дабы исполнилась воля Господня.

В тот же день делегация Грузинской Церкви отбыла в г. Берн, где присутствовала на воскресном молебне в церкви Нидква. Затем делегация была принята Федерацией Протестанских Церквей Швейцарии (Председатель — Жан Пьер Жорно). На состоявшемся заседании Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх Всея Грузии Илья II произнес речь, которая в основном была посвящена важности экуменического движения и необходимости уничтожения накопленных запасов оружия, несущих угрозу существованию человечества: «Нам, христианам, надлежит приложить все силы, дабы наша голубая планета встретила двухтысячный год мирный и процветающий». Вечером того же дня, Католикос-Патриарх Всея Грузии Илья II совершил вечерний молебен в старой католической церкви г. Берна. После молебна он произнес проповедь перед многочисленной паствой. Основной темой проповеди была вера, ее чистота и мощь.

16 февраля делегация Грузинской Церкви отправилась в г. Гват, а затем в г. Шафхаузен, где ее принял Совет Церквей Шафхаузенского контона под председательством настоятеля совета Кристофа Баффа. 17 февраля делегация находилась в г. Цюрихе где имела беседу с профессорами и студентами группы картвелологов.

Визит Католикоса-Патриарха Всея Грузии был освещен швейцарской прессой, радио и телевидением. Делегации был устроен теплый прием в Шафхаузене, Цюрихе, Бегингене и других городах.

3. «Квирикоба (праздник Св. Квирик и Св. Ивлиты) в Сванетии» (Автор Н. Папуашвили). В статье речь идет о месте культа святых Квирик и Ивлиты в грузинской литературе и эротологии вообще (в историческом плане) и в религиозной жизни одного из основных картвельских племен, состо-

вляющих картвельскую (грузинскую) нацию—сванов в особенности. Говорится о церкви воздвигнутой в Сванетии в честь этих святых, «Лагурки» и устраиваемого там храмового праздника.

4. «Столп Вознесения Христова в Джавахетии» (автор Р. Маградзе). В статье речь идет о обилии старинных украшенных крестами каменных столбов, стел и дорожных указателей в Джавахетии (Южная Грузия), среди которых выделяется «Столп Вознесения», высотой около 5 метров.

5. Микрофильмы из Иверского монастыря на Афоне» (автор — педагог мхетской духовной семинарии И. Ченшвили). В статье говорится о Блаженном Католикосе Патриархе Всея Грузии Ильи II труде на организацию микрофильмирования хранящихся в Иверском монастыре на Афоне грузинских рукописей и передаче микрофильмов Грузии. Публикуется переписка Католикоса-Патриарха Всея Грузии, Ильи II с Вселенским Патриархом Димитрием, с губернатором Святой горы Афона господином Димитриос Цамисом и с монахами монастыря.

6. «Всякое сущее во плоти стоит на границе между бытием и небытием» (Автор — архиепископ Константин). Основная тема проповеди — человек, как существо стоящее между бытием и небытием, и смысл его бытия, как самоискупление и стремление к Богу через труды, умножение и возвращение новых духовных существ.

7. «Праздник Благовещения» (автор — архиепископ Тадеоз). Проповедь посвящена Благовещению Богородицы, как возвещению о начале новой эры в истории человечества рождестве Христове.

8. Поэзия—стихотворения духовного содержания. Авторы: архиепископ Тадеоз, архиепископ Константин, архимандрит Сократ Чулухадзе, иеромонах Георгий (Одишвили), Цисирери, З. Алазниспирели.

9. «Николоз Бараташвили с христианской точки зрения». Это —речь про-

изнесенная Католикосом-Патриархом Всея Грузии Калистратом Цинцадзе (1866—1952) в Дидубийском пантеоне (Тбилиси) в 1982 г. по поводу перенесения праха известного грузинского поэта Н. Бараташвили на родину из Ганджи. В этой речи выявляется ведущая роль христианских мотивов в миропонимании Н. Бараташвили.

10. Послание Верховного Патриарха-Католикоса Всея Армян Вазгена I Католикосу-Патриарху Всея Грузии Илье II и ответ Ильи II на это послание. В своем послании Вазген I касается клеветы, распространяемой некоторыми проживающими за рубежом армянскими католическими духовными лицами относительно Армянской Григорианской Церкви. В ответном послании Илья II подчеркивает, что единство является необходимым условием благоденствия как нации, так и церкви.

11. „Песнопения“. В журнале напечатаны три песнопения игумена Павла Бершвили. Азгуром вступительной статьи и его творческой биографии является священник Ростом Лордкипанидзе.

12. Церковная жизнь повествует о приеме Католикосом-Патриархом Всея Грузии Илей II разных лиц, о ремонте церкви, об их украшении и росписи и о прочих мероприятиях связанных с жизнью церкви.

Так же о службах и благословлениях Католикоса-Патриарха Всея Грузии Ильи II; о рукоположениях в диаконский, священнический и епископский сан за шесть прошедших месяцев (январь-исль). Описывается подготовка и проведение праздников. Говорится о проведении богослужения в патриаршем и прочих соборах, в особенности в праздничные дни.

«DJVARI VAZISA»

(CROSS OF THE VINE)

№ 1 (7), 1981

1. The Easter congratulating epistle of his Holiness and Beatitude Ilya II Catholicos-Patriarch of All-Georgia to his flock.

2. The visit of his Holiness and Beatitude Ilya II, Catholicos-Patriarch of All-Georgia, President of the World Council of Churches to Switzerland on the invitation of the Federation of Swiss Evangelical Churches (from the 9th to the 18th of February, 1981). His Holiness and Beatitude was accompanied by the head of the Department of Foreign Relations of the Georgian Patriarchate, Archbishop of Sukhumi and Abkhazia Nicholas, the deacon Zurab Siradze the secretary of the Department of Foreign Relations Boris Gagua.

On the 8th of February at the Geneva airport the Catholicos-Patriarch of All-Georgia was met by the Metropolitan Damascinos, Todor Sabev, representatives of the Constantinople Church Mission of Geneva, the representative of the Russian Church Vitali Borovoi.

The sessions of the Council of Churches were held in Geneva from the 9th to the 13th of February. The key topics discussed were: «The Family and the Church», «The Role of the Church in Bringing up Children», «The Problem of the Disabled». On the 13th of February the final sitting of the WCC was held.

On the 14th February the delegation of the Georgian Church went to the St. Maurice Abbey and visited the St. Maurice monastery. The delegation was received by the Father-Superior of the monastery Henry Salena. The speech made by Ilya II at the reception was mainly dedicated to Peace and Justice.

That is why it is the duty of every christian to work for Peace and Justice, in accordance with the will of God.

On the same day the delegation of the Georgian Church left for Berne where it attended the Sunday mass at the Berne Cathedral. After that the delegation was received by the Federation of the Swiss Protestant Churches (President Jean Pierre Jornod). At the meeting held there, His Holiness and Beatitude Ilya II made a speech which was dedicated to the significance of the oecumenical movement and the necessity of annihilating the stockpiles weapons, which threaten the existence of mankind. We christians must apply every effort in order that our sky-blue planet might meet the year of 2000 peaceful and flourishing. On the same evening the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilya II celebrated vesper at the old catholic church of Berne. After the prayer he held a sermon to the numerous congregation. The main topic of the sermon was Faith, its Purity and Power.

On the 16th of February the delegation of the Georgian Church left for Gwatt and later for Schaffhausen where it was received by the Council of Churches of the Schaffhausen Canton headed by the

Father-Superior Christof Baff. On the 17th of February the delegation visited Zurich where it had a talk with professors and students of the scholarly group of Georgian studies at Zurich University. The visit of the Catholicos-Patriarch of All-Georgia Ilya II was broadly commented on by Swiss mass-media. The delegation was cordially received at Schaffhausen, Zurich, Begingen and elsewhere.

3. «Kvirikoba (Church Festival of St. Kvirike in Svaneti)» (by Nugzar Pa-puashvili). The article is dealing with the cult of St. Kvirike and St. Iv-lite (+305) and its place in Georgian Literature and Georgian eartology in general (historically) and especially in the religious life of the Georgian tribe Svans. The article relates to the church built in honour of these saints and the Church festival, the so-called «Laxgurka» feast.

4. «The Pillar of the Ascension of Christ in Djavakheti», (by R. Magradze). The article is dealing with the multitude of stone pillars with crosses, steles and roadposts in Javakheti (South Georgia) the most significant among which is—the «Ascension Pillar» (5 m high), the author retatesto its history.

5. «Microfilms from the Iviron monastery on Mount Athos» (by Ilya Cheishvili, professor of the Theological seminary in Mtskheta). The article deals with the contribution recently made by the Catholicos-Patriarch of All-Georgia Ilya II for microfilming the Georgian manuscripts kept at the Iviron and bringing them to Georgia. The correspondence of Ilya II Catholicos-Patriarch of All-Georgia with the oecumenical Patriarch Dimitrios, with the Governor of Mount Athos Mr. Dimitrios Tramis and the monks of the monastery are also presented.

6. «Every living being is standing on juncture of being and not being» (by Archbishop Constantine). The main topic of the sermon is man, as a being standing between being and not being, and the essence of his existence, as self-redemption and aspiring towards God by work and by multiplying and rearing up new beings endowed with soul and spirit.

7. «The Annunciation feast» (by Archbishop Thadeus). The sermon is dedicated to the Annunciation to Our Lady as the enauguration of a new era in the history of Mankind—the Nativity.

8. «Poetry» this section is dedicated to spiritual poetry (by Archbishop Thadeus, Archbishop Constantine, archimandrite Sokrates (Chulukhadze), hieromonach George (Odishvili), Ts. Tsisieri, Z. Alaznispireli).

9. «Nicholas Baratashvili from a christian point of view». It is the speech made by Callistratus Tsintsadze, Catholicos-Patriarch of All-Georgia at the Didube Church in Tbilisi in 1892 on the occasion of the removing of the body

of the great Georgian romantic poet Nicholas Baratashvili from Gandja (1816 — 1845) to Tbilisi and interring it at the Didube Pantheon. The speech was first attempt in the history of Georgian literature of revealing the leading role of christian motifs in the world outlook of the poet.

10. The epistle of the Supreme Patriarch-Catholicos of All-Armenians Vazgen I to Ilya II Catholicos-Patriarch of All-Georgia and the answer by Ilya II. Vazgen I deals with the calumnies spread by a number of the catholic Armenian clerics living abroad, about the Armenian Gregorian Church. In his answer Ilya II is emphasizing the point that unity is an indispensable condition for the welfare of the nation, as well as for that of the Church.

11. Hymns. The journal prints three hymns by the Father-Superior Pavle Berishvili. They are preceded by a short article by the priest Rostom Lordkipanidze, where he relates to the author's creative biography

12. The home chronicle of the church is giving account of the receptions given by the Catholicos-Patriarch and of the recent steps taken for the repairing, decorating and painting murals in the churches.

P. relate to the services and blessings by the Catholicos-Patriarch and to the chirotony (to bishopship, priesthood and deaconship) during the six months from January till June. The preparation and procedure of church festivals and the organization of services in the patriarchal cathedral and other churches (especially on holidays) are dealt here (by M. Tarkhnishvili).



შ ი ნ ა ა რ ს ი

სააღმგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II 3

სამეგობრო გზები

ილია II ვიზიტი შვეიცარიაში 6

პირველითგან იყო სიტყვა

კვირიკობა სვანეთში — ნ. პაპუაშვილი 16
ქრისტეს ამალგების სვეტი ჯავახეთში — რ. მალრაძე 20
ყოველი სხეულებრივი არსება ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას —
მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე) 23

ქადაგებანი

გიხაროდენ — მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი) 26

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის სიტყვა — თქმული
განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო 28

კოეზია

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი) 30
მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე) 30
არქიმანდრიტი სოკრათი (ჭულუხაძე) 31
მღვდელმონაზონი გიორგი (ოდიშვილი) 31
ზინა სოლომნიშვილი 31
ცისიერი 31

მშვიდობა ყოველთა

მის უწმიდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
ილია II (ვაზგენ I ეპისტოლე) 32
მის უწმიდესობას, ვაზგენ I, ყოველთა სომეხთა უმაღლეს პატ-
რიარქ-კათოლიკოსს — (ილია II საპასუხო ეპისტოლე) 32
მიკროფირები ათონის მონასტრიდან
ი. ჭეიშვილი 33

საგალოგლები

შენ სალოცავო ხატო — მღვდელი როსტომ ლორთქიფანიძე 36
ილუმენი პავლე ბერიშვილი
ქრისტეშობის ტროპარი 36
ქრისტე აღსდგა მკვდრეთით 38
იღვგარძელე, მწყემსო კეთილო 39

სამკლესიო ცხოვრება

რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე 54

საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1982 წ.

სიონის ქ. № 4, ტ. 99-69-30

ტირაჟი 1000, შეკვ. № 1086.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19

Грузинская патриархия

«Джвари вазისა» (Лозовый крест) № 1, 1981 г.

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

